

2014 წელი №2

აღვმოკვატი

საქართველოს აღვმოკვატთა ასოციაციის უპრინციპული



ჟურნალის მომზადება და გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ უზრუნველყოფს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადამწყვეტილებების მომზადებას.



სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე: როინ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:

ზაზა ხატიაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, ზურაბ ძლიერიშვილი, ინგა თოდრია, ნინო გვენეტაძე, პაატა ტურავა, მარიკა ცისკაძე, თედო ნინიძე, ოთარ გამყრელიძე, ინიგო ნაგორე, ჯეიმს მოლიტერნო.

რედაქტორი და პროექტის კოორდინატორი: ეკა ხიმშიაშვილი

კორექტორი: ირმა მაისურაძე

დიზაინი: ბადრი მელაძე

დაკაბადონება: დავით ხოსიაური

ბეჭვდა: შპს გამომცემლობა „მინიატურა“

ISSN - 1987-5 474



ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება კომერციული მიზნით, ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ნებართვის გარეშე, აკრძალულია.“

სარჩევნი

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის მიმართვა 5

ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა

ადვოკატი და ეთიკა

- ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება..... 7
- ეთიკის კომისიის რეკომენდაცია..... 9
- ეთიკის ახლად არჩეული კომისიის საქმიანობის მიმდინარე სტატისტიკური მონაცემები (2014 წ. მაისის მდგომარეობით)..... 12

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

1) განგრძობადი იურიდიული განათლება

- 2014 წლის ივნისში ჩატარებული აკრედიტებული ტრენინგები..... 14
- "ABA ROLI ონლაინ სწავლების პლატფორმა" სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის 15
- აკრედიტაციის წესები (2014 წ. ცვლილებებითა და დამატებებით) 17

2) ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა

- ინფორმაცია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ელექტრონული სისტემით ჩატარების შესახებ 19

აქტუალური ინტერვიუ

- ინტერვიუ ბელორუსიის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარე ვიქტორ ჩაიჩიცასთან 21
- ინტერვიუ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანთან 25

სასამართლო პრაქტიკა

- ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს
გადაწყვეტილება (საქმე: კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ)..... 29
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი
კოლეგიის 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/543..... 41
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
გადაწყვეტილების საექსპერტო შეფასება 59

ქართული სამართლის ძეგლები

- "ძეგლის დადება" , 1335 წ. მოაღწია XVII ს. ხელნაწერით, ქალაქი..... 61

ადვოკატი და მეცნიერება

- ნინო ბოჭორიშვილი - "სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნობის
პრობლემა ქართულ კანონმდებლობაში" 63
- გიორგი ამირანაშვილი - „ზიანის ანაზღაურების
მოთხოვნა მესამე პირისაგან“ 67
- ნათია დიდმელაშვილი - „პერსონალურ მონაცემთა
დაცვა შრომით ურთიერთობებში“ 76
- ადვოკატ პავლე ბერიას განცხადება ჟურნალში „ადვოკატი“ (N1–2014 წელი)
დაბეჭდილ სტატიასთან დაკავშირებით: „კანონიერების პრინციპის დაცვა
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ
პირთა - დევნილთა მიმართ“ 86

ღვაწლმოსილი ადვოკატები

- პროფესორი ჯამბაკურ ბაქრაძე 87

ჟურნალის რედაქტორის განცხადება..... 89

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის მიმართვა



ძვირფასო კოლეგებო!

თქვენს წინაშეა ჟურნალ „ადვოკატის“ 2014 წლის მეორე ნომერი. იმედს გამოვთქვამ, რომ ჟურნალის პირველმა ნომერმა

თქვენი მოლოდინები გაამართლა, მოწონება დაიმსახურა ჟურნალის ახალმა ფორმამ და მისმა რუბრიკებმა.

ჟურნალი, ტრადიციულად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საადვოკატო ეთიკის საკითხებს. მასში წარმოდგენილია ეთიკის კომისიის ერთ–ერთი საინტერესო გადაწყვეტილება, აგრეთვე, ეთიკის კომისიის რეკომენდაცია. ჟურნალის მკითხველისათვის, ასევე, საინტერესო უნდა იყოს ეთიკის ახლად არჩეული კომისიის საქმიანობის მიმდინარე სტატიისტიკური მონაცემებიც.

ჟურნალში ცალკე რუბრიკად გამოვყავით ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის საქმიანობა. მასში მოცემულია ინფორმაციები როგორც განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების შესახებ, აგრეთვე, ელექტრონული სისტემით პირველად ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ. სისხლის სამართლის და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებისათვის საინტერესო ინფორმაციაა განთავსებული ABA ROLI ონლაინ სწავლების შესახებ.

ინტერვიუების რუბრიკაში შემოგთავაზებთ ინტერვიუებს ჟურნალის სტუმრებთან: ბელორუსიის ადვოკატთა

კოლეგიის თავმჯდომარე ვიქტორ ჩაიჩიცასთან და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანთან.

ჟურნალი აგრძელებს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ტრადიციას და წინამდებარე ნომერში შემოგთავაზებთ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს ერთ–ერთ საინტერესო გადაწყვეტილებასა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებას.

ჟურნალი, ტრადიციულად, ადგილს უთმობს მოქმედი ადვოკატებისა და მეცნიერი ადვოკატების სამეცნიერო ნაშრომებს. ამჟამად, შემოგთავაზებთ მეცნიერი ადვოკატის ნინო ბოჭორიშვილისა და სტუდენტური კონკურსის გამარჯვებულის ნათია დიღმელაშვილის სტატიებს, აგრეთვე დოქტორანტი გიორგი ამირანაშვილის საინტერესო სტატიას.

ღვანულმოსილი ადვოკატების რუბრიკაში წინამდებარე ნომერი მოგიტხრობთ ადვოკატისა და სამართლის მეცნიერის ბატონი ჯამბაკურ ბაქრაძის ცხოვრების ბოლოერთი დეტალის შესახებ.

დღემდე, ჟურნალ „ადვოკატის“ გამოცემა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით ფინანსდებოდა. ამისათვის მადლობას ვუხდით USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტს JILEP-ს, რომლის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა ჩვენი ჟურნალის ექვსი ნომერი. მადლობას ვუხდით, ასევე, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს

„სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“, რომელიც უზრუნველყოფდა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოცემას. ჟურნალის შემდგომი ნომრები უკვე ადვოკატთა ასოციაციის მეშვეობით, ანუ ჩვენი, ადვოკატების სახსრებით უნდა დაფინანსდეს. ჟურნალის გამოცემისათვის დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით, იმისათვის, რომ გამოცემების მიმართ ინტერესი აღვუძრათ მესამე პირებს, მათ უნდა შევთავაზოთ ჟურნალში ფასიანი

რეკლამების განთავსება. რედაქტორის შესაბამისი განცხადება განთავსებულია სწორედ ჟურნალის ბოლოში.

იმედს ვიტოვებთ, რომ ჟურნალ „ადვოკატი“ გამოცემა არ შეწყდება და მისი გამოცემები შეუფერხებლად გაგრძელდება.

**პატივისცემით,
როინ მიგრიული
ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის
თავმჯდომარე, ადვოკატი,
ასოცირებული პროფესორი**



ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა

ადვოკატი და ეთიკა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება

საქმე #090/13

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.07.2013

საჩივრის ავტორი: კლიენტი

საპროცესო კოლეგია: მესამე დისციპლინური კოლეგია

სავარაუდო დარღვევა: საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მინოდების ვალდებულება და კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრა

გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 26.08.2013

განხილვის კოლეგია: მეხუთე დისციპლინური კოლეგია

დარღვევა: საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მინოდების ვალდებულება, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება და კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალების გამოყენების ვალდებულება

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა

დისციპლინური პასუხისმგებლობის სახე: გაფრთხილება

გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 20.01.14

ეთიკობრივი გარემოებები:

ადვოკატს კლიენტისათვის უნდა გაენია სამართლებრივი მომსახურება სასამართლოში სადავო ბინასთან დაკავშირებით. კლიენტის საცხოვრებლის გვერდით ოთახში ცხოვრობდა ან გარდაცვლილი მესაკუთრის შვილიშვილი, რომელსაც მემკვიდრეობა შესაბამისი წესით არ ჰქონდა მიღებული და რეგისტრირებული. ადვოკატმა კლიენტს განუმარტა, რომ გარდაცვლილი მესაკუთრის შვილიშვილი უკანონოდ ცხოვრობდა სადაო ბინაში და ექვემდებარებოდა გამოსახლებას. ადვოკატმა კლიენტისგან დამოუკიდებლად სარჩელში მიუთითა, თითქოს მისმა კლიენტმა გარდაცვლილი მესაკუთრის საცხოვრებელი სადგომი მესაკუთრის სიცოცხლეში შეიძინა. ადვოკატმა კლიენტს უთხრა, რომ სასამართლოში უნდა მიეყვანა ორი მონმე. ადვოკატმა გააფრთხილა კლიენტი, რომ უნდა

განეცხადებინა შემდეგი: თითქოს ცხოვრობდა გარდაცვლილი პიროვნების საცხოვრებელ სადგომში და იხდიდა კომუნალურ გადასახადებს. ადვოკატმა კლიენტს 100 (ასი) ლარი გამოართვა სახელმწიფო ბაჟისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე გათავისუფლებული იყო ბაჟის გადახდისაგან.

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილების შინაარსი:

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა კლიენტს სასამართლოში შეტანამდე არ გააცნო სარჩელის შინაარსი და, მიუხედავად იმისა, რომ კლიენტი გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, გამოართვა 100 (ასი) ლარი, როგორც სახელმწიფო ბაჟისათვის გადასახდელი თანხა, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა შესახებ"

საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები.

სამართლებრივი შეფასება:

განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. ადვოკატმა არ მიაწოდა კლიენტს სრული და სწორი ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით და არ გააცნო სარჩელის შინაარსი სასამართლოში შეტანამდე, ადვოკატმა კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია, თუ რა ფაქტობრივი გარემოებების მითითებას აპირებდა სარჩელში. ასევე, ადვოკატმა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა სადავო ფართის გარდაცვლილი მესაკუთრის მემკვიდრის არსებობის შესახებ, არ განუმარტა კლიენტს ამ ფაქტის გავლენა სასარჩელო მოთხოვნაზე. ამასთან, სარჩელს ხელს აწერს ადვოკატი და არა კლიენტი, შესაბამისად, განხილვის კოლეგიამ დადგინდად მიიჩნია, რომ კლიენტი არ გაცნობია სარჩელს სასამართლოში შეტანამდე და სარჩელში წარმოსადგენი პოზიცია ადვოკატმა სრულად არ შეუთანხმა მას.

განხილვის კოლეგიამ მიუთითა, რომ საჩივრის ავტორის განმარტება სახელმწიფო ბაჟის სახით ადვოკატისათვის 100 (ასი) ლარის გადაცემის თაობაზე, დაადასტურა მონმე ა. ლ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ პუნქტის შესაბამისად: „სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელები „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისა წარმოშობილი ურთერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის თაობაზე.“ ადვოკატისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი ცნობილი იყო და მან სასამართლოში წარდგენილი სარჩელში სსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი მიუთითა სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების

საფუძველად და სახელმწიფო ბაჟი არ გადაუხდია. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის აღნიშნული ქმედება არის არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლობა.

განხილვის კოლეგიამ ასევე დაადგინა, რომ ადვოკატმა სასამართლოში წარადგინა არასწორი ინფორმაცია, რითაც დაარღვია კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალების გამოყენების პრინციპი. ადვოკატმა სარჩელში, დავის არსის მოკლევ მიმოხილვის გრაფაში, მიუთითა: „ან გარდაცვლილ მესაკუთრეს მემკვიდრეები არ დარჩენია.“

განხილვის კოლეგიაში მის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებაში ადვოკატმა ცალსახად მიუთითა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო, რომ სადავო ფართის მესაკუთრეს ჰყავდა დის შვილიშვილები, ისინი არ წარმოადგენენ არცერთ რიგის მემკვიდრეს. ადვოკატმა სარჩელს თან დაურთო ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომლის თანახმადაც, სადავო ფართის გარდაცვლილ მესაკუთრეს ჰყავს ერთი მემკვიდრე. ადვოკატისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის შესაბამისად, II რიგის მემკვიდრეთა წრე განისაზღვრება შემდეგი ფორმულირების შესაბამისად: "გარდაცვლილის -- დები, ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს განხილვის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა." ამ დანაწესიდან გამომდინარე, ადვოკატის ასეთი განცხადება, რაც მან სარჩელში მიუთითა და განმარტა განხილვის კოლეგიაში საქმის განხილვისას, კოლეგიას აძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ დადგენილად მიიჩნიოს ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური მომსახურების განხორციელების ფაქტი.

ეთიკის კომისიის რეკომენდაცია

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ხათუნა გრიგალაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
სანდრო ჯორბენაძე – კოლეგიის წევრი
ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.03.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/14

ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატი სააპელაციო სასამართლოში ახორციელებდა მსჯავრდებულის ინტერესების დაცვას, რომლის მიმართაც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით გამოყენებული იყო პირობითი მსჯავრი. დაცვის ორდერისა და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატი ახორციელებს მსჯავრდებულის ინტერესების დაცვას სააპელაციო სასამართლოში, ორდერის მოქმედების ვადად განსაზღვრულია აპელაცია. სააპელაციო სასამართლოში საქმე განიხილებოდა პროკურორის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, რომელიც ითხოვდა გამოყენებული პირობითი მსჯავრის შეცვლას პატიმრობით, რაც დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ. მსჯავრდებული, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, მონაწილეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმის განხილვაში და სააპელაციო სასამართლოში დასკვნითი სიტყვის ეტაპამდე, ანუ ის არ დასწრებია სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ადვოკატის მიერ დასკვნითი სიტყვის წარმოთქმას და არ უსარგებლია საბოლოო სიტყვის წარმოთქმის უფლებით. დღეისათვის მისი (მსჯავრდებულის)

ადგილსამყოფელი ადვოკატისათვის უცნობია და, შესაბამისად, უცნობია მისი პოზიცია საკასაციო წესით გასაჩივრების თაობაზე.

შეკითხვა:

იმისათვის, რომ ადვოკატმა არ დაურღვიოს თავისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს დაცვის უფლება, როგორ უნდა მოიქცეს იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში: უნდა გაასაჩივროს თუ არა მან სააპელაციო სასამართლოს განაჩენი პირადად, დასაცავი პირის თანხმობის გარეშე, დადგენილ 1–თვიან ვადაში? თუ არ უნდა გაასაჩივროს თავისი დასაცავი პირის თანხმობის გარეშე, რომ არ მოუსპოს მას დაკავების ან გამოცხადების შემთხვევაში გასაჩივრების უფლება?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომლებიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი

უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №074/10, დაადგინა, რომ „ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია, ის ფლობდეს ინფორმაციას თავისი საქმის მიმდინარეობის შესახებ.“

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ

საქმეზე №096/11, განმარტა, რომ „ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას, საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები.“

მოცემულ შემთხვევაში, შევითხვიდან არ ჩანს, რომ ადვოკატი ახორციელებდა სავალდებულო დაცვას. ამიტომ სიტუაცია უნდა განიხილოს მე-8 მუხლის მეორე ნაწილის შემდეგი რეგულაციის შესაბამისად: "ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ... მითითებით". აქედან გამომდინარე, ადვოკატი არაა ვალდებული გაასაჩივროს განაჩენი პირადი ინიციატივით, რადგან ადგილი არ აქვს სავალდებულო დაცვას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ადვოკატი უნდა მოქმედებდეს კანონმდებლობისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად. შევითხვაში მითითებული გარემოებების მიხედვით, როგორც ორდერის, ასევე, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, ადვოკატს კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განხორციელებინა სააპელაციო სასამართლოში, შესაბამისად, მას არ ჰქონდა უფლება დასაცავი პირი წარმოედგინა უზენაეს სასამართლოში. პროფესიული ეთიკის კოდექსით ადვოკატს ამონურული აქვს თავისი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა და მას აღარ აქვს ვალდებულება საკუთარი ინიციატივით გააგრძელოს დავა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის შესაბამისად, ადვოკატი დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს და იგი არ უნდა მოქმედებდეს ბრალდებულის მითითებებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ. მოცემულ შემთხვევაში "მითითება" არ არსებობს. ხოლო ბრალდებულის "ინტერესების" არსებობაზე არაფერია ცნობილი. სრულიად დასაშვებია, ბრალდებულს სურდეს, რომ შემდგომში, დაკავების ან გამოცხადების შემდეგ, ჰქონდეს გასაჩივრების უფლება. ადვოკატის მიერ საკასაციო წესით გასაჩივრება კი შეიძლება გახდეს კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ განხორციელებული ქმედება.

მოცემული პირობებით, აღნიშნულ ეტაპზე ადვოკატის მიერ საკასაციო წესით გასაჩივრება იქნება არა უკანონო, არამედ უნებართვო, რაც ეწინააღმდეგება ადვოკატის პროფესიული ეთიკის პრინციპებს.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატისათვის არ არის ცნობილი ინფორმაცია კლიენტის ნებისა და ინტერესის შესახებ, მან, აღნიშნული ინფორმაციის შეტყობის გარეშე, არ უნდა განახორციელოს

მოქმედება კლიენტის სახელით. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი არ არის ვალდებული გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან მას არ აქვს მითითება კლიენტისაგან. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. ასევე, შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ადვოკატს არ გააჩნია უზენაეს სასამართლოში კლიენტის წარმომადგენლობის უფლება, ვინაიდან ორდერი გაცემულ იქნა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლობისათვის. ასევე, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატი ახორციელებს მსჯავრდებულის ინტერესების დაცვას სააპელაციო სასამართლოში.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.

**ეთიკის ახლად არჩეული კომისიის საქმიანობის
მიმდინარე სტატისტიკური მონაცემები**

(2014 წლის 19 მაისის მდგომარეობით)

1) საჩივრების რაოდენობა

ა) 2014წ. 3 იანვრიდან 2014 წლის 19 მაისისათვის ეთიკის ახლად არჩეულ კომისიაში შემოსულია 38 საჩივარი;

ბ) ეთიკის ახლად არჩეულ კომისიას, 2011-2013 წლების გათვალისწინებით, განსახილველად გადმოეცა 93 საქმე;

გ) 2014 წლის 19 მაისის მდგომარეობით ეთიკის ახლადარჩეულმა კომისიამ დაასრულა 78 საქმე;

დ) ამჟამად, განხილვის წესით წარმოება 14 საქმეზე მიმდინარეობს.

2) საჩივრები ავტორების მიხედვით (2014 წ. 3 იანვრიდან 2014 წლის 19 მაისისათვის შემოსულ საჩივრებზე)

N	ვისგან	რაოდენობა
1	კლიენტის საჩივარი	26
2	მონინაალმდევე მხარის საჩივარი	4
3	ადვოკატის საჩივარი	3
4	სასამართლოს მომართვა	1
5	არაუფლებამოსილი პირის საჩივარი	4

3) საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებები

N	გადაწყვეტილების სახე	რაოდენობა	შეფარდება დასრულებულ საქმეთა რაოდენობასთან
1	დისციპლინური დევნის არააღძვრა	26 საქმეზე	33 %
2	დისციპლინური წარმოების შეწყვეტა	25 საქმეზე	32 %
3	დისციპლინური დევნის აღძვრა	10 საქმეზე	12 %
4	დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება	11 საქმეზე	14 %
5	არაუფლებამოსილი პირის საჩივარი	4	

4) განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებები

N	დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები	რაოდენობა	შენიშვნა
1	კერძო სარეკომენდაციო ბარათი	6	
2	გაფრთხილება	5	აქედან 1 საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას

5) სხვა სახის გადაწყვეტილებები

1	დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარი	7	დასრულებულ საქმეთა რაოდენობის 8 %
2	დისციპლინური წარმოების შეწყვეტა	4	ადვოკატის წევრობის შეწყვეტის მიზეზით, დასრულებულ საქმეთა რაოდენობის 5%.

6) საჩივრები შინაარსის მიხედვით

საჩივრები შეეხება ადვოკატის მიერ კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურების, საქმის მიმდინარეობის თაობაზე კლიენტის არაინფორმირებულობის, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯების ანგარიშგების წარმოების, კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის წესისა და კოლეგიალობის დარღვევას.

2014 წლის 19 მაისის მდგომარეობით, საადვოკატო მომსახურების ფარგლებში ადვოკატების მხრიდან დარღვეულ იქნა შემდეგი წესები: ადვოკატის მიერ კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურების, საქმის მიმდინარეობის თაობაზე კლიენტის არაინფორმირებულობისა და სასამართლოსთან ურთიერთობის წესი

შენიშვნა: ეთიკის კომისიის საქმიანობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე, ეთიკის კომისიის განყოფილებაში: <http://gba.ge/ka/386>

1) განმარტობადი იურიდიული განათლება

2014 წლის ივნისში ჩატარებული აკრედიტებული ტრენინგები

ქ. თ ბ ი ლ ი ს შ ი

1. ინტელექტუალური საკუთრება;
2. სასაქონლო ნიშნები;
3. ბიზნეს ხელშეკრულების დადება, საერთაშორისო გადანაცვტილებების ცნობა და აღსრულება;
4. ხელშეკრულებიდან გასვლა;
5. ბრალეული და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში;
6. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხები;
7. მორალური ზიანი და უსაფუძვლო გამდიდრება;
8. სამოქალაქო სამართლის პრობლემური საკითხები;
9. შესავალი და დასკვნითი სიტყვა;
10. საკუთრება და საკუთრების უფლების შეზღუდვის აუცილებლობა;
11. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
12. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენება.

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენება;
2. მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში;
3. მტკიცებულების მოპოვება დაცვის მხარის მიერ.

ქ. ბ ა თ უ მ შ ი

1. სამოქალაქო სამართლის პრობლემური საკითხები;
2. ინტელექტუალური საკუთრება.

ქ. მ უ გ დ ი დ შ ი

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენება;
2. მტკიცებულების მოპოვება დაცვის მხარის მიერ.

ქ. ა ხ ა ლ ც ი ხ ე

1. მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.

ტრენინგების განრიგის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ვებ გვერდზე: edu.gba.ge

"ABA ROLI ონლაინ სწავლების პლატფორმა"

სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის

"ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა"-მ (ABA ROLI) 1996 წელს, დაიწყო კანონის უზენაესობის, ხოლო 1999 წელიდან დამატებით – სისხლის სამართლის პროგრამების განხორციელება საქართველოში. ABA ROLI-მ თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში არაერთი ინოვაციური პროექტი შესთავაზა საქართველოს იურიდიულ საზოგადოებას.

2010 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც შექმნა შეჭიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული მართლმსაჯულების სისტემა, შემოიღო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დაცვის მხარის მიერ კლიენტის ინტერესების სათანადოდ დაცვის შესაძლებლობა. ამასთანავე, ABA ROLI-მ დაიწყო ტრენინგების კურსი სისხლის სამართლის და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებისათვის, რაც მიზნად ისახავდა, მათთვის ახალი სისხლის სამართლის სისტემის გაცნობას, ადვოკატების ადაპტაციას ახალ სამართლებრივ სივრცეში და პროკურორებისა და ადვოკატებისთვის საერთო სამართლებრივი ცოდნის გაზიარებას.

ამჟამად ABA ROLI, ამერიკის შერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტიწარკობიერების და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, ეხმარება საქართველოს მოქალაქეებს მართლმსაჯულების

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, ტრენინგების ჩატარების მეშვეობით, სისხლის სამართლის სფეროს სხვადასხვა თემზე.

სხვა მიმდინარე პროგრამების პარალელურად, ABA ROLI-მ შექმნა განგრძობადი იურიდიული განათლების პირველი ინტერნეტ პროგრამა - **"ონლაინ სწავლების პლატფორმა"** (OLP) და შეიმუშავა არასტანდარტული ტიპის ტრენინგების მოდული (Skype, DVD), რომელიც განკუთვნილია ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრებისათვის.

რა არის ონლაინ სწავლების პლატფორმა (OLP)?

"ონლაინ სწავლების პლატფორმა (OLP)" არის ინოვაციური სასწავლო მოდელი, რომელიც შექმნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დახმარებით. "ონლაინ სწავლების პლატფორმა" მოიცავს ABA ROLI-ს ვიდეო ტრენინგებს, დამხმარე სასწავლო მასალას, სახელმძღვანელოებს და შესაბამის კანონმდებლობას.

OLP უზრუნველყოფს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატების ცოდნის შემომწმებას წინასწარი და დასკვნითი ტესტების მეშვეობით, რაც იძლევა საშუალებას, სათანადოდ შეფასდეს ადვოკატების მიერ მიღებული ცოდნა OLP-ს სასწავლო კურსების ბაზაში არსებული თითოეული თემის შესწავლის შედეგად. OLP-ს მეშვეობით, ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის წევრები შეძლებენ, მათთვის ხელსაყრელ დროსა და ადგილას, აიმაღლონ კვალიფიკაცია და მოიპოვონ სავალდებულო განგრძობადი იურიდიული განათლებისათვის აუცილებელი კრედიტები.

როგორ გამოვიყენოთ ონლაინ სწავლების პლატფორმა (OLP) ?

- აკრიფეთ olp.abarol.ge;
- დარეგისტრირდით ონლაინ სწავლების პლატფორმის ნევრად (გაიარეთ ავტორიზაცია);
- შედით სისტემაში;
- აირჩიეთ სასურველი კურსი;

- გაიარეთ წინასწარი ტესტირება;

- უყურეთ ვიდეო-ტრენინგს;

- იხილეთ დამატებითი მასალა – სახელმძღვანელოები, შესაბამისი საკანონმდებლო აქტები;

- გაიარეთ დასკვნითი ტესტი.

გაითვალისწინეთ, რომ "ონლაინ სწავლების პლატფორმის" (OLP) მომხმარებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლისა და საერთო სპეცი-ალიზაციის მქონე მოქმედი წევრი.



აკრედიტაციის წესები

(2014 წ. ცვლილებებითა და დამატებებით)

1. აკრედიტაციის სისტემა

აღმასრულებელი საბჭო იყენებს აკრედიტაციის შერეულ სისტემას, რაც გულისხმობს, როგორც საგანმანათლებლო ღონისძიებების, ისე ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციურ აკრედიტაციას.

აღმასრულებელი საბჭო იკრიბება მინიმუმ თვეში ერთხელ, განიხილავს საგანმანათლებლო ღონისძიებების აკრედიტაციისთვის შემოსულ განცხადებებს და იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის მინიჭების ან უარის თქმის შესახებ.

ყველა ორგანიზაცია, რომელსაც წინასწარ არა აქვს მოპოვებული საგანმანათლებლო ღონისძიების აკრედიტაცია და აქვს სურვილი, რომ ეს ღონისძიება განიხილებოდეს განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, ვალდებულია აღმასრულებელ საბჭოში წარადგინოს განაცხადი აკრედიტაციის მიღების შესახებ, ღონისძიების დაწყებამდე 30 დღით ადრე. აღმასრულებელი საბჭო გადაწყვეტილებას მიიღებს განაცხადის მიღებიდან 30 დღის ვადაში.

2. აკრედიტაციის ფორმები

2.1. საგანმანათლებლო ღონისძიების აკრედიტაცია

აღმასრულებელი საბჭო აკრედიტაციას ანიჭებს, საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, კონკრეტულ საგანმანათლებლო ღონისძიებას, რომელიც შემუშავებულია ორგანიზაციის, საგანმანათლებლო დაწესებულების ან კომპანიის (მათ შორის იურიდიული ფირმა) მიერ განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის ფარგლებში და აკმაყოფილებს

აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ სწავლების სტანდარტებს. საგანმანათლებლო ღონისძიების აკრედიტაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ წინასწარ დაგეგმილ ღონისძიებებზე (ამოქმედდება 2014 წლის 1 იანვრიდან).

2.2. ინსტიტუციური აკრედიტაცია

ინსტიტუციური აკრედიტაცია გულისხმობს აკრედიტებული ორგანიზაციის მიერ საგანმანათლებლო ღონისძიებების გამარტივებულ აკრედიტაციას.

ინსტიტუციური აკრედიტაციის მისაღებად საჭიროა წინასწარ დაგეგმილი 5 საგანმანათლებლო ღონისძიების აკრედიტაციის მოპოვება.

აღმასრულებელი საბჭო, საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, განიხილავს განაცხადს, ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციას/საგანმანათლებლო დაწესებულებას, დადგენილი სწავლების სტანდარტების გათვალისწინებით, აქვს შესაძლებლობა ორგანიზება გაუწიოს მიმდინარე წლის განმავლობაში საგანმანათლებლო ღონისძიებებს, მინიმუმ 200 ადვოკატისთვის.

ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭება ხდება 3 წლის ვადით. ყოველი მომდევნო ინსტიტუციური აკრედიტაციის მიღებისათვის საჭიროა განაცხადის ხელახლა წარდგენა. ინსტიტუციური აკრედიტაციის გაუქმება არ იწვევს უკვე ჩატარებული საგანმანათლებლო ღონისძიებების აკრედიტაციის გაუქმებას.

3. აკრედიტაციის მიღებისთვის საჭირო საბუთები

საგანმანათლებლო საბჭოში წარმოდგენილი განაცხადი საგანმანათლებლო ღონისძიების აკრედიტაციისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის შესახებ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო ღონისძიების

- თემა, რომელიც მოიცავს ადვოკატის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- ღონისძიების ორგანიზების მიზანი;
- სასწავლო პროგრამა;
- დღის წესრიგი;
- მონაწილეთა რაოდენობა;
- მონაწილეთა დასწრების აღრიცხვის მეთოდი;
- სასწავლო მასალის ჩამონათვალი;
- განხორციელების ვადები;
- ადგილმდებარეობა;
- საგანმანათლებლო ღონისძიების სპიკერის/ტრენერის CV და სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

განაცხადი ივსება ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს სახელზე. საგანმანათლებლო საბჭო იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია მისი შეხედულებისამებრ.

4. სავალდებულო მოთხოვნები აკრედიტაციის მიღების შემდეგ

აკრედიტებული საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზატორი (ინსტიტუციური აკრედიტაციის არსებობის შემთხვევაშიც) ვალდებულია:

- ღონისძიების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრს;
- ყოველი ჩატარებული ღონისძიების შემდეგ წარმოადგინოს ღონისძიების მონაწილეთა სია (მონაწილეთა დასწრების აღრიცხვის გათვალისწინებით);

- ყოველი წლის ბოლოს წარმოადგინოს წლიური ანგარიში ჩატარებული საგანმანათლებლო ღონისძიებების შესახებ;
- ღონისძიების შეფასების ფორმა (ღონისძიების მონაწილეთა მიერ შევსებული კითხვარი).

შეფასების შედეგების გათვალისწინება მოხდება საგანმანათლებლო საბჭოს მიერ, ორგანიზატორისთვის სამომავლო საგანმანათლებლო ღონისძიების აკრედიტაციის მინიჭებაზე რეკომენდაციის მომზადებისას.

- მხოლოდ ინსტიტუციური აკრედიტაციის არსებობის შემთხვევაში ორგანიზაცია/საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს, მიმდინარე წლის განმავლობაში საგანმანათლებლო ღონისძიებებს, მინიმუმ 50 ადვოკატისთვის.

საგანმანათლებლო ღონისძიების შეფასების მიზნით, საგანმანათლებლო საბჭო იტოვებს შესაძლებლობას, მოსთხოვოს ორგანიზატორს მონიტორინგის განხორციელებისთვის ასოციაციის სასწავლო ცენტრის თანამშრომლის ღონისძიებაზე დასწრების უზრუნველყოფა.

5. ფასიანი საგანმანათლებლო ღონისძიებები

ფასიანი საგანმანათლებლო ღონისძიებების შემოთავაზების შემთხვევაში, როგორც ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე, ასევე სხვა ორგანიზატორი ვალდებულია გადაიხადოს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი აკრედიტაციის საფასური, რაც განისაზღვრება საგანმანათლებლო ღონისძიების მონაწილეთა რაოდენობით:

- ✓ 1–დან 30–მდე მონაწილის შემთხვევაში – 100 ლარი.
- ✓ 31–დან 50–მდე მონაწილის შემთხვევაში – 200 ლარი.
- ✓ 51 და მეტი მონაწილის შემთხვევაში – 300 ლარი.

2) ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა

ინფორმაცია

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ელექტრონული სისტემით ჩატარების შესახებ

პირველად, საქართველოში, 1-ლ, 8 და 15 ივნისს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ყველა მონაწილემ გამოცდა ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ჩააბარა, რომელიც USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის, JILEP-ის მიერაა შექმნილი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას საჩუქრად გადაეცა. პროექტს საქართველოში East West Management Institute-ი ახორციელებს.

კომპიუტერული პროგრამა იძლევა აპლიკანტთა რეგისტრაციის, გამოცდის ჩაბარებისა და გასაჩივრების საშუალებას ელექტრონული ფორმით. გამოცდის მონაწილეებთან კომუნიკაცია ხორციელდება აპლიკანტთა ინდივიდუალურ პორტალებზე ელექტრონული შეტყობინებების გაგზავნით. პროგრამის მეშვეობით აპლიკანტისთვის გამოცდის შედეგები ცნობილი გახდება გამოცდის დასრულებისთანავე.

გამოცდების მიმდინარეობას საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები დააკვირდნენ.

გამოცდის ჩაბარების მსურველთა რაოდენობა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის განხრით 263, სისხლის სამართლის განხრით 207, ხოლო საერთო სპეციალიზაციის განხრით 116 გამოსაცდელი შეადგენდა.

თითოეული სპეციალიზაციის გამოცდისთვის განსაზღვრული იყო 100 საგამოცდო კითხვა. გამოსაცდელს, რომელიც გამოცდაზე მოაგროვებდა 75 ან მეტ ქულას, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაეთვლებოდა ჩაბარებულად. 2014 წლის ივნისის გამოცდის მონაწილეთა სრული შემადგენლობიდან გამოცდა 13%-მა ჩააბარა.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები წელიწადში ორჯერ ტარდება.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები წელიწადში ორჯერ ტარდება.



გამომცემის სტატისტიკა	15.06.2014-ის მდგომარეობით					
01.06.14	რეგისტრირებული	მონაწილეობა მიიღო	ჩააბარა	მაქსიმალური ჯულა	მინიმალური ჯულა	
სისხლი	69	60	7	84	34	
საერთო	37	35	0	74	31	
სამოქალაქო	86	76	7	86	32	
სულ	192	171	14			
08.06.14	რეგისტრირებული	მონაწილეობა მიიღო	ჩააბარა	მაქსიმალური ჯულა	მინიმალური ჯულა	
სისხლი	70	66	4	77	37	
საერთო	39	29	1	76	27	
სამოქალაქო	88	77	12	89	26	
სულ	197	172	17			
15.06.14	რეგისტრირებული	მონაწილეობა მიიღო	ჩააბარა	მაქსიმალური ჯულა	მინიმალური ჯულა	
სისხლი	68	67	13	87	29	
საერთო	40	34	3	79	31	
სამოქალაქო	89	77	19	89	33	
სულ	197	178	35			
2014 წლის ივნისის ჯამური შედეგები	მონაწილეობა მიიღო	მონაწილე ქალების რაოდენობა	მონაწილე კაცების რაოდენობა	ჩააბარა	ქალები	კაცები
სისხლი	193	87	106	25	11	14
საერთო	98	50	48	6	1	5
სამოქალაქო	230	155	75	38	27	11
სულ	521	292	229	69	39	30
ჩაბარებული რაოდენობა სულ 13%						

აქტუალური ინტერვიუ



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და ბელორუსიის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარეებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე და აღმასრულებელი საბჭოს წევრები ბელორუსიის ადვოკატთა

ინტერვიუ ბელორუსიის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარე

ვიქტორ ჩაიჩიცასთან

კოლეგიის თავმჯდომარე ვიქტორ ჩაიჩიცასა და დელეგაციის სხვა წევრებს შეხვდნენ. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა სტუმრებს გააცნო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, პრიორიტეტები, განხორციელებული პროექტები. შეხვედრის ბოლოს, მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რაც გულისხმობს საინფორმაციო-ანალიტიკურ, მეთოდურ და კვლევით საქმიანობას, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შემუშავებას, ასევე, შესაბამისი წინადადებების შემუშავების მიზნით, არსებული პრობლემის გადასაწყვეტად გაიმართება ორმხრივი შეხვედრები და თემატური სემინარები.

თქვენს ქართველ კოლეგებს, ვფიქრობთ, რომ დააინტერესებთ ბელორუსიის ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა, ისტორია, მიმართულებები და პრიორიტეტები. გთხოვთ, გვიამბოთ მათ შესახებ?

2011 წლის 6 აპრილს ძალაში შევიდა რესპუბლიკა ბელარუსის კანონი „ადვოკატურისა და საადვოკატო საქმიანობის შესახებ“. ბელორუსიის ისტორიაში ამ კანონის მიღება

არის ახალი ეტაპი ბელორუსიის ადვოკატურის ფორმირების პროცესში. მოცემული საკანონმდებლო აქტი ითვალისწინებს, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური დონის შესაბამისად, ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერი დაცვის აქტუალურ ტენდენციებს.

კანონმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ადვოკატთა მიერ იურიდიული დახმარების სახეობათა ჩამონათვალი.

ამ სახეობებს მიეკუთვნება, მაგალითად, რესპუბლიკაში ინვესტიციების მოზიდვის საკითხი, დოკუმენტების სამართლებრივი შეფასება, კლიენტების ინტერესებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ქმედებები. გარდა ამისა, ადვოკატებს მიეცათ შესაძლებლობა გამოვიდნენ მედიატორების როლში.

ახალი კანონი ხელს უწყობს ადვოკატთა პროფესიული დონის ამაღლებას, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უზრუნველყოფას იურიდიული დახმარების მისაღებად.

ახალ კანონში პირველად განიმარტა ცნებები „საადვოკატო საქმიანობა“ და „იურიდიული დახმარება“. გამყარდა საადვოკატო საქმიანობის ძირითადი პრინციპები. დაზუსტებულია საადვოკატო თვითმმართველობის ორგანიზაციის გზები.

კანონით, ასევე, გათვალისწინებულია საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისათვის ახალი ორგანიზაციული ფორმები. ადვოკატებს შეუძლიათ საადვოკატო საქმიანობა განახორციელონ არა მარტო იურიდიული კონსულტაციების შემადგენლობაში, არამედ – ინდივიდუალურადაც.

ბელორუსიის ადვოკატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განსაზღვრულია 2012–2015 წლების ადვოკატურის განვითარების სტრატეგიაში, რომელიც არის საადვოკატო საქმიანობაში ადვოკატთა რესპუბლიკური და ტერიტორიული კოლეგიების საქმიანობის პოლიტიკის საორგანიზაციო საფუძველი და წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ დონისძიებებს, მომართულს სტრატეგიული მიზნებისა და პრიორიტეტული

ამოცანების რეალიზაციის საქმეში.

პროგრამის მიზნებია: ადვოკატურის საქმიანობის შემდგომი განვითარება, ბელორუსიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 62–ე მუხლის შესაბამისად, თითოეულისათვის გარანტირებული იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად; ადვოკატურის ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლების გასაუმჯობესებლად; იურიდიული დახმარების ეფექტურობისა და ხარისხის ასამაღლებლად; საზოგადოებაში ადვოკატურის პრესტიჟისა და სოციალური მნიშვნელობის ასამაღლებლად.

პროგრამის თანახმად, ადვოკატთა რესპუბლიკური და ტერიტორიული კოლეგიების საქმიანობა უნდა იყოს მიმართული კონკურენტუნარიანი ადვოკატურის შესაქმნელად, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მაღალკვალიფიციური იურისტებით, და მათი საქმიანობა დაფუძნებული იქნება იურიდიული დახმარების ერთიან სტანდარტზე, პროფესიული ეთიკის პრინციპების გათვალისწინებით.

პროფესია–ადვოკატის პრესტიჟის ამაღლებისათვის ძირითად ამოცანებს შორის უნდა გამოიყოს: ადვოკატის პროფესიის გაუმჯობესება, ნიჭიერი იურისტების მოზიდვის სტიმულირება, ადვოკატთა სპეციალიზაციის განვითარება სამართლის სხვადასხვა სფეროებში. ადვოკატების მიერ ხარისხიანი იურიდიული დახმარებისა და მათი პროფესიული ეთიკის წესების დაცვაზე კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესება და ა.შ.

პროგრამით გათვალისწინებულია ადვოკატთა კოლეგიების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, იურიდიული კონსულტაციების

არარენტაბელურობის მიზეზების აღმოფხვრა, საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა, სოფლის მეურნეობის სანარმოების განვითარებისათვის ადვოკატთა სამართლებრივი საქმიანობის გაუმჯობესება რესპუბლიკაში ინვესტიციების მოსაზიდად. ბელორუსიის ადვოკატურისათვის პრიორიტეტულ საკითხთა შორისაა იურიდიული დახმარების გაუმჯობესება საბაჟო სამართლის სფეროში, ადვოკატების მონაწილეობა მედიაციის პროცესში, საადვოკატო საქმიანობის გაუმჯობესება როგორც ბიუროებში, ასევე ინდივიდუალურად.

ამჟამად ბელორუსიის რესპუბლიკაში საქმიანობს 161 იურიდიული კონსულტაცია, 52 საადვოკატო ბიურო, 205 ადვოკატი საქმიანობს ინდივიდუალურად, ბელორუსიაში სულ 1883 ადვოკატია.

არის თუ არა თქვენთან ეთიკის კომისია? გთხოვთ, მოგვიყვით აღნიშნული კომისიის საქმიანობის შესახებ?

ადვოკატთა კოლეგიაში ეთიკის კომისია არ არის. თუმცა იურიდიულ კონსულტაციებში არის ხარისხის კომისიები, რომლებიც აკონტროლებენ ადვოკატთა საქმიანობას. ტერიტორიულ კოლეგიებში და რესპუბლიკურ კოლეგიაში ასევე მუშაობენ დისციპლინური კომისიები. ადვოკატთა რესპუბლიკური კოლეგიის დისციპლინური კომისიის უფლებამოსილებაა განიხილოს რესპუბლიკური საადვოკატო კოლეგიის თავმჯდომარეზე და ადვოკატებზე შესული საჩივრები და ადვოკატების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხები.

ტერიტორიული დისციპლინური კომისიების უფლებამოსილებაა განიხილოს საჩივრები ტერიტორიული კოლეგიების ადვოკატებთან მიმართებაში, დადგენილ ვადებში განიხილოს საქმეები დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველზე. იუსტიციის სამინისტროს მიერ მათთვის დადგენილია დისციპლინური ხარისხის შემონიშნების ორგანიზება და, საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლება.

თქვენ ახლახან სტუმრობდით საქართველოს, მოგვიყვით თქვენი შთაბეჭდილებებისა და მიზნების შესახებ?

ჩემი ვიზიტის მიზანი იყო გაცნობილი საქართველოში საადვოკატო საქმიანობის მენეჯმენტს, ადვოკატთა ასოციაციის სტრუქტურას და საქმიანობას.

გამაოცა საქართველოს ბუნებამ და ხალხის შრომისმოყვარეობამ, სიკეთემ და პატრიოტიზმმა. იგრძნობა, რომ ქართველებს ძალიან უყვართ თავიანთი სამშობლო, ისინი სიამაყით საუბრობენ საქართველოზე.

რაც შეეხება ადვოკატებს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ზაზა ხატიაშვილსა და აღმასრულებელი საბჭოს წევრებს, მათი მცდელობა ადვოკატის პროფესიის პრესტიჟის ამაღლების საკითხებში იმსახურებს ღრმა პატივისცემას. სწორედ ამიტომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაცა და დიდ ყურადღებას უთმობს ადვოკატთა სწავლებას, კადრების შერჩევასა და კიდევ ბევრ სხვას.

ბელორუსიისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რას ითვალისწინებს ეს მემორანდუმი და როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ადვოკატებთან თანამშრომლობა?

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და ბელორუსიის ადვოკატთა კოლეგიას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია მხარეების თანამშრომლობა მათთვის საინტერესო საკითხებზე, მათ შორის, ფიზიკური და იურიდიული პირების იურიდიული დახმარების საკითხებზე, ასევე, საინფორმაციო-ანალიტიკური, მეთოდური და კვლევითი სამუშაოების შესრულების, საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შემუშავების საკითხებზე.

დარწმუნებული ვარ, რომ მიღწეული მოლაპარაკებები, ასევე, ჩვენ მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები საფუძველს ჩაუყრის ბელორუსი და ქართველი ადვოკატების თანამშრომლობის ახალ ეტაპს.

საქართველოში თქვენ გაეცანით საქართველოს ადვოკატთა კორპუსის საქმიანობას, ასევე, ასოციაციის მიერ განხორციელებულ პროექტებს, რა მოგეწონათ ყველაზე მეტად და რას დანერგავდით თქვენთან?

პირველ რიგში, ჩვენ ვისურვებდით, ქართველი კოლეგებისაგან გადმოგველო ადვოკატთა სწავლების ორგანიზაცია. კერძოდ, თანახმად

ჩვენთან არსებული კანონისა, ადვოკატმა მუდმივად უნდა განავითაროს თავისი ცოდნა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვისურვებდით დაგვენერგა ქართული გამოცდილება.

სასიამოვნოდ გაგვაოცა იმანაც, რომ საქართველოში ადვოკატი, მიუხედავად მცირე საადვოკატო სტაჟისა, მუდმივად სწავლობს და იმეორებს პროფესიული ეთიკის წესებს, რაც იძულებულს ხდის ადვოკატს, მუდმივად ახსოვდეს ძირითადი პროფესიული პრინციპები და წესები.

თქვენი სურვილები ქართველ ადვოკატებს?

მსურს, ჩემს ქართველ კოლეგებს ვუსურვო მშვიდობა, ბედნიერება, სიკეთე და აყვავება და შემდგომი განვითარება. ასევე, ვისურვებდი, რომ საქართველოს ადვოკატები ყოფილიყვნენ მართლმსაჯულების სრულუფლებიანი მონაწილენი, რომლებსაც შეეძლებათ ხარისხიანად და პროფესიონალურად განახორციელონ თავიანთი პროფესიული უფლება-მოვალეობები და მათ ამაში ხელი არავინ შეუშალოს.

**ინტერვიუ თბილისის საქალაქო
სასამართლოს თავმჯდომარე**

მამუკა ახვლედიანთან

საქალაქო სასამართლოში ბოლო დროს ბევრი სიახლეა, სულ ცოტა ხნის წინ ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამის პრემენტაცია გაიმართა, ასევე, დღემდე ბევრს აინტერესებს, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნას. საინტერესოა, თუ რა რეფორმები გატარდა, ან მიმდინარეობს, ანდა იგეგმება საქალაქო სასამართლოში. ამ საკითხებზე თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს მამუკა ახვლედიანს ვესაუბრეთ.



საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი ბოლო ინიციატივა ელექტრონული საქმისწარმებაა. გაგვაცანით მისი სტრუქტურა, რეალურად რა შედეგათებს მისცემს იგი ადვოკატთა კორპუსს?

უკვე ორი წელია, რაც ამ საკითხზე მიდის მუშაობა სასამართლო სისტემაში. ცოტა უფრო ადრე, დაახლოებით, 4 წლის წინ დავიწყეთ შიდა ფორმატში ამ ელექტრონული პროგრამის გამოცდა, რომლის დახმარებითაც ამ პერიოდში მთელი საქმე ციფრულ ფორმატში გადაგვექონდა. ახლა კი უკვე ჩავრთეთ ახალი სისტემა, რომელშიც გარე მომხმარებლებსაც შეეძლება ჩართვა. ეს საქმეს გაუიოლებს როგორც პროგრამის მომხმარებელს, ასევე, ჩვენ, რადგან საჭირო აღარ იქნება მთელი რიგი დოკუმენტების დასკანერება, რეგისტრაცია და ა.შ. აქ შევსებული განაცხადი თუ სხვა სახის იურიდიული დოკუმენტი პირდაპირ

საქმის განაწილების ეტაპზე გადავა.

დღეისათვის, საქალაქო სასამართლოს დღეში 7-10 ათასი ადამიანი სტუმრობს სხვადასხვა საკითხზე. 350–კაციანი აპარატით კი შეუძლებელია ყველა მათგანისთვის დროული დახმარების გაწევა და კონსულტაცია. ზუსტად ამან გამოიწვია ის, რომ შევქმენით ასეთი პროგრამა, რომელიც დაგვეხმარებოდა ჩვენც, და, ასევე, კომფორტს შეუქმნიდა გარეშე პირებს: ადვოკატებს თუ დაინტერესებულ მოქალაქეებს. ამისათვის გამოვაცხადეთ კონკურსი, რომელშიც ერთ-ერთმა კერძო კომპანიამ გამარჯვა. სწორედ ის იქნება მომდევნო 20 წლის მანძილზე ჩვენი – სასამართლოსა და ამ პროგრამის მომხმარებლების – შუამავალი. მისი გამოყენება ძალიან მარტივია: ადვოკატები გაივლიან რეგისტრაციას; შემოვლენ პროგრამაში და განახორციელებენ ნებისმიერ მოქმედებას ინტერაქტიულ

რეჟიმში; დისტანციურად აწარმოებენ სასამართლო მიმოწერას. რეალურად საქმის განხილვისას სწორედ მოსამზადებელ პროცესს მიაქვს ხოლმე დიდი დრო. ამ პროგრამის მეშვეობით კი ის, რასაც აქამდე 10 დღე სჭირდებოდა, ახლა უკვე 1 დღეში შეიძლება მოგვარდეს. ადვოკატებისთვის დიდი პლუსია ის, რომ ამ ფორმით მათ შეეძლებათ მიმართონ არა მხოლოდ თბილისის სასამართლოს, არამედ – ნებისმიერ რეგიონს. შესაბამისად, ადვოკატებს ექნებათ საშუალება, სურვილისამებრ, ნებისმიერი რეგიონის საქმე აიღონ და ნებისმიერ სასამართლოსთან აწარმოონ მიმოწერა, ზედმეტი გადაადგილებისა და დროის დაკარგვის გარეშე.

ახლო მომავალში იგეგმება დისტანციური ვიდეო-აუდიო ჩართვებიც. ამ რეჟიმში პირველ ეტაპზე მხოლოდ მოსამზადებელი სხდომების ჩატარებას ვაპირებთ, და ამის საკანონმდებლო ბაზა უკვე გვაქვს.

ასევე ამ პროგრამაში იქნება ჩაშენებული ფოსტა. თუ, მაგალითად, ადვოკატი სასამართლოსგან გზავნილს მიიღებს, ის აღარ ამოებდნავს და შემდეგ ადრესატს არ გაუგზავნის, არამედ იგი, უბრალოდ, გადაამისამართებს მას ფოსტაში, საიდანაც წერილი მოქალაქემდე მივა. ამ პროგრამაშია ასევე კალენდარი, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს ადვოკატებს. კალენდრის არსი ისაა, რომ იგი გამორიცხავს პროცესებისა თუ სასამართლო შეხვედრების დამთხვევას. პროგრამაში შესული მოსამართლე (+ -) 4 საათის სხვაობით დაინახავს, იქნება თუ არა კონკრეტულ დღესა და დროის მონაკვეთში კონკრეტული ადვოკატი თავისუფალი. დღეს პროცესების დამთხვევა ხშირია, რაც იწვევს მათ გადადებას, შედეგად კი საქმისწარმოება ტიანურდება, რითაც როგორც ადვოკატი,

ასევე მოქალაქეც ზარალდება. ასევე, ამ პროგრამის საშუალებით მხარეს შეეძლება სახელმწიფო ბაჟის გადახდაც, რაც დამატებით კომფორტს ქმნის.

ამ პროცესში, გარდა მოსამართლის კომფორტისა, გათვალისწინებულია, სასამართლოსადმი ნდობის გაზრდა, რადგან ნებისმიერი მოქმედება, რომელსაც სასამართლო, მოსამართლე თუ ადვოკატი ახორციელებს, ამ პროგრამაში ღია იქნება მხარეებისთვის. აღარ იქნება საჭირო მოსამართლის თანხმობა. შედეგად, სასამართლო სისტემა იქნება არა მხოლოდ ფასადურად გამჭვირვალე, არამედ – შიგნიდანაც, მასში მიმდინარე პროცესებით.

რამდენად დიდი დაინტერესება გამოიწვია ამ პროგრამის პრეზენტაციამ?

ამ ინიციატივის პრეზენტაცია სულ ცოტა ხნის წინ გაიმართა. ჩვენ შევხვდით ადვოკატებს, რომელთა უმრავლესობამაც დიდი დაინტერესება გამოხატა პროგრამის მიმართ და აპირებენ მისით სარგებლობას.

დაინტერესება დიდია და არა მხოლოდ საქართველოში, მსგავსი სახის ერთიანი პროგრამა, შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ქვეყანას არ აქვს. ჩვენ ვხვდებით მსგავს მაგალითებს დიდ ბრიტანეთში, სადაც ტელეფონით ინტერაქცია ხდება, ასევე, იტალიაში, სადაც გარკვეული მოქმედებების, მაგ., ელექტრონულ რეჟიმში ფოსტით ურთიერთობა გვხვდება. თუმცა მსგავსი ერთიანი პროდუქტი-პროექტი მხოლოდ ჩვენ გვაქვს და მოწონებასაც ვიმსახურებთ. ჩვენ მიწვეულები ვიყავით შუა აზიის ქვეყნებში, ამით დაინტერესდა უკრაინაც, პოსტსაბჭოთა ქვეყნები. ასევე, დიდი მხარდაჭერა გვაქვს უცხოელი პარტნიორებისგან,

გარკვეულწილად, მათ წვლილი ამ პროგრამის დაფინანსებაშიც მიუძღვით.

აქვე დავაზუსტებ, რომ ამ პროგრამის აქტიურად ამოქმედება არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო წყვეტს ჩვეულებრივ საქმისწარმოებას და გადავდივართ სრულად ელექტრონულ რეჟიმზე, რადგან ეს პროცესი შეიძლება საინტერესო და ხელსაყრელი იყოს დიდი ადვოკატურებისა და კომპანიებისთვის. მათ შეიძლება უღირდეთ კიდევ ამაში გარკვეული თანხის გადახდა. რაც შეეხება მოქალაქეს, რომელსაც შეიძლება არ ჰქონდეს სურვილი ან შესაბამისი თანხა, ამ მომსახურებით სარგებლობა მას მაინც შეეძლება, ოღონდ ამას ეწეება მხოლოდ ინფორმაციის გაცნობის სახე, ის ვერ ჩაერთვება ინტერაქციაში, ვერ გაგზავნის რაიმე საბუთს ან წერილს.

მას შემდეგ, რაც საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის შესახებ, ამან მათში არაერთგვაროვანი ემოცია გამოიწვია. თქვენი აზრით, რამდენად საჭირო და სასარგებლოა ეს ქვეყნისათვის, რას შეუწყობს ან შეუშლის იგი ხელს?

ჩემი აზრით, ერთ-ერთი წინაპირობა, რაც სასამართლოს უფრო მყარ ინსტიტუციად აქცევს, არის მოსამართლის უვადოდ დანიშვნა. თუ სახელმწიფოს სურვილი აქვს, რომ მართლმსაჯულება მუდმივად თავისი მოწოდების სიმაღლეზე იდგეს და უფრო და უფრო განვითარდეს, მოიპოვოს მეთი დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ამის მთავარი წინაპირობა სწორედ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა იქნება.

მეორე საკითხია, მოსამართლედ დანიშვნამდე 3–წლიანი გამოსაცდელი ვადა. ამ მოდელით რამდენიმე ქვეყანა კვლავ სარგებლობს, თუმცა მთელი რიგი სახელმწიფოები მას აღარ

იყენებენ. ვენეციის კომისიის დასკვნაშიც მითითებულია, რომ მსგავსი პრაქტიკის გამოყენება ნაკლებადაა სასურველი. ამ თემაზე საუბრისას ხშირად მოჰყავთ, მაგალითად, გერმანია, თუმცა მათ, ჩვენგან განსხვავებით, არა აქვთ იუსტიციის უმაღლესი სკოლა, რაც განსხვავებულ პოზიციებზე გვაყენებს. გერმანიაში მოსამართლე უვადოდ ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში რაიმე სამართლებრივ გადაცდომას არ ჩაიდენს. ამასთანავე, ეს ერთგვარი უნდობლობაცაა სხვა ინსტიტუტების მიმართ. მე პირად შეურაცხყოფას არ ვაყენებ იმ პიროვნებებს, რომლებიც ერთგვარ მონიტორინგს გაუწევინ გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეებს, თუმცა მეტია ალბათობა იმისა, რომ ვიღაცამ სუბიექტურად გამოიყენოს ეს უფლება და შეუშალოს ხელი ამა თუ იმ პრინციპული მოსამართლის დანიშვნას. ამ ბერკეტის ვინმესთვის ხელში ჩაგდება არასასურველია, რადგან აქ უკვე ჩნდება მოსამართლეზე ზემოქმედების შანსი, მისი გადაწყვეტილებების კონტროლი, რაც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, სადაც მითითებულია, რომ არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს მისი გადაწყვეტილების შესახებ ანგარიში. ერქმევა ამ პროცესს ანგარიში თუ მონიტორინგი, ამას შედეგზე არსებითი მნიშვნელობა არ ექნება.

ასევე, უნდა განიმარტოს ის, რომ უვადოდ დანიშვნა არ გულისხმობს იმას, რომ ადამიანი პიროვნული ან პროფესიული გადაცდომის გამო არ დაისჯება. უბრალოდ, ამით იგი თავის საქმიანობაში იქნება დაცული და დამოუკიდებელად მიიღებს გადაწყვეტილებებს.

სასამართლო არის ქვეყნის სტაბილურობის, ეკონომიკური განვითარების

გარანტი. ის უნდა იქცეს სტაბილურ საყრდენად და ხელისუფლების ცვლასთან ერთად არ იცვლებოდეს.

თქვენ 2012 წლიდან გიკავიათ ეს თანამდებობა, რა ზოგადი სიტუაცია დაგხვდათ თბილისის საქალაქო სასამართლოში და რა შეიცვალა მას შემდეგ?

ზოგადი სიტუაცია მაშინაც რთული იყო და ახლაც რთულია, თუკი საქმეთა სიმრავლით ვიმსჯელებთ. მე ვერ ვიტყვი, რომ რაიმე ძალიან კარგად ან ცუდად იყო. წინა წლების მდგომარეობას ვერ შევაფასებ, თუმცა გეტყვით, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩვენ, ამერიკელი პარტნიორების დახმარებით და დაფინანსებით, შევქმენით ჯგუფი, დავინწყეთ ევროპის სასამართლო გადაწყვეტილებების თარგმნა. შემდეგ ამ საქმეებს ვაანალიზებთ და ვცდილობთ, ჩვენს სასამართლო პრაქტიკას მივუსადაგოთ, გავავლოთ პარალელები. ეს ძალიან სასარგებლო საქმეა. დღეს ბევრი გადაწყვეტილების დასაბუთებაში გამოიყენება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები და ეს თარგმანები ჩვენ ძალიან დაგვეხმარება.

რა სამომავლო გეგმები აქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს?

ახლა მოსამართლეების დანიშვნას ველოდებით, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, უცხოურ პრაქტიკაზე დაყრდნობით, ვცვლით მიდგომებს გარკვეულ საკითხებთან და საქმეებთან მიმართებაში.

ახალი მოსამართლეების დანიშვნის შემდეგ, საქალაქო სასამართლოს აუცილებლად დასჭირდება ახალი

დარბაზები და შენობა. ასევე, გვინდა, რომ შევექმნათ პრაქტიკის ანალიზის განყოფილება, რომელიც გააანალიზებს გადაწყვეტილებებს. ეს დაგვეხმარება იმაში, რომ შევექმნათ ერთგვარი წარმოდგენა, სასამართლო პრაქტიკა, რომელსაც შემდეგ ყველა დაინტერესებული ადამიანი გაეცნობა. ასევე, ზოგადად, სასურველია, რომ შეიქმნას ადვოკატების მხრიდან მოქალაქეების კონსულტაციების სისტემა, რაც იმას გულისხმობს, რომ მანამ, სანამ სასამართლომდე საქმე მოვა, მას ადვოკატი გაეცნობა, პრობლემას და სავარაუდო დასკვნას ზოგადი პრაქტიკიდან შეაფასებს. ეს არ შედის უშუალოდ საქალაქო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში, თუმცა დიდ შეღავათს გაგვიწევს და მომართვები უფრო კომპეტენტური იქნება.

რა იგეგმება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში?

წელს სკოლას ახალი შენობა აქვს, მომავალ წელს ვფიქრობთ სპეციალური კურსის შემოღებას. ავიღებთ კონკრეტულ თემატიკას. დაინტერესებული პირები გაეცნობიან სასამართლო პრაქტიკას, ჩატარდება ლექციები, მონაწილეები აიმაღლებენ ცოდნას და მიიღებენ სერტიფიკატებს. ასევე, იგეგმება უცხოელების ჩამოყვანა, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას გაგვიზიარებენ. შესაძლოა დისტანციური შეხვედრებისა და სემინარების მოწყობაც. ეს დაახლოებს არა მხოლოდ საქალაქო სასამართლოსა და გარეშე პირებს, არამედ პროკურატურას, ადვოკატებსა და სხვა რაიონის სასამართლოებს.



ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

მოკლე მიმოხილვა

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ საქმეში „კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ“ იმსჯელა 18–წლიანი სტაჟის მქონე მოსამართლის სასამართლო სისტემიდან გათავისუფლების ფაქტზე, რომელიც საჯაროდ აკრიტიკებდა რუსული მართლმსაჯულების სისტემას.

მოსამართლე ქალბატონი კუდეშკინა პოლიციის გამომძიებლის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საქმეს განიხილავდა. პროცესის მსვლელობისას მოსამართლეს მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავჯდომარე დაუკავშირდა და პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით გარკვეული რჩევები მისცა. მოგვიანებით მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავჯდომარემ მოსამართლე კუდეშკინა აღნიშნული საქმის განხილვას ჩამოაშორა. რამდენიმე თვეში ქალბატონმა კუდეშკინამ მონაწილეობა მიიღო რუსეთის დუმის არჩევნებში. წინასაარჩევნო პერიოდში მან მედიით მკაცრად გააკრიტიკა

სასამართლო სისტემა. კუდეშკინა რუსეთის საკანონმდებლო ორგანოში არ აირჩიეს, თუმცა საარჩევნო კამპანიის დასრულებისთანავე მას მოსამართლის შეჩერებული უფლებამოსილება ჩვეულებრივ აღუდგინეს. მოგვიანებით მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავჯდომარემ მოითხოვა კუდეშკინას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება, ვინაიდან იგი თვლიდა, რომ საჯარო გამოსვლების დროს კუდეშკინა დისკრედიტაციას უწევდა სასამართლო სისტემას, ხოლო მისი ქმედებები მოსამართლის საქმიანობასთან შეუსაბამო იყო. საგულისხმოა, რომ თავად კუდეშკინამ ვერ შეძლო საქალაქო სასამართლოს თავჯდომარის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება მასზე გენოლის ფაქტთან დაკავშირებით.

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში ქალბატონი კუდეშკინა ამტკიცებდა, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მას უკრძალავდა მოსამართლის პოზიციის დაკავებას, მის მიერ გაკეთებული კრიტიკული

საჯარო განცხადებების გამო, შეუსაბამო იყო გამოხატვის თავისუფლების პრინციპებთან. საქმის განხილვისას სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა, რომ სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები საჯარო ინტერესის სფეროს წარმოადგენს, რომლის შესახებაც დებატები მეათე მუხლით არის დაცული. სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა წინასაარჩევნო კამპანიის კონტექსტში კანიდადატების მიერ გამოხატვის თავისუფლების შეუზღუდაობას. იმის დასადგენად, იყო თუ არა განმცხადებლისთვის მოსამართლის პოზიციაზე მუშაობის შეზღუდვა, მის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებების საფუძველზე, “აუცილებელი

დემოკრატიულ საზოგადოებაში”, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლე კუდემშკინას არ დაურღვევია სამოსამართლო ეთიკა და არ უსაუბრია ისეთ საკითხებზე, რომლებიც შესაძლებელია შეფასდეს როგორც საქმის ფაქტთა გამომჟღავნება. ამასთან, სასამართლომ ხასგასმით აღნიშნა, რომ მიღებული სანქცია – თანამდებობიდან გათავისუფლება, არის ერთგვარი “გამყინავი ეფექტის” მქონე (ანუ სანქციის შიშს გავლენა აქვს გამოხატვის თავისუფლებაზე) იმ მოსამართლეების მიმართ, რომელთაც სურთ საჯარო დებატებში მონაწილეობის მიღება. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მეათე მუხლის დარღვევის ფაქტი.

**ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული
სასამართლოს გადაწყვეტილება
საქმე: “კუდემშკინა რუსეთის წინააღმდეგ”
CASE of Kudeshkina v.Russia)
(განაცხადი N 29492/05)**

2009 წლის 26 თებერვალი

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

6. განმცხადებელი [ოლგა კუდემშკინა] დაიბადა 1951 წელს და ცხოვრობს მოსკოვში. ის მუშაობდა მოსამართლედ 18 წლის განმავლობაში.

ა. განმცხადებლის მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეში ზაიცევის წინააღმდეგ

8. 2003 წელს განმცხადებელი დაინიშნა განმხილველ მოსამართლედ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ეხებოდა პოლიციის გამომძიებელ ზაიცევის მიერ თანამდებობრივი ძალაუფლების

არაკეთილსინდისიერად გამოყენებას. მას ბრალად ედებოდა არაკანონიერი ჩხრეკა, როდესაც იძიებდა საქმეს ფართომასშტაბიან საბაჟო და ფინანსურ მაქინაციებზე, რომელშიც მონაწილეობდა კომპანიების ჯგუფი და, სავარაუდოდ, გარკვეული მაღალი თანამდებობის პირები.

9. 2003 წლის ივნისში სასამართლომ, რომელიც შედგებოდა განმცხადებლისგან, მოსამართლის რანგში და ორი მსაჯულისგან, ქალბატონი ი. და ქალბატონი დ., დაიწყო საქმის განხილვა. 2003 წლის 26 ივნისის სხდომაზე სასამართლომ პროკურორს

ბრალდების მტკიცებულების წარდგენა მოსთხოვა. მან [პროკურორმა] განაცხადა, რომ სასამართლომ ვერ უზრუნველყო პროკურატურის მოწმეების დასწრება და უკმაყოფილება გამოთქვა პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. შემდეგ დღეს, 2003 წლის 27 ივნისს, პარასკევს, მან [პროკურორმა] გაასაჩივრა განმცხადებლის მოსამართლეობა იმ საფუძველით, რომ მან [მოსამართლემ] გამოავლინა მიკერძოებულობა ერთ-ერთი დაზარალებულის დაკითხვისას. სხვა მხარეებმა, მათ შორის დაზარალებულმაც, პროკურორის საჩივარი უარყვეს. იმავე დღეს მსაჯულებმა არ დააკმაყოფილეს პროკურორის საჩივარი, რის შემდეგაც პროკურორმა ორივე მსაჯულს უნდობლობა გამოუცხადა. საქმის მხარეებმა პროკურორის უნდობლობა არ გაითვალისწინეს...

10. ორშაბათს, 2003 წლის 30 ივნისს, ორივე მსაჯულმა გადადგომა მოითხოვა.

12. 2003 წლის 3 ივლისს განმცხადებელმა დააკმაყოფილა ორივე მსაჯულის თხოვნა გადადგომის შესახებ, რადგან დაადგინა:

“საქმის მოსმენისას მსაჯულებმა ი.–მ და დ.–მ გამოთქვეს სურვილი, მოხსნილიყვნენ პროცესიდან იმის საფუძველზე, რომ მათ არ ეძლეოდათ საშუალება, განეხილათ საქმე მათ მიმართ [პროკურორის] მიკერძოებული და მიუღებელი ქცევისა და საქმის განხილვის პროცესის უზნეო გარემოს გამო, რაზეც პასუხისმგებელი პროკურორია და, რაც მათთვის კატეგორიულად მიუღებელია.”

13. განმცხადებლის მიხედვით, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს პრეზიდენტმა, ქალბატონმა იეგოროვამ, ამის შემდეგ, საქმის მიმდინარეობისას, გამოიძახა განმცხადებელი თავის კაბინეტში და

მას საქმის დეტალები ჰკითხა, დაუსვა მას გარკვეული კითხვები პროცესის დროს ქცევისა და ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილებების შესახებ.

14. მხარეები ვერ თანხმდებიან იმ გარემოებებზე, რომელთა შედეგადაც განმცხადებელი საქმის მოსმენას ჩამოშორდა. განმცხადებლის მიხედვით, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს პრეზიდენტმა ის საქმეს 2003 წლის 4 ივლისს, მსაჯულების გათავისუფლებიდან ერთი დღის შემდეგ, ჩამოაშორა. მთავრობა ამტკიცებს, რომ განმცხადებელს საქმე განსახილველად 2003 წლის 23 ივლისამდე ჰქონდა, როცა ის მოსკოვის საქალაქო სასამართლოს პრეზიდენტმა ჩამოაშორა საქმეს. როდესაც განმცხადებელმა ახალი სასამართლო შემადგენლობის დაკომპლექტება დააყოვნა რადგანაც არსებობდა უფრო ხანგრძლივი დაყოვნების საშიშროება, ვინაიდან განმცხადებელმა 2003 წლის 22 ივლისს მოითხოვა შვებულება 11 აგვისტოდან 11 სექტემბერის ჩათვლით.

15. 2003 წლის 23 ივლისს მოსკოვის საქალაქო სასამართლოს პრეზიდენტმა საქმის განმხილველ მოსამართლედ დანიშნა მოსამართლე მ.

16. განმცხადებელი, ასევე, მოსამართლე იყო სხვა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე.

ბ. განმცხადებლის საარჩევნო კამპანია

17. 2003 წლის ოქტომბერში განმცხადებელმა შეიტანა განცხადება რუსეთის ფედერაციის დუმის კანდიდატობაზე. მისი საარჩევნო კამპანია მოიცავდა სასამართლო რეფორმის საკითხებსაც.

18. 2003 წლის 29 ოქტომბერს მოსკოვის მოსამართლეთა კვალიფიკაციის კოლეგიამ დააკმაყოფილა მოსამართლის თხოვნა მისი სასამართლო უფლებამოსილების დროებით

შეჩერების შესახებ, აღნიშნული არჩევნების ჩატარებამდე.

19. 2003 წლის პირველ დეკემბერს განმცხადებელმა ინტერვიუ მისცა რადიო „ეხო მასკვის“, რომელიც იმავე დღეს გავიდა ეთერში.

20. 2003 წლის 4 დეკემბერს ორმა გაზეთმა - „ნოვაია გაზეტამ“ და „იზვესნიემ“ - გამოაქვეყნა განმცხადებლის ინტერვიუ.

22. 2003 წლის 7 დეკემბერს ჩატარდა არჩევნები. განმცხადებელი არ აირჩიეს.

23. 2003 წლის 24 დეკემბერს მოსკოვის მოსამართლეთა კვალიფიკაციის კოლეგიამ განმცხადებელს 2003 წლის 8 დეკემბერიდან აღუდგინა სასამართლო უფლებამოსილება.

გ. განმცხადებლის საჩივარი მოსკოვის საქალაქო სასამართლოს პრეზიდენტის შესახებ

24. 2003 წლის 2 დეკემბერს, განმცხადებელმა მოსამართლეთა კვალიფიკაციის უმაღლეს კოლეგიას წარუდგინა საჩივარი:

“მოვითხოვ, რომ მოსკოვის საქალაქო სასამართლოს პრეზიდენტს, ოლგა ალექსანდრეს ასულ იეგოროვას დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, ჩემ მიმართ არაკანონიერი ზეწოლის განხორციელებისთვის 2003 წლის ივნისში, როდესაც მე ვისმენდი სისხლის სამართლის საქმეს პ.ვ. ბაიცივის წინააღმდეგ. მან მომთხოვა, შემეტყობინებინა მისთვის საქმის გარემოებები, როდესაც საქმე ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და მიმწოდებინა მისთვის ინფორმაცია იმ გადაწყვეტილებებზე, რომელთა მიღებასაც სასამართლო აპირებდა. მან ამ მიზნით სასამართლო განხილვის ოთახიდანაც კი გამიწვია.

მან მომთხოვა გარკვეული ფაილების საქმიდან ამოღება და მაიძულა ოქმის გაყალბება, და, ასევე, მირჩია, მეთხოვა მსაჯულებისთვის, არ გამოცხადებულიყვნენ საქმის განხილვაზე. როდესაც ამ არაკანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განვუცხადე, მან ჩამომაცილა განხილვას და საქმე სხვა მოსამართლეს გადასცა.”

25. 2003 წლის 15 დეკემბერს, ქალბატონმა დ.-მ, ერთ-ერთმა მსაჯულმა, რომელმაც 2003 წლის 3 ივლისს ზაიცივის სისხლის სამართლის საქმიდან ჩამოშორება ითხოვა, მოსამართლეთა კვალიფიკაციის უმაღლეს კოლეგიას განმცხადებლის მხარდამჭერი წერილი გაუგზავნა.

26. 2003 წლის 16 დეკემბერს მეორე მსაჯულმაც ქალბატონმა ი.-მ, რომელმაც საქმიდან ჩამოშორება ითხოვა, მსგავსი შინაარსის წერილი გაუგზავნა მოსამართლეთა კვალიფიკაციის უმაღლეს კოლეგიას.

27. ანალოგიური ბრალდებები გააჟღერა სასამართლოს მდივნმა, ქალბატონმა ტ.-მ, წერილში, რომელიც მან რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტს მისწერა. [...]

28. განმცხადებლის მიერ საჩივრის შეტანის შემდეგ, 2003 წლის 2 დეკემბერს, მოსამართლეთა კვალიფიკაციის უმაღლესმა კოლეგიამ დანიშნა ბატონი ს., მოსკოვის კომერციული სასამართლოს მოსამართლე, ქალბატონი იეგოროვას წინააღმდეგ სარჩელის განსახილველად.

30. 2004 წლის 11 მაისს მოსამართლეთა კვალიფიკაციის უმაღლესმა კოლეგიამ უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტს იეგოროვას წინააღმდეგ საჩივარზე თავისი დასკვნები გააცნო. საქმის გარემოებების შეფასების გარეშე მან გადაწყვიტა, რომ არ არსებობდა

საკმარისი მტკიცებულება იეგოროვას წინააღმდეგ დისციპლინური საქმის აღძვრის შესახებ.

31. 2004 წლის 17 მაისს მოსამართლეთა კვალიფიკაციის უმაღლესმა კოლეგიამ იეგოროვას წინააღმდეგ დისციპლინური დევნა შეწყვიტა... იმავე დღეს განმცხადებელს წერილის საშუალებით შეატყობინეს, რომ მისი საჩივარი სასამართლოს პრეზიდენტის წინააღმდეგ განხილული იქნა და დამატებითი ზომების მიღება საჭიროდ არ ჩაითვალა.

დ. განმცხადებლის გათავისუფლება სამსახურიდან

32. დაუდგენელი თარიღით, განმცხადებლის მოსამართლის თანამდებობაზე დაბრუნებამდე, მოსკოვის მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდენტმა მოითხოვა განმცხადებლის მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება. მან მიმართა მოსკოვის მოსამართლეთა კვალიფიკაციის კოლეგიას ბრალდებით, რომ განმცხადებელი თავისი საარჩევნო კამპანიის დროს იქცეოდა თავის თანამდებობასთან და მოსამართლის ქცევასთან შეუსაბამოდ. მან აღნიშნა, რომ განმცხადებლის ინტერვიუებში ეს უკანასკნელი მიზანმიმართულად აყენებდა შეურაცხყოფას სასამართლო სისტემას და ინდივიდუალურ მოსამართლეებს; აკეთებდა ყალბ განცხადებებს, რომლებსაც შეიძლება შეცდომაში შეყვანა საზოგადოება და სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი ეჭვქვეშ დაეყენებინა. განმცხადებელმა დააფიქსირა თავისი უარყოფა აღნიშნული ბრალდების მიმართ.

34. 2004 წლის 19 მაისს მოსკოვის მოსამართლეთა კვალიფიკაციის კოლეგიამ განიხილა მოსკოვის მოსამართლეთა საბჭოს მოთხოვნა.

განმცხადებელი არ ესწრებოდა განხილვას, როგორც ჩანს, საპატიო მიზეზის გარეშე. მოსკოვის მოსამართლეთა კვალიფიკაციის კოლეგიამ დაადგინა, რომ განმცხადებელმა ჩაიდინა დისციპლინური დარღვევა და მას მოსამართლის სტატუსი უნდა შეჩერებოდა “მოსამართლეთა სტატუსის შესახებ რუსეთის ფედერაციის კანონის” შესაბამისად.

42. 2005 წლის 19 იანვარს, რუსეთის ფედერაციის უზენაესმა სასამართლომ, საბოლოო ინსტანციამ, ძალაში დატოვა [...] მოსკოვის მოსამართლეთა კვალიფიკაციის კოლეგიისა და მოსკოვის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები. [...]

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

კანონმდებლობა

ა. განმცხადებლის არგუმენტები

54. განმცხადებელმა იჩივლა, რომ მოსკოვის მოსამართლეთა კვალიფიკაციის კოლეგიის გადაწყვეტილება, რომელიც მას მოსამართლის პოზიციის დაკავებას უკრძალავს მის მიერ ვაკეთებული კრიტიკული საჯარო განცხადებების გამო, შეუსაბამოა მეთე მუხლის პრინციპებთან. მან აღნიშნა, რომ მოსამართლეებს, ისევე როგორც სხვა პირებს, აქვთ მეთე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და რომ მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არ იყო კანონით გათვალისწინებული, არ ემსახურებოდა კანონის მიზანს და, საბოლოოდ, არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. მისი არგუმენტები შეიძლება შემდეგნაირად იქნას ჩამოყალიბებული.

(გ) “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში”

60. [...] განმცხადებელმა განაცხადა, რომ სადავო ზომა წარმოადგენდა არაპროპორციულ ჩარევას გამოხატვის თავისუფლებაში და, შესაბამისად, ვერ ჩაითვლებოდა “აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში”.

61. განმცხადებელმა განმარტა, რომ მისთვის არ უნდა შეეზღუდათ სასამართლოს ადგილობრივი სისტემის კრიტიკა მხოლოდ იმიტომ, რომ ის მოსამართლე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ის საჯარო მოხელე იყო, მასაც, ისევე როგორც სხვა მოქალაქეებსაც, ჰქონდა კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები.

62. განმცხადებელმა განაცხადა, რომ საფუძველი, რომლის შესაბამისადაც დაიწყო მის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, წარმოადგენდა მისი აზრის გამოხატვას, ანუ იყო შეფასებითი ხასიათის და – არა ფაქტის გაცხადება. თუმცა იგი აცხადებდა, რომ ფაქტები, რომელთაც მისი მოსაზრება ეყრდნობოდა, იყო სიმართლე და დასტურდებოდა მტკიცებულებებით.

63. მთავრობის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ “ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამებოდა”, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ფაქტების გადამოწმების მცდელობას ადგილი არ ჰქონია. მისი ბრალდება, ზაიცვევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესის დროს არაკანონიერ გეწოლაზე, არ გამოძიებულა ეფექტურად და საპირისპირო არ დადასტურებულა შეჭიბრობითობის პრინციპის შესაბამისად. გამოძიება, რომელიც დაიწყო მოსამართლეთა კვალიფიკაციის უმაღლეს კოლეგიაში, მისი საჩივრის შესაბამისად, არ იყო საჯარო და ჩატარდა არაფორმალურად. მისი დასკვნები, შესაბამისად,

ვერ ჩაითვლება ოფიციალურად დადასტურებულ ფაქტებად... მოსკოვის მოსამართლეთა საბჭოს უნდა დაემტკიცებინა, რომ განმცხადებლის განცხადებები სიმართლეს არ შეესაბამებოდა. შესაბამისმა ორგანოებმა არ გაათავისუფლეს განმცხადებელი მტკიცების ტვირთისაგან მოსკოვის მოსამართლეთა კვალიფიკაციის კოლეგიის წინაშე და არც შემდგომი პროცესებისას.

64. მოსკოვის საქალაქო სასამართლოს პრეზიდენტის მხრიდან არაკანონიერი გეწოლის დასტურად, განმცხადებელმა მოიყვანა მსაჯულების განცხადებები და სისხლის სამართლის საქმის სხვა მოსამართლისთვის არაკანონიერად გადაცემა. მან განაცხადა, რომ სასამართლო ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ეს მტკიცებულება, თქვარა უარი კონკრეტულად მსაჯულების და სხვა მონშეების დაკითხვაზე, მიუხედავად განმცხადებლის მოთხოვნისა.

2. მთავრობის არგუმენტები

65. მთავრობას არ უდავია კონვენციის მეათე მუხლის შესაბამისობაზე ამ საქმის მიმართ. [...]

66. თუმცა მთავრობამ განაცხადა, რომ ეს შეზღუდვა გამართლებული იყო კონვენციის მეათე მუხლის მეორე პარაგრაფით, რადგან ის გათვალისწინებული იყო კანონმდებლობით, მიზნად ისახავდა ლეგიტიმურ მიზნებს და “აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში”. მთავრობის არგუმენტები შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს:

(გ) “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში”

70. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლისთვის მოსამართლის თანამდებობის შეწყვეტა შესაბამისი ლეგიტიმური მიზნების პროპორციული

იყო და შესაბამისობაში იყო “მნიშვნელოვან სოციალურ საჭიროებასთან”. მათ მიმართეს სასამართლოს ძველ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, “როდესაც საქმე ეხება საჯარო მოსამსახურის გამოხატვის თავისუფლებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათე მუხლის მეორე პარაგრაფით გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული ხელისუფლებისთვის გარკვეული დისკრეციის უფლებას, რათა მან გადაწყვიტოს, შეესაბამება თუ არა შესაბამისი ჩარევა ზემოთაღნიშნულ მიზანს”. [...] მათ განაცხადეს, რომ მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი სხვა საჯარო მოსამსახურისა. შესაბამისად, სახელმწიფოს უნდა მიეცეს კიდევ უფრო ფართო დისკრეციის უფლება, რათა მან შემოიღოს და გაატაროს მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი ზომები.

71. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლის მიერ ჩადენილი დისციპლინური დარღვევა შეიცავდა ორ სხვადასხვა ასპექტს, თითოეული მათგანი იყო იმდენად მძიმე, რომ ის ამართლებდა მის მიმართ დამდგარ დისციპლინურ სანქციას.

72. პირველი ასპექტი იყო მოსამართლეებისა და სასამართლო სისტემის შესახებ განცხადებების გაკეთება, რომელშიც მან ბრალი დასდო ქალბატონ ივგოროვას და თანამდებობის სხვა პირებს კანონის დარღვევაში. თუმცა მოსამართლეთა კვალიფიკაციის უმაღლესი კოლეგიის მიმართ აღძრულ საჩივარში მან ვერ წარმოადგინა აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება...

73. მთავრობამ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ აღნიშნული განცხადებები იყო შეფასებები, მათ მაინც სჭირდებოდათ ფაქტობრივი საფუძველი და ყველა შემთხვევაში უნდა დარჩენილიყო იმ მაღალი მორალური სტანდარტების შესაბამისი, რომლებიც მოეთხოვებათ მოსამართლეებს. ამ შემთხვევაში, განმცხადებელი გასცდა იმ ზღვარს, რაც მისაღებია საჯარო მოხელისგან, განსაკუთრებით კი, მოსამართლისგან. მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია ყველასთვის, სასამართლო ეთიკის ნორმები აწესებს გარკვეულ შეზღუდვას მოსამართლის თანამდებობაზე მომუშავე პირებისთვის. ეს უკანასკნელნი მოქმედებენ როგორც კანონის უზენაესობის გარანტორები და საჭიროა მათგან მისაღებ ქცევაზე ლიმიტების დანერგვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა. უფრო მეტიც, მოსამართლის მიერ გამოხატული მოსაზრება საზოგადოების შეცდომაში შეყვანის კიდევ უფრო დიდ საფრთხეს ქმნის, ვიდრე მსაჯულების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. საზოგადოება, როგორც წესი, ენდობა ადამიანებს, რომელთაც აქვთ სასამართლო სისტემის პროფესიული ცოდნა და მათ ხედვებს პატივს სცემენ, როგორც დაბალანსებულსა და ავტორიტეტულს.

74. განმცხადებლის დისციპლინური დარღვევის მეორე ასპექტი ეხებოდა მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ბაიცივის სისხლის სამართლის საქმეში, რომელიც იმ დროისთვის ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. მიუღებელი იყო მოსამართლის მიერ მიმდინარე საქმის შესახებ კომენტარის გაკეთება, რადგან ეს საფრთხეს უქმნიდა შესაბამისი მოსამართლის იურისდიქციას, დამოუკიდებლობასა

და მიუკერძოებლობას.

75. განმცხადებლის არგუმენტზე პასუხის გაცემისას, რომ დაინტერესებულ პირებს თავად უნდა შეეტანათ საჩივარი ცილისწამების ბრალდებით, მთავრობამ განაცხადა, რომ ამ ინდივიდებს არ ჰქონდათ პერსონალური შუილი განმცხადებლის მიმართ და არ სურდათ არანაირი პერსონალური მიზნების მიღწევა მსგავსი სასამართლო პროცესის დანყებით.

76. მთავრობა ასევე აცხადებდა, რომ განმცხადებელმა ბოროტად გამოიყენა მოსამართლის თანამდებობა, რათა მიეღწია საკუთარი პერსონალური მიზნებისთვის, კერძოდ, რათა მიეღო ამომრჩევლის მხარდაჭერა მისი კოლეგებისა და სასამართლო ინსტიტუტების რეპუტაციის ხარჯზე. ამიტომაც, მან აღნიშნული ბრალდება წარადგინა სადავო მოვლენებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, საარჩევნო კამპანიის დროს. [...]

ბ. სასამართლოს შეფასება

79. საქმის განხილვის საგანი, სასამართლოს შეფასებით, და ამაზე მხარეებიც თანხმდებიან, იყო განმცხადებლისათვის მოსამართლის პოზიციის დაკავების შეზღუდვის გადაწყვეტილება, რაც გამოიწვია მედიაში მისმა განცხადებებმა. [...]

80. სასამართლო მიიჩნევს, რომ დისციპლინური ზომა განმცხადებლის წინააღმდეგ წარმოადგენს კონვენციის მეათე მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას. ამასთანავე, შეზღუდვის არსებობა არ იყო მხარეებს შორის დავის საგანი. შესაბამისად, სასამართლო განიხილავს, გამართლებული იყო თუ არა აღნიშნული მოქმედება კონვენციის მეათე მუხლის მეორე პარაგრაფით.

2. “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში”

82. იმის დასადგენად, იყო თუ არა განმცხადებლისათვის მოსამართლის პოზიციამე მუშაობის შეზღუდვა, მის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებების საფუძველზე, “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში”, სასამართლო განიხილავს საქმის გარემოებებს მთლიანობაში და განიხილავს მათ სხვა საქმეებზე არსებული გადაწყვეტილებებით დადგენილი პრინციპების შესაბამისად, რომლებიც შეიძლება შემდგენიარად შეჯამდეს [...]:

“(i) გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს და მისი პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციისთვის აუცილებელ პირობას. მეათე მუხლის მეორე პარაგრაფის გათვალისწინებით, ის მიესადაგება არა მხოლოდ იმ “ინფორმაციას” და “იდებს”, რომლებიც დადებითად, არაშეურაცხყოფლად ან არანაირი მნიშვნელობის მქონედ აღიქმება სხვა პირების მიერ, არამედ, ასევე, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის შეურაცხყოფას აყენებს, შოკს იწვევს და აწუხებს სხვებს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და გახსნილი გონების მოთხოვნები, რომელთა გარეშეც “დემოკრატიული საზოგადოება” არ არსებობს. როგორც აღნიშნულია მეათე მუხლში, ეს თავისუფლება შეიძლება განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიზღუდოს, თუმცა ამგვარი შეზღუდვის უფლება აღქმული უნდა იქნას ძალიან მკაცრად, და ნებისმიერი შეზღუდვის აუცილებლობა უნდა დამტკიცდეს ძალიან მკაცრად...

(ii) გედსართავი სახელი “აუცილებელი” მეათე მუხლის მეორე პარაგრაფში გულისხმობს “მნიშვნელოვან სოციალურ

საჭიროებას”. კონვენციის ხელმოწერა ქვეყნებს აქვთ გარკვეული დისკრეციის უფლება, შეაფასონ, არსებობს თუ არა ასეთი საჭიროება, მაგრამ ეს ხდება ევროპული ზედამხედველობის პარალელურად, კანონმდებლობისა და არსებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, მათ შორისაა დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. შესაბამისად, სასამართლოს აქვს უფლება, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, შეესაბამებოდეს თუ არა “შეზღუდვა” მეთავე მუხლით გათვალისწინებულ გამოხატვის თავისუფლებას.

(iii) სასამართლოს ამოცანას, ზედამხედველობითი იურისდიქციის განხორციელებისას, არ წარმოადგენს კომპეტენტური ეროვნული ხელისუფლების ადგილის დაკავება, არამედ მისი ამოცანაა გადახედოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მათ მიიღეს მეთავე მუხლის შეზღუდვის დისკრეციასთან დაკავშირებით. ეს არ გულისხმობს, რომ ზედამხედველობა ლიმიტირებულია მხოლოდ იმის დასტურად, გამოიყენა თუ არა შესაბამისმა სახელმწიფომ დისკრეციის უფლება კეთილგონივრულად, ფრთხილად და ლეგიტიმური მიზნებით; სასამართლომ უნდა შეხედოს აღნიშნულ ჩარევას, როგორც ერთიანს საქმის კონტექსტში და დაადგინოს, იყო თუ არა ის “ლეგიტიმური მიზნის პროპორციული” და ეროვნული ხელისუფლების მიერ გამოყენებული მიზნები აღნიშნული ჩარევის გასამართლებლად, იყო თუ არა “რელევანტური და საკმარისი” ... აღნიშნული პროცესისას, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნულმა მთავრობამ გამოიყენა სტანდარტები, რომლებიც შესაბამისობაში იყო მეთავე მუხლის პრინციპებთან, და ამასთანავე, რომ მათ შესაბამისი ფაქტები შესაბამისად შეაფასეს”.

83. ამასთანავე, სასამართლო იმეორებს, ჩატარებული პროცესების სამართლიანობა, პროცედურული გარანტიების დაცვა [...], დაკისრებული სანქციის ხარისხი და სიმკაცრე [...] გათვალისწინებული იქნება მეთავე მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას.

84. იმის შესაფასებლად, არსებობდა თუ არა “აუცილებელი სოციალური საჭიროება”, რომელიც გაამართლებდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას, ფრთხილად უნდა განვასხვავოთ ფაქტები და შეფასებები. ფაქტების არსებობის დადასტურება შესაძლებელია მაშინ, როცა შეფასებების სიმართლის დადასტურებას დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენა სჭირდება [...]. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც განცხადება შეფასებითია, ჩარევის პროპორციულობა დამოკიდებულია განცხადების ფაქტობრივი საფუძვლის არსებობაზე, რადგან შეფასებითი განცხადებაც კი ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე შეიძლება გადამეტებული იყოს [...]

86. სასამართლო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები საჯარო ინტერესის სფეროს წარმოადგენს, რომლის შესახებაც დებატი მეთავე მუხლით არის დაცული. თუმცა სასამართლომ მრავალჯერ გაუსვა ხაზი, რომ სასამართლო ხელისუფლების, როგორც სამართლიანობის გარანტორის (ფუნდამენტური ღირებულება კანონით მართულ სახელმწიფოში) გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, რომ ის სარგებლობდეს მაღალი საზოგადოებრივი ნდობით. შესაბამისად, შეიძლება გაჩნდეს დაცვის აუცილებლობა მისი გამანადგურებელი

თავდასხმებისგან, რომლებიც გამყარებული არ არის ფაქტებით, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეები, რომელთაც აკრიტიკებენ, სამსახურეობრივი დისკრეციის ქვეშ იმყოფებიან, რაც მათ კრიტიკაზე პასუხის საშუალებას არ აძლევს [...]. ფრაზა “სასამართლოს ავტორიტეტი” გულისხმობს, რომ სასამართლოები არის, და ხალხის მიერ მიღებულია, როგორც კანონთან დაკავშირებული უთანხმოების მოგვარების ფორუმი, ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე – ადამიანის დანაშაულის ან უდანაშაულობის განმხილველი [...]. სასამართლოს ავტორიტეტის დაცვისას საქმე ეხება იმ ნდობას, რომელიც სასამართლოს უნდა ჰქონდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში, სისხლის სამართლის საქმის განხილვისას კი - ბრალდებულისა და მთლიანად საზოგადოების მიმართ [...]. ამ მიზეზების გამო, სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო სისტემაში მომუშავე საჯარო პირები უნდა ეცადონ, თავი შეიკავონ გამოხატვის თავისუფლების სრული გამოყენებისგან იმ შემთხვევებში, როდესაც ეჭვის ქვეშ შეიძლება დადგეს სასამართლოს ავტორიტეტი და მისი მიუკერძოებლობა[...].

87. წინასაარჩევნო დებატების კონტექსტში, მეორე მხრივ, სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა კანიდადატების მიერ გამოხატვის თავისუფლების შეუზღუდაობას. არჩევნებზე კანდიდატად თავის წარდგენის უფლება, რომელიც გარანტირებულია პირველი ოქმის მესამე მუხლით, ნამდვილი დემოკრატიული რეჟიმის თანდაყოლილი თვისებაა [...]. ეს გამოხატავს ეფექტური პოლიტიკური დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპს, არის კონვენციის სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს ეფექტური და

ღირებული დემოკრატიის შექმნისა და შენარჩუნებისთვის კრიტიკულ ნაწილს, დემოკრატიისა, რომელიც იმართება კანონის უზენაესობით [...].

88. წარდგენილ საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსკოვის მოსამართლეთა კვალიფიკაციის კოლეგიამ განმცხადებელს წაუყენა დისციპლინური ბრალდება მის მიერ მედიაში გავრცელებულ სამ ინტერვიუში გამოთქმული განცხადებების საფუძველზე. [...]

89. მოსკოვის მოსამართლეთა კვალიფიკაციის კოლეგიამ აღნიშნა, რომ ამგვარი განცხადებებით განმცხადებელმა “სამოქალაქო საზოგადოებაში ყალბი და მცდარი მოსაზრებები დათესა”, და რომ ეს განცხადებები “აშკარად ფანტაზიაზე, გაცნობიერებულად მცდარ და დამახინჯებულ ფაქტებზეა დაფუძნებული”.

91. [...] სასამართლო, თავის მხრივ, აღნიშნულ სამ ინტერვიუში ვერ ხედავს ვერაფერს, რაც შეიძლება ამართლებდეს ბრალდებას “გათქმის” შესახებ. სასამართლოს პრეზიდენტის როლის შესახებ თავის კრიტიკაში განმცხადებელმა აღწერა თავისი გამოცდილება, როგორც მოსამართლემ, სისხლის სამართლის საქმეში ზაიცევის წინააღმდეგ იმ ბრალდებით, რომ სასამართლო წნეხის ქვეშ იყო სხვადასხვა თანამდებობის პირების მხრიდან, კერძოდ კი, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს პრეზიდენტის მხრიდან. მაგრამ ეს განსხვავდება კლასიფიცირებული ინფორმაციის გათქმისგან, რომელიც შეიძლება მისთვის ცნობილი გამხდარიყო მისი სამუშაოდან გამომდინარე [...]. განმცხადებლის მონათხრობი ზემოხსენებული პროცესების შესახებ უნდა ჩაითვალოს ფაქტის გაცხადებად, რაც, მოცემულ

კონტექსტში, ვერ გაიმიჯნებოდა მისი აზრისგან, და რომელიც გამოიხატა იმავე ინტერვიუებში, რომელთა ამონარიდებიც ზემოთ არის მოცემული. შესაბამისად, სასამართლომ უნდა შეაფასოს განმცხადებლის განცხადების ფაქტობრივი საფუძველი, სანამ გადაწყდება მისი შეფასებების შესაბამისობა მოცემულ ინტერვიუებში.

94. სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებელმა გამოთქვა საჭარო კრიტიკა ძალიან მგრძობიარე თემის მიმართ, კერძოდ, სხვადასხვა თანამდებობის პირების დამოკიდებულებაზე ფართომასშტაბიანი კორუფციის საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც ის მოსამართლე იყო. კერძოდ, მისი ინტერვიუები მიუთითებდა შემაშფოთებელ გარემოებებზე და აცხადებდა, რომ მოსამართლეებზე ზენოლა ხშირად ხდებოდა და ამ პრობლემას სერიოზულად სჭირდებოდა მიხედვა, თუ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და საზოგადოების ნდობა მის მიმართ უნდა შენარჩუნებულიყო. ეჭვგარეშეა, რომ ამგვარად მან წამოსწია საზოგადოებრივი ინტერესისთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს თავისუფალ დებატს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მისი გადაწყვეტილება, გაესაჭაროებინა ეს ინფორმაცია, დაფუძნებული იყო მის პერსონალურ გამოცდილებაზე და მიღებული იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას არ მიეცა საშუალება, მონაწილეობა მიეღო სასამართლოში თავის ოფიციალურ განზომილებაში.

95. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ განმცხადებლის მოტივი, გაეკეთებინა საეჭვო განცხადებები, შეიძლება რელევანტური იყოს. სასამართლო ადასტურებს, რომ ქვევა, რომელიც მოტივირებულია პერსონალური

პრეტენზიით ან პერსონალური დაპირისპირებით, ანდა პერსონალური მოგების მოლოდინით, მათ შორის მატერიალური მოგებით, ვერ გაამართლებს დაცვის განსაკუთრებით ძლიერ დონეს [...]. პოლიტიკური გამოხატვა, ამის საპირისპიროდ, სპეციალური დაცვის საგანია მეთავე მუხლის თანახმად [...]. სასამართლომ წარსულში დაადგინა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დებატის საგანს შეიძლება გააჩნდეს პოლიტიკური შედეგები, ეს თავისთავად ვერ გახდება მოსამართლისთვის ამ საკითხზე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისთვის საკმარის გარემოებად [...]. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში მხარეებს შორის დავის საგანი არ არის, რომ ინტერვიუები განმცხადებლის საარჩევნო კამპანიის კონტექსტში გამოქვეყნდა. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ განმცხადებელმა თავს უფლება მისცა გარკვეული დონით გადაეჭარბებინა ან განეზოგადებინა, არის წინასაარჩევნო აკტივაციისთვის დამახასიათებელი თვისება, ამასთან, მისი განცხადებები სრულად არ იყო მოკლებული ფაქტობრივ საფუძველს [...], და შესაბამისად, არ უნდა იქნეს ჩათვლილი უმიზეზო პერსონალურ შეტევად, არამედ სამართლიან კომენტარად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე.

96. რაც შეეხება დისციპლინური სანქციის დაკისრების პროცესს, განმცხადებელი აცხადებდა, რომ სასამართლოებს, რომლებიც მისი კრიტიკის საგანი იყო, არ უნდა მოესმინათ მისი საქმე. სასამართლო აცხადებს, რომ სასამართლო თანამდებობის შეწყვეტის უფლებამოსილება შედიოდა მოსამართლეთა კვალიფიკაციის შესაბამისი კოლეგიის კომპეტენციაში, რომლის გადაწყვეტილებაც შეიძლება გადახედულიყო მოსკოვის საქალაქო სასამართლოსა და უზენაესი

სასამართლოს მიერ. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის პროცესის დაწყებამდე, განმცხადებელმა სთხოვა მოსკოვის საქალაქო სასამართლოსა და უზენაეს სასამართლოს, საქმე გადატანილიყო მოსკოვის საქალაქო სასამართლოდან პირველი ინსტანციის სხვა სასამართლოში, რადგან მოსკოვის საქალაქო სასამართლო გაკრიტიკებული იყო ინტერვიუებში და ამ სასამართლოს წევრები ვერ იქნებოდნენ მიუკერძოებლები მისი დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა მოსკოვის სასამართლომ დაასკვნა, რომ მას არ გააჩნდა კანონიერი ძალა, გამოეცა საქმის გადაცემის ბრძანება, უზენაესმა სასამართლომ კი უგულვებელყო განმცხადებლის თხოვნა და მოგვიანებით, გასაჩივრების ინსტანციის როლში, დაადგინა, რომ განმცხადებელმა ვერ წამოაყენა აღნიშნული საკითხი შესაბამის დროს.

97. სასამართლო თვლის, რომ განმცხადებლის შიში, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, გამართლებული იყო სასამართლოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მისი კრიტიკის გამო. თუმცა, ეს არგუმენტები გათვალისწინებული არ იქნა და, შესაბამისად, გამოიწვია მნიშვნელოვანი პროცედურული დარღვევა. შედეგად, სასამართლო ადგენს, რომ პროცესმა, რომლითაც მოხდა განმცხადებელზე დისციპლინური სანქციების დაკისრება, ვერ შეძლო პროცედურული გარანტიების შექმნა.

98. საბოლოოდ, სასამართლო აფასებს სანქციას, რომელიც დაწესდა განმცხადებელზე. აღსანიშნავია, რომ დისციპლინური სანქცია ითვალისწინებდა მის მიერ მოსკოვის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანამდებობის

დაკარგვას და მოსამართლის თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევას. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული სანქცია მკაცრია და განმცხადებლისთვის ძალიან სტრესული უნდა ყოფილიყო იმ პროცესიანზე წვდომის დაკარგვა, რომელსაც ის 18 წლის განმავლობაში იკავებდა. ეს იყო ყველაზე მკაცრი სანქცია დისციპლინურ დევნაში, და სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნების შესაბამისად, არ შეესაბამებოდა დანაშაულის სიმძიმეს. ამასთანავე, ეჭვგარეშეა, რომ ასეთი ქმედება მომავალში სხვა მოსამართლეებს გაუქრობს სურვილს, გააკეთონ კრიტიკული განცხადებები საჯარო ინსტიტუტების ან პოლიტიკის მიმართ, იმის შიშით, რომ ისინი მოსამართლის თანამდებობას დაკარგავენ.

99. სასამართლო ახსენებს “გამყინავ ეფექტს”, ანუ სანქციის შიშს გავლენა აქვს გამოხატვის თავისუფლებაზე [...]. ეს ეფექტი, რომელიც საზიანოა მთლიანად საზოგადოებისთვის, არის ფაქტორი, რომელიც შეეხება პროპორციულობას და განმცხადებელზე სანქციის დაწესების გამართლებას, რომელსაც, როგორც სასამართლომ ზემოთ დაადგინა, ჰქონდა უფლება აღნიშნული საკითხი საზოგადოების ყურადღების ქვეშ მოექცია.

100. შესაბამისად, სასამართლო შეფასებაა, რომ აღნიშნული სანქცია არაპროპორციულად მკაცრი იყო განმცხადებლის მიმართ, და მეტიც, ჰქონდა “გამყინავი ეფექტი” სხვა მოსამართლეებზე, რომელთაც სურვილი ექნებოდათ სასამართლო ინსტიტუტების ეფექტურობის შესახებ საჯარო დებატში ჩართულიყვნენ.

102. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მეათე მუხლის დარღვევას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება #1/1/543

დავის საგანი: „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

კოლეგიის შემადგენლობა: კონსტანტინე ვარძელაშვილი (სხდომის თავმჯდომარე), ვახტანგ გვარამია (წევრი), ქეთევან ერემაძე (წევრი), მაია კოპალეიშვილი (წევრი, მომხსენებელი მოსამართლე)

საქმის დასახელება: შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქმის განხილვის მონაწილენი: მოსარჩელის წარმომადგენელი – ანზორ ჩოჩიშვილი. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები – ზურაბ დეკანოიძე და თამარ მესხია.

I. აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 21 სექტემბერს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №543) მიმართა შპს „მეტალინვესტმა“. კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად 2012 წლის 26 სექტემბერს გადაეცა საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას.

2. საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის განხილვის მიზნით, 2013 წლის 4 აპრილის №1-3/1/543 განჩინებით, №543 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ გადასცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს, რადგან მიიჩნია, რომ პირველი კოლეგიის სამართლებრივი პოზიცია განსხვავდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 10 აპრილის №3/1/543 საოქმო ჩანაწერით, კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად და საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა პირველ კოლეგიას.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის არსებითი განხილვის სხდომა, გეპირი მოსმენით, გაიმართა 2013 წლის 10 ივნისს.

5. კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

6. მოსარჩელე სადავოდ ხდის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

7. სადავო ნორმის თანახმად, „თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის

უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმოდგენილ მენარმე სუბიექტს შეუძლია ასეთი ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ მენარმე სუბიექტს, რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით“.

8. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“.

9. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმის მოქმედების შედეგად, პირდაპირ და უშუალოდ დაირღვა კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული საკუთრების უფლება. შპს „მეტალინვესტის“ ყოფილმა დირექტორმა კომპანიის ქონება გაასხვისა ისე, რომ მას ამგვარი გარიგების დადების სათანადო უფლებამოსილება არ ჰქონდა მინიჭებული. გარიგების არსებობის შესახებ კომპანიის წარმომადგენლებმა მისი დადებიდან 2 წლის შემდეგ შეიტყვეს. სადავო ნორმით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, შპს „მეტალინვესტის“ ახლანდელი წარმომადგენლები მოკლებული არიან შესაძლებლობას, მოითხოვონ არაუფლებამოსილი დირექტორის მიერ დადებული გარიგების ბათილობა.

10. მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ სადავო ნორმის არსებული რედაქციით, პირებს, რომლებსაც შეზღუდული აქვთ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უძრავ-მოძრავი ქონების გასხვისებაზე, შეუძლიათ

მესაკუთრის ნების სანინააღმდეგოდ განახორციელონ სანარმოს როგორც მთლიანი, ისე ნაწილობრივი გასხვისება, თუ მათ მიერ 18 თვის განმავლობაში გახმაურებული არ იქნება საცილო გარიგება, რაც არაზრად აქცევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლებას. მოსარჩელის მტკიცებით, მესაკუთრე მენარმე სუბიექტი მოკლებულია შესაძლებლობას, განაცხადოს საცილო გარიგების ბათილობა იმ მომენტიდან, როდესაც მისი დადების შესახებ მისთვის ცნობილი გახდა ან უნდა გამხდარიყო, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან.

11. მოსარჩელე მიიჩნევს, ვინაიდან გარიგება მიეკუთვნება სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სფეროს, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში სადავო ნორმის ჩანაწერი, გარიგების ბათილობასთან დაკავშირებით, სრულიად ზედმეტია. მოსარჩელე მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. აღნიშნული დანაწესი სრულად შეესაბამება საკუთრების დაცვისა და ხელშეუვალობის საყოველთაო აღიარებულ კონსტიტუციურ პრინციპს, შესაბამისად, სადავო ნორმით განსაზღვრული რეგულირება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და ლახავს მენარმე სუბიექტის კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლებას.

12. მოსარჩელე დამატებით მიუთითებს, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, არამედ ადამიანის

უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლს, რომლითაც გარანტირებულია ადამიანის უფლება, ისარგებლოს საკუთრებით, ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე.

13. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

14. მოპასუხე განმარტავს, რომ საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური და სადავო ნორმით უფლებაში ჩარევა ხორციელდება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სახელმწიფოს ეკონომიკის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

15. მოპასუხე მიიჩნევს, რომ მენარმე სუბიექტისათვის გარიგების ბათილობის მოთხოვნაზე 18-თვიანი ვადის დაწესება და ამ ვადის გარიგების დადების მომენტიდან ათვლა უზრუნველყოფს საკუთრების უფლებისა და კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობას. გარდა ამისა, სადავო ნორმა პარტნიორებს უბიძგებს საწარმოს საქმიანობის მუდმივი კონტროლისა და მასში ჩართულობისკენ, რაც უზრუნველყოფს მენარმე სუბიექტის სიცოცხლისუნარიანობას. თავის მხრივ, მენარმე სუბიექტების სიძლიერე სახელმწიფოს ეკონომიკის სტაბილური განვითარების გარანტიაა.

16. ამასთან, მოპასუხეს მიაჩნია, რომ სადავო ნორმა მენარმე სუბიექტებს არ აკისრებს უფლებაში ჩარევის გაუმართლებელ ტვირთს დასახელებულ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით.

17. მოპასუხე მიიჩნევს, რომ სამენარმეო

საქმიანობის მოგების მიზანი, არაერთჯერადობა და ორგანიზებულობა მენარმე სუბიექტების პარტნიორთა მაღალჩართულობას უზრუნველყოფს მის ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც დირექტორების საქმიანობაზე კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმია. პარტნიორებს საწარმოს საქმიანობაზე კონტროლისათვის სათანადო სამართლებრივი მექანიზმებიც გააჩნიათ. კერძოდ, „მენარმეთა შესახებ“ კანონის ცალკეული დებულებები უზრუნველყოფს პარტნიორთა უფლებამოსილებას, იყვნენ ინფორმირებულნი მენარმე სუბიექტის და, შესაბამისად, მისი ხელმძღვანელების მიერ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით. მათ უფლება აქვთ, მიიღონ საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული, მათ შორის, საწარმოს მიერ დადებული გარიგებების ამსახველი დოკუმენტაცია.

18. მოპასუხე ასევე აღნიშნავს, რომ საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობისა და მის საქმიანობაში ჩართულობის უფლებამოსილება საწარმოს საქმიანობაზე კონტროლის ვალდებულებაში ტრანსფორმირდება. აქედან გამომდინარე, მენარმე სუბიექტის პარტნიორების მიერ მათი ტრანსფორმირებული ვალდებულების სათანადო წესით შესრულებისას, იმის შანსი, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში, ამ ხელშეკრულების შესახებ ცნობილი არ გახდება მათთვის, ძალიან მცირეა.

19. მოპასუხე დამატებით მიუთითებს, რომ სამენარმეო სუბიექტის სახელით დადებული გარიგებების საჭარო რეესტრში რეგისტრაციისას, სუბიექტის ქონების განკარგვაზე წარმომადგენელი

პირის უფლებამოსილებას საჯარო რეესტრი ადგენს შესაბამისი რეესტრის ამონაწერით. შესაბამისად, არაუფლებამოსილი პირის მიერ გარიგების დადების რესგიტრაცია ვერ მოხდება საჯარო რეესტრში, რაც არაუფლებამოსილი პირების მიერ გარიგებების დადების პრევენციის ერთ-ერთი მექანიზმია.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმით, უფლებაში ჩარევისას, დაცულია კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსი და, ამდენად, სადავო ნორმა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან.

21. განსახილველ საქმეში ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტთა ორი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი იქნა "სასამართლო მეგობრის" მოსაზრებები, რომელთაგან ერთი მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა შეესაბამება კონსტიტუციის 21-ე მუხლის დებულებებს, ხოლო მეორე მხარს უჭერს კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებას.

22. პირველ ჯგუფს მიაჩნია, რომ კონსტიტუციური სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს იმდენად, რამდენადაც უფლებაში ჩარევა თანაბარზომიერია სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზანთან, უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა. სამეწარმეო სუბიექტის პარტნიორებს სწარმოს საქმიანობის კონტროლის სათანადო მექანიზმები გააჩნიათ. ამდენად, გარიგების დადებიდან 18-თვიან ვადაში ბათილობის საფუძვლების შესახებ ინფორმაციის შეუტყობინებლობის ალბათობა მინიმალურია და, შესაბამისად, ხანდაზმულობის

არსებული ვადა გაუმართლებელ ტვირთად არ აწევს სამეწარმეო სუბიექტს. გარდა ამისა, დირექტორთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სისხლის სამართლის შესაბამისი ნორმებითაა დასჯადი, რაც დამატებით იცავს მეწარმე სუბიექტებს ზიანის მიმყენებელი გარიგებებისგან. აღნიშნულის გამო, სადავო ნორმა შესაბამისობაშია კონსტიტუციის 21-ე მუხლის დებულებებთან.

23. მეორე ჯგუფის აზრით, ცალსახა მტკიცება იმისა, რომ სადავო ნორმა სამეწარმეო ბრუნვის სტაბილურობას უზრუნველყოფს, არ შეიძლება. გარდა ამისა, სადავო რეგულირება ვერ იქნება მიჩნეული ლეგიტიმური მიზნების მიღწევისათვის აუცილებელ და გარდაუვალ მექანიზმად. ამასთან, მეწარმე სუბიექტის უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური მიზნების შესაბამისი და თანაბარზომიერი იქნებოდა, თუ გარიგების ბათილობის მოთხოვნის ვადის დინების ათვლა დაიწყებოდა არა გარიგების დადების მომენტიდან, არამედ მეწარმე სუბიექტის მიერ გარიგების ბათილობის საფუძვლების შესახებ შეტყობის მომენტიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მეგობრის მეორე ჯგუფი მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს.

II. სამოტივაციო ნაწილი

1. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლებას. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული საზოგადოების არსებობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საკუთრების, როგორც ბუნებითი უფლების არსებობაზე. „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული

საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჭიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

2. „...გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საკუთრებაში ვლინდება ადამიანი, როგორც მენარმე სუბიექტი ... საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დაცვის სუბიექტია კერძო პირთა საკუთრება, როგორი ფუნქციური დატვირთვაც არ უნდა ჰქონდეს მას, სამენარმეო საქმიანობის განსახორციელებლად იქნება გამოყენებული თუ არასამენარმეო მიზნებისათვის. საკუთრება უპირობოდ დაცული ფასეულობაა, იმის მიუხედავად, თუ რა ღირებულების მფლობელობაა სახეზე და რა სოციალური ტვირთის მატარებელია იგი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე: „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური სანარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-23).

3. „...საკუთრება არის ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს. საკუთრების უფლების დაცვა უცხოა ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის, ხოლო დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, ერთი მხრივ, საკუთრების, როგორც ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტირება, ხოლო, მეორე მხრივ – მესაკუთრისათვის, როგორც სუბიექტისათვის უფლების სამართლებრივი დაცვის საკმარისი საშუალებების მინიჭება, მისი ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის გარანტიების შექმნა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

4. საკუთრება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი უფლება. კანონმდებელი უფლებამოსილია კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების დაცვით დაადგინოს ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და ფარგლებს. „საკუთრებას დიდი სოციალური დატვირთვა აქვს. მესაკუთრე საზოგადოების ნაწილია და არა მხოლოდ უფლებამოსილია, მიიღოს გარკვეული სიკეთეები საზოგადოებისაგან, იგი ვალდებულიცაა, რომ თავისი საკუთრება საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნებისათვის გამოიყენოს. მესაკუთრემ უნდა გაითავისოს, რომ არა მხოლოდ მას აქვს ინტერესები, არამედ ის იმყოფება სხვა ინტერესთა გარემოცვაში, რომელთაგანაც ის იზოლირებული

არ არის და სადაც აუცილებელია ინტერესთა გონივრული ბალანსის დაცვა. ამ ფონზე კანონმდებელი უფლებამოსილია, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების დაცვით დაადგინოს ნორმები რომლებიც განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და ფარგლებს. საკუთრება არის კანონმდებლის მიერ დეფინირებადი უფლება. ამას მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რაც უფრო დიდია საკუთრების ობიექტის სოციალური დატვირთვა, მისი ბუნებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება №2/1-370,382,390,402,405 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები _ ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8).

5. ამავე დროს კანონმდებლობა, რომელიც საკუთრებით სარგებლობას, მის განკარგვას უკავშირდება, უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დადგენილ სტანდარტებს. დაუშვებელია საკუთრების შინაარსის ისეთი რეგულირება, რომელიც დააზიანებს უფლების არსს და საფუძველს გამოაცლის უფლების არსებობას.

6. იმისათვის, რომ გაირკვეს, ახდენს თუ არა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული უფლების დარღვევას, კონსტიტუციური ნორმის არსის გარკვევის გარდა, ასევე აუცილებელია, სადავო ნორმის შინაარსის გაანალიზება.

7. სადავო ნორმის თანახმად, „თუ ხელშეკრულების დადებისას

კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმოდგენილ მენარმე სუბიექტს შეუძლია ასეთი ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ მენარმე სუბიექტს, რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით“.

8. სადავო ნორმა ადგენს ხანდაზმულობის ვადას, რომლის განმავლობაშიც მენარმე სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს კონტრაგენტთან დადებული ხელშეკრულების ბათილობა იმ შემთხვევაში, თუ მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელის უფლებამოსილება იყო შეზღუდული და ამის შესახებ იცოდა კონტრაგენტმა. სადავო ნორმის მეორე წინადადების მიხედვით, იგივე ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება, როდესაც კონტრაგენტი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი განზრახ ზიანის მიყენების მიზნით ერთობლივად მოქმედებდნენ.

9. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სადავო ნორმით ხდება მის საკუთრების უფლებაში გაუმართლებელი ჩარევა, რადგან მენარმე სუბიექტს არ გააჩნია არავითარი სამართლებრივი მექანიზმი, დაიცვას საკუთრება მისი ნების საწინააღმდეგოდ განკარგვის შემთხვევაში. კერძოდ, მოსარჩელის არგუმენტის თანახმად, სადავო ნორმა შესაძლებლობას ართმევს მენარმე სუბიექტს, შეზღუდული უფლებამოსილების მქონე ხელმძღვანელი პირის მიერ საწარმოს ქონებაზე გარიგების დადების შემთხვევაში მოითხოვოს ასეთი გარიგების ბათილობა, რადგან მისთვის (მენარმე

სუბიექტისათვის) უცნობი იყო გარიგების დადების ფაქტი და ამ გარიგების არსებობა ცნობილი გახდა გარიგების დადებიდან 18-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ.

10. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობის ვადა უნდა დაიწყო არა გარიგების დადების მომენტიდან, არამედ სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის შესაბამისად – მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, რადგან მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

11. მოცემული დავის ფარგლებში სასამართლო იხილავს და ამოწმებს სადავო ნორმით დადგენილი წესის კონსტიტუციურობას მხოლოდ იმ შემთხვევასთან მიმართებით, როდესაც ხელმძღვანელ/წარმომადგენელ პირს შეზღუდული აქვს უფლებამოსილება. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ნორმის თანახმად, კონტრაგენტის მიერ ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის ფაქტი და კონტრაგენტის მიერ ამ ფაქტის ცოდნა წარმოადგენს გარიგების ბათილად გამოცხადების მოთხოვნის აუცილებელ კუმულატიურ წინა პირობებს. სწორედ ამიტომ, კონსტიტუციური დავის გადასაწყვეტად პრინციპულად მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება, რომ კონტრაგენტმა იცოდა უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ და რა შემთხვევაში წარმოეშობა მწარმეს უფლება, მოითხოვოს გარიგების ბათილობა.

12. იმდენად, რამდენადაც სადავო ნორმა შეეხება გარიგებებს მესამე პირებთან მიმართებით, საგულისხმოა, რომ ნორმა ეხება

ურთიერთობას, რომელშიც საწარმოს სახელით მონაწილეობს საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით შეიძლება სარგებლობდეს როგორც ხელმძღვანელი პირი (მაგალითად, საწარმოს დირექტორი), ასევე, საგანგებოდ განსაზღვრული სხვა პირი. კერძოდ, სადავო ნორმის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ურთიერთობის ფარგლებში მწარმე სუბიექტის სახელით მოქმედებს არა სრულიად არაუფლებამოსილი პირი, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, არამედ საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი, რომელსაც ეს ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შეზღუდული აქვს.

13. „მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი უშვებს დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის შესაძლებლობას. მაგალითად, კანონის 9¹ მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოთვლის რა პარტნიორთა კრების კომპეტენციას, „ე“ ქვეპუნქტში მიუთითებს, რომ პარტნიორთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება ვალდებულებათა აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს.

14. თავისთავად, „მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კომპეტენციების გამიჯვნა დირექტორსა და სხვა კორპორაციული მართვის ორგანოებს შორის ძირითადად დისპოზიციური ხასიათისაა. დირექტორის უფლებამოსილებას, კანონთან ერთად, განსაზღვრავს კორპორაციის დოკუმენტები. მაგალითად, „მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ

პირთან (პირებთან) ურთიერთობები, კანონის გარდა, რეგულირდება საზოგადოების წესდებითა და მასთან (მათთან) დადებული ხელშეკრულებებით; კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტი უშვებს შესაძლებლობას, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებმა წესდებით დაადგინონ დირექტორის კომპეტენცია. ამასთანავე, კანონის 55-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ანიჭებს დირექტორის უფლებამოსილების ფარგლების დადგენის კომპეტენციას.

15. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების მიხედვით, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის რეგისტრაცია ხდება სამენარმეო რეესტრში. აღნიშნული ემსახურება მესამე პირების ინფორმირებულობას. მესამე პირებს, კონტრაგენტებს, შესაძლებლობა აქვთ, ჰქონდეთ ინფორმაცია ამა თუ იმ მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ.

16. ასევე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის №241 ბრძანებით დამტკიცებული „მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, იურიდიული პირის მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერში აისახება „ინფორმაცია წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ, ასევე მათი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში“. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ბრძანება ითვალისწინებს შეზღუდული

უფლებამოსილების რეესტრში დარეგისტრირების შესაძლებლობას, ეს ერთი მხრივ, ვერ ამოწურავს უფლებამოსილების შესაძლო შეზღუდვის თაობაზე სრულ ინფორმაციას და მეორე მხრივ, თავისთავად არ გულისხმობს კონტრაგენტის მიერ უფლებამოსილების შეზღუდვის ზუსტი ფარგლების ცოდნის აუცილებლობას.

17. კომპანიის დირექტორის არაკეთილსინდისიერი მოქმედება, თავისთავად, წარმოადგენს ნებისმიერი მენარმე სუბიექტის ბუნებრივ, გარდაუვალ რისკს. ასეთი რისკის დასაზღვევად მოცემულია კიდევ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში სხვადასხვა ნორმები, მაგალითად, კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დირექტორი არ შეიძლება პარტნიორთა თანხმობის გარეშე ეწეოდეს იმავე საქმიანობას, რასაც კომპანია (ინტერესთა კონფლიქტი).

18. ამავე დროს, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. ამასთანავე, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშების სისწორე და ამ მიზნით გაცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და სანარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. გარდა ამისა, გემოაღნიშნული კანონი იძლევა იმის საშუალებას, რომ პარტნიორის მიერ სანარმოს კონტროლის მექანიზმები გაფართოვდეს, რაც სათანადოდ უნდა აისახოს წესდებაში.

19. მენარმე სუბიექტთან გარი-

გების დადება მუდმივად არ უნდა იყოს დაკავშირებული რისკთან, რომ დირექტორის უფლება- მოსილება შესაძლოა შეზღუდული აღმოჩნდეს. მესამე პირი, რომელიც შედის სანარმოსთან სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში, არ არის ვალდებული, შეამოწმოს სანარმოს შიდაკორპორაციული დოკუმენტები. მესამე პირებს უნდა შეეძლოს დამატებითი შემოწმებებისა და დოკუმენტაციის მოძიების გარეშე მიიჩნიონ, რომ სანარმოს დირექტორი უფლებამოსილია, დადოს გარიგება სანარმოს სახელით. შეუძლებელი იქნებოდა ეფექტიანი სამოქალაქო ბრუნვის არსებობა, თუ ყველა კონტრაგენტს მოვთხოვდით გარკვეული ყველა კონკრეტული სანარმოს შიდა პროცედურებში და სანარმოს ორგანოებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნაში. ასეთი მიდგომა დააბრკოლებდა გარიგებების მარტივად და ეფექტიანად დადების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად გაზრდიდა მხარეების ტრანზაქციულ ხარჯებს.

20. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სამენარმეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები ვრცელდება მენარმე სუბიექტებს შორის დადებულ გარიგებასთან მიმართებით იმ შემთხვევაშიც, როდესაც გარიგების მხარე არის უცხო ქვეყნის რეზიდენტი. გარდა ამისა, სადავო ნორმის მოქმედების ფარგლებში ექცევა გარიგება, რომელიც დადებულია მენარმე სუბიექტსა (რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით) და ფიზიკურ პირს შორის. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში, წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლების შემოწმების ფაქტობრივი შესაძლებლობა კონტრაგენტს

შეზღუდული აქვს, რამდენადაც, სათანადო ინფორმაციის მოპოვება ან/ და მისი გადამოწმება შესაძლოა მრავალ სირთულესთან იყოს დაკავშირებული. შესაბამისად, კონტრაგენტის მიმართ ვალდებულების დაწესება, რომ მან გადაამოწმოს საჭაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, მათ შორის, სანარმოს წესდება, შეაფერხებდა სამენარმეო ურთიერთობებს, გაართულებდა ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე შედეგების განჭვრეტას.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარიგება, რომელიც დადებულია სანარმოს ხელმძღვანელის/ წარმომადგენლის მონაწილეობით, როგორც წესი, უნდა გათანაბრდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებში დადებულ გარიგებასთან. კეთილსინდისიერ კონტრაგენტს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, გაერკვეს, მართლაც აქვს თუ არა წარმომადგენელს კონკრეტული გარიგების დადების უფლებამოსილება. ამგვარად, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი კონტრაგენტის ინტერესების დაცვის მიზნით, სანამ საპირისპირო დადასტურდება, უნდა არსებობდეს პრეზუმფიცია, რომ კონტრაგენტმა არ იცოდა შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ.

22. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს მენარმეს, სამენარმეო რეესტრის ამონაწერში მიუთითოს ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, მხოლოდ ამონაწერი არ არის საკმარისი წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლების დასადგენად.

23. როგორც აღინიშნა, მენარმის გადანყვეტილებით ხელმძღვანელის/ წარმომადგენლის უფლებამოსილება

შეიძლება შეიზღუდოს ზოგადად (მაგალითად, გარიგების საგნის ან მისი მოცულობის მიხედვით) ან კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამონაწერი არ შეიცავს ინფორმაციას წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილება შეიძლება, ზოგადად, შეზღუდული იყოს წესდებით ან საწარმოს (პარტნიორების) გადაწყვეტილებით კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით. შესაბამისად, უფლებამოსილების ფარგლების შემონაშემის მიზნით, კონტრაგენტი იძულებული იქნება, გაერკვეს საწარმოს შიდა პროცედურულ საკითხებში და უფლებამოსილებების განაწილებაში, შეისწავლოს საწარმოს წესდება ან საწარმოდან გამოითხოვოს რწმუნება, ცნობა, რომ წარმომადგენელი უფლებამოსილია დადოს კონკრეტული გარიგება.

24. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში ან საწარმოს წესდებაში მოცემული ინფორმაცია წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე და ის ფაქტი, რომ წესდება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის საშუალებით საჭაროდ არის ხელმისაწვდომი, დამოუკიდებლად არ გულისხმობს, რომ კონტრაგენტმა „იცოდა“ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. მართალია, კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს მენარმეს, ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ მიღებული გადანაცვებილება გახადოს საჭაროდ (სამეწარმეო რეესტრში გაკეთებული ჩანაწერის ან საკუთარი წესდების საჭაროდ გამოქვეყნების გზით), მაგრამ წარმომადგენლის შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ „ცოდნა“, რომელიც შემდგომ შესაძლოა გარიგების ბათილობის საფუძველი გახდეს, გულისხმობს არა ინფორმაციის

ხელმისაწვდომობას, არამედ კონტრაგენტის მიერ ინფორმაციის ფაქტობრივ ფლობას, გარიგების დადების მომენტისთვის კონტრაგენტის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ნორმა არ გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც კონტრაგენტს „შეეძლო სცოდნოდა“ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ.

25. ცოდნის კომპონენტის არსებობა განაპირობებს კეთილსინდისიერი კონტრაგენტების დაცვას. კერძოდ, თუ მივიჩნევთ, რომ საეჭვო შეიძლება გახდეს გარიგება, როდესაც კონტრაგენტს უნდა სცოდნოდა უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, კონტრაგენტი თავის დაზღვევის მიზნით, ვალდებული იქნება, ამონაწერს საზოგადოების შიდაკორპორაციული დოკუმენტები და დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის შესაძლო შემთხვევები. ამის დაშვება საფუძველს გამოაცლიდა სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას და გაუმართლებლად გაართულებდა სამოქალაქო გარიგებების დადებას.

26. მოცემული დავის ფარგლებში შეუძლებელია ამომწურავად განისაზღვროს ყველა გარემოება ან წინა პირობა, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს კონტრაგენტის ინფორმირებულობაზე. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ნორმაში სიტყვა „იცოდა“ მიემართება ისეთ შემთხვევებს, როდესაც კონტრაგენტი ინფორმირებული იყო უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. მაგალითისთვის, აქ შესაძლოა მოაზრებული იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც კონტრაგენტს უშუალოდ მენარმისგან (მისი პარტნიორებისგან) აქვს მიღებული შეტყობინება/ინფორმაცია ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. თუ ამგვარი შეტყობინების მიუხედავად,

კონტრაგენტი მაინც დადებს გარიგებას, ასეთი გარიგება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი.

27. საგულისხმოა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გარიგების დადებიდან 18 თვის ფარგლებში მისი ბათილად ცნობა სწორედ ზემოთ მოყვანილი პირობების გათვალისწინებით არის დაშვებული. სადავო ნორმის კონსტიტუციურობა ეჭვქვეშ ასეთი შესაძლებლობის მხოლოდ 18 თვით შემოფარგვლის გამო დგას.

28. გასათვალისწინებელია, რომ სადავო ნორმა მოქცეულია ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის განმსაზღვრელი ნორმის (მე-9 მუხლი) ფარგლებში და მის შინაარსზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს კორპორაციული მართვის არსზე, რადგან შეუძლებელია ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებაზე და უფლებამოსილების შეზღუდვაზე მსჯელობა კორპორაციული მართვის ელემენტებისა და ძირითადი პრინციპების გათვალისწინების გარეშე.

29. კორპორაციასა (საწარმოს) და მის ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობა კორპორაციის წინაშე ხელმძღვანელთა მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოვალეობებს მოიცავს. კორპორაციული მართვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს საწარმოთა ხელმძღვანელების საქმიანობაზე პარტნიორთა (ან საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს, მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს) მხრიდან კონტროლის გამართული სისტემის არსებობა, რათა არ მოხდეს ხელმძღვანელთა მხრიდან სამართავად მინდობილი ქონების ბოროტად გამოყენება, რომლის საფრთხევ

რეალურია. კორპორაციული მართვა წარმოადგენს სხვადასხვა, ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების სისტემას და იგი კონტროლის განხორციელების შედეგად გამოვლენილ დარღვევაზე ხელმძღვანელი ორგანოების შესაბამისი პასუხისმგებლობის ელემენტებსაც მოიცავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მთავარი მიზანი საწარმოს ქონების დაცვა, ზიანის თავიდან აცილებაა, თუმცა, ამავდროულად, გაუმართლებლად არ უნდა შეიზღუდოს მათი მოქმედების თავისუფლება.

30. დირექტორის ვალდებულებები პარტნიორთა მიმართ, აგრეთვე მისი უფლებამოსილებების კანონისმიერი და სახელშეკრულებო შეზღუდვები სწორედ ის მექანიზმებია, რითაც პარტნიორს ეძლევა შესაძლებლობა, აკონტროლოს დირექტორის და, შესაბამისად, საწარმოს საქმიანობა. თუმცა, როგორც ნებისმიერი წარმომადგენლობისას, აქაც არსებობს რისკი, რომ წარმომადგენელმა იმოქმედოს საკუთარი და არა წარმოდგენილის ინტერესების შესაბამისად. აღნიშნული რისკის საკანონმდებლო დონეზე სრულად აღმოფხვრა, შესაძლებელია მიუღწეველი მიზანი იყოს და მხარეებმა კონკრეტული კონტექსტის მიხედვით, ხელშეკრულებით თავად უნდა განსაზღვრონ როგორ ახდენენ ამ რისკების დაზღვევას.

31. განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმა წარმოადგენს საზოგადოების კორპორაციული მართვის სისტემის შემზღუდველ მექანიზმს და ადგენს ჩამკვეთ ვადას შეზღუდული უფლებამოსილების მქონე კორპორაციული მართვის ორგანოს მიერ განხორციელებულ გარიგებასთან დაკავშირებით.

32. სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმით დადგენილი რეგულირება

წარმოადგენს ჩარევას კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ საკუთრების უფლებაში იმდენად, რამდენადაც მენარმე სუბიექტს – მესაკუთრეს ვზღუდება შესაძლებლობა, ნამდვილი ნების შესაბამისად განკარგოს საკუთრება და მოითხოვოს გარიგების ბათილობა მისი ნების საწინააღმდეგოდ განკარგვის შემთხვევაში.

33. ჩარევა არაკონსტიტუციურია, თუ არ შეესაბამება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოთხოვნებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მოთხოვნას წარმოადგენს შეზღუდვის პროცესში საკუთრების უფლების არსის შენარჩუნება: კანონმდებლის მიერ საკუთრების უფლების შეზღუდვისას არ უნდა დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. საკუთრების უფლება, რომელიც კანონმდებლის მიერ განსაზღვრებად უფლებას წარმოადგენს, კანონმდებლის მიერ საკუთრების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრის შედეგად არ უნდა გადაიქცეს უფლებად, რომელიც უმეტესწილად სწორედ საკანონმდებლო რეგულირებაზე იქნება დამოკიდებული. საბოლოო ჯამში, თავიდან უნდა იქნეს აცილებული დაცული სფეროს ძირითადი არსის გამოფიტვა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-57).

34. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისადმი ვინაოდ მიზანმიმართული შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში. „საკუ-

თრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისთვის საჭიროა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით განპირობებული შეზღუდვის წესის კანონით რეგლამენტირება. სწორედ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობა იძლევა საკუთრების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლეგიტიმაციას. ამასთანავე, საკუთრების უფლების შეზღუდვისას კანონმდებელმა საჯარო ინტერესის შემადგენელი კომპონენტები თითოეულ შემთხვევაში ნათლად და მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს. მხოლოდ ამგვარი მიდგომის შედეგად არის შესაძლებელი ჩარევის თანაზომიერების დაცვა. დაუშვებელია უფლების უფრო მეტად შეზღუდვა, ვიდრე ამას თითოეულ, ცალკე აღებულ შემთხვევაში მოითხოვს საჯარო ინტერესი (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-58).

35. განსახილველ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, არსებობს თუ არა შესაბამისი ღირებულება, წონადი ინტერესი, რითაც განპირობებული იქნებოდა მენარმის მიერ ბათილობის მოთხოვნის 18 თვით შემოფარგვლა. კერძოდ, უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, რითაც განპირობებულია ზემოაღნიშნულ შემთხვევაში გარიგების ხანდაზმულობის 18-თვიანი ვადით შემოფარგვლა.

36. მოპასუხე მიუთითებს, რომ სადავო ნორმით დადგენილი ვადის გაუქმება დაარღვევს სამოქალაქო ბრუნვის და კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობას, რაც,

თავის მხრივ, უარყოფითად აისახება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ეკონომიკურ სტაბილურობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ სიმშვიდეზე.

37. სასამართლო იზიარებს მოპასუხის არგუმენტს, რომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და კეთილსინდისიერი კონტრაგენტის ინტერესების დაცვა წარმოადგენს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით განპირობებულ ლეგიტიმურ მიზნებს, რაც, ზოგადად, შესაძლებელია იყოს საკუთრების კონსტიტუციური უფლების შემღუდვის გამამართლებელი საფუძველი. სასამართლო, ასევე, ეთანხმება მოპასუხეს, რომ, ზოგადად, ხანდაზმულობის ვადის დანესებით, სადავო ნორმა ეფექტურად იცავს კეთილსინდისიერი კონტრაგენტის ინტერესებს უსაფუძვლო სარჩელებისგან, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ასეთი ვადის არარსებობის შემთხვევაში.

38. საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშინა, რომ „...როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფრთხილებულია მონმეთა მესხიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით, შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს

მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისგან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21). ამასთანავე, რაც უფრო მეტი დროა გასული სადავოდ გამხდარი მოვლენებიდან, მით უფრო დიდია დაინტერესებული პირის კანონიერი ინტერესების დარღვევის რისკი.

39. „გემოლინიშნული რისკები, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა მეტი საფრთხის მატარებელი აღმოჩნდეს მოპასუხე მხარისთვის. ხანგრძლივი დროის შემდეგ დავის განახლება მათ ავტომატურად აყენებს საჭიროების წინაშე, ხელახლა მოიძიონ მტკიცებულებები, რომლებიც მათი პოზიციის მართებულებას დაადასტურებდა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა რთული ან შეუძლებელიც იყოს – მტკიცებულებები შესაძლოა ბუნებრივად აღარ არსებობდეს ან არასათანადო იყოს. შედეგად, მოპასუხემ შესაძლოა საკუთარი ინტერესი ვერ დაიცვას უტყუარი მტკიცებულებების არარსებობის გამო. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ერთ-ერთი მიზანია მხარის ინტერესების დაცვა იმ პროცესის ნაწილად გახდომისაგან, რომელშიც პოზიციის დაცვა რთული ან შეუძლებელია მოთხოვნის სიძველის მიზეზით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22).

40. მიუხედავად იმისა, რომ სადავო

ნორმას გააჩნია ლეგიტიმური მიზანი, ეს თავისთავად არ არის საკმარისი სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დასადგენად. ამისათვის აუცილებელია არსებობდეს ლოგიკური კავშირი საკანონმდებლო რეგულირებასა და მისაღწევ მიზანს შორის. ამასთანავე, სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული და არსებობდეს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ უფლებასა და საპირწონე ინტერესს შორის.

41. ერთი მხრივ, კანონმდებელი არ უნდა აწესებდეს ხანდაზმულობის გაუმართლებლად ხანგრძლივ ვადას, რაც შემდეგ შექმნის შესაძლებლობას, რომ ნებისმიერი გარიგება გახდეს სადავო და კეთილსინდისიერმა კონტრაგენტმაც კი ვერ შეძლოს თავის დაცვა. მეორე მხრივ, ის არ უნდა იყოს არაგონივრული, აშკარად მცირე, არ უნდა გამოიწვიოს დაინტერესებული პირის კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობას.

42. უნდა აღინიშნოს, რომ სადავო ნორმა კეთილსინდისიერი კონტრაგენტის ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას შეიცავს. ნორმაში ცოდნის ელემენტის არსებობის გათვალისწინებით, გარიგების გაბათილება იმ პირობებშიც კი შეუძლებელია, როდესაც საწარმოს დირექტორს არ ჰქონდა მოცემული გარიგების მენარმის სახელით დადების უფლებამოსილება (შეზღუდული ჰქონდა უფლებამოსილება), მაგრამ კონტრაგენტი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია.

43. ამავე დროს, საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, მენარმე არათანაზომიერად არ უნდა იყოს შეზღუდული უფლებაში, მოითხოვოს გარიგების ბათილობა,

თუ მისი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვა არ იწვევს ეჭვს და კონტრაგენტისთვის ერთმნიშვნელოვნად ცნობილი იყო, რომ წარმომადგენელი არ იყო უფლებამოსილი, დაედო გარიგება.

44. სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას უნდა შემოწმდეს, გამართლებულია თუ არა სადავო ნორმით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის არსებობა იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელის/წარმომადგენლის და კონტრაგენტის არაკეთილსინდისიერი ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, მენარმე სუბიექტმა დაკარგა შესაძლებლობა, განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე.

45. კონტრაგენტი, მართალია, არ არის ვალდებული, ამომოს წესდებო ან სხვა შიდაკორპორაციული დოკუმენტები და დაადგინოს ნამდვილად შეუზღუდავია თუ არა დირექტორის უფლებამოსილება დადოს კონკრეტული გარიგება, მაგრამ თუ მისთვის ერთმნიშვნელოვნად ცნობილი გახდება (მაგალითად, მენარმისგან (ჰარტნიორისგან) მიღებული შეტყობინების შედეგად) წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ და მაინც დადებს გარიგებას, კონტრაგენტი არ ჩაითვლება ბრუნვის კეთილსინდისიერ მონაწილედ.

46. სადავო ნორმა, შესაძლოა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს – გარიგების დადების გამარტივებას და ყოველი გარიგების საეჭვოობის გამორიცხვას, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ გარიგების ბათილობისთვის მხოლოდ 18 თვეა განსაზღვრული, სადავო ნორმა არაპროპორციულად მძიმე ტვირთს აკისრებს მენარმეს.

47. როგორც უკვე აღინიშნა,

მენარმეს (პარტნიორს) გააჩნია შესაძლებლობა (და ვალდებულებაც), სათანადო ზედამხედველობა გაუწიოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. ხელმძღვანელის/წარმომადგენლის დანიშვნიდან გამომდინარე, რისკის კეთილსინდისიერ კონტრაგენტებზე გადანაწილება არსებითად არასწორი იქნებოდა და საფრთხეს შეუქმნიდა სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას. მაგრამ, ამავე დროს, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებელი არც მენარმე სუბიექტს უნდა აკისრებდეს არათანაზომად მძიმე ტვირთს.

48. საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჭანაშვილი, ნანა ჭანაშვილი და ირმა ჭანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „...ხანდაზმულობის ვადა დაარღვევდა ინტერესთა შორის სამართლიან ბალანსს დაინტერესებული პირების საზიანოდ, თუ ის იმდენად აშკარად, არაგონივრულად მცირე, ხანმოკლე იქნებოდა, რომ ობიექტურად არასაკმარისი აღმოჩნდებოდა უფლების გამოყენებისა და დაცვისადმი კეთილსინდისიერად განწყობილი პირებისათვის, რითაც მათ არათანაზომადად უფრო მძიმე ტვირთს დააკისრებდა...“(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჭანაშვილი, ნანა ჭანაშვილი და ირმა ჭანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34). სასამართლომ მიიჩნია, რომ „...5 წელი შეიძლება ჩაითვალოს მინიმალურ, თუმცა ობიექტურად საკმარის, გონივრულ, განჭვრეტად ვადად დაინტერესებული პირებისთვის

გადანყვეტილების ბათილად ცნობის შესაძლებლობის გამოყენებისთვის და, შესაბამისად, ინტერესთა შორის ბალანსის შენარჩუნებისთვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჭანაშვილი, ნანა ჭანაშვილი და ირმა ჭანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34).

49. ზემოაღნიშნულ საქმეზე სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც აითვლებოდა არა სადავო გარემოებების (ან გარიგების) წარმოშობიდან, არამედ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებიდან. რაც შეეხება სადავო ნორმით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის 18-თვიან ვადას, მისი დინება გარიგების დადების მომენტიდან იწყება. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ და ბევრად მეტია ალბათობა, რომ პირმა შეიტყოს მისი არსებობის შესახებ, ვიდრე კონკრეტული გარიგების დადების შემთხვევაში.

50. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გაუმართლებელია გარიგების ბათილად ცნობის ესოდენ ხანმოკლე ხანდაზმულობის ვადით შემოფარგვლა იმ პირობებში, როდესაც მენარმის (პარტნიორის) მხრიდან ხელმძღვანელის/წარმომადგენლის საქმიანობაზე სათანადო ზედამხედველობის, კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით მისი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ კონტრაგენტისთვის ინფორმაციის მიწოდების მიუხედავად, გარიგების ხელმოწერთა არაკეთილსინდისიერი (და შესაძლოა მართლსაწინააღმდეგო)

ქმედების შედეგად, გარიგების შესახებ ინფორმაცია მენარმისთვის დაფარული, ხელმიუწვდომელი ხდება.

51. საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოირიცხავს გარიგების ბათილობისთვის, ზოგადად ხანდაზმულობის ვადის დაწესების მიზანშეწონილობას. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა არის ამკარად მცირე, რადგან ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ მენარმე სუბიექტმა ვერ შეძლოს ინფორმაციის მიღება საკუთარ ქონებასთან დაკავშირებით, უფლებრივი მდგომარეობის შეცვლის თაობაზე.

52. ამავე დროს, ის გარემოება, რომ გარიგების დადებისას კონტრაგენტმა იცოდა ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ყოველთვის არ უნდა გახდეს ბათილობის საფუძვლი.

53. თუ ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილება შეზღუდულია ზოგადად ან კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც დადებული გარიგება სცდება საწარმოს საქმიანობის სფეროს, მენარმე (პარტნიორი) უფლებამოსილი უნდა იყოს, განაცხადოს ბათილობის შესახებ, თუ დამტკიცდება, რომ გარიგების დადების ფაქტი მისთვის უცნობი იყო. გაუმართლებელია ბათილობის მოთხოვნა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ კონტრაგენტისთვის ცნობილი იყო შეზღუდვის შესახებ. ასეთი უფლება მენარმეს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა წარმოეშვას, თუ დამტკიცდება, რომ ხელმძღვანელის/წარმომადგენლის საქმიანობაზე ზედამხედველობის მექანიზმების არსებობის მიუხედავად, გარიგების შესახებ ინფორმაცია მისთვის არ იყო ცნობილი.

54. ხელმძღვანელის/წარმომადგენლის დანიშვნისას მენარმე სუბიექტი უნდა აცნობიერებდეს რისკს, რომელიც ასეთ გადაწყვეტილებას შეიძლება ახლდეს თან. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული რისკის შემცირება მენარმის ხელმძღვანელის/წარმომადგენლის საქმიანობაზე ზედამხედველობაზე ქმედითი მექანიზმების დაწესებით არის შესაძლებელი. საწარმოში ზედამხედველობის მექანიზმების არარსებობა ან საწარმოს საქმიანობაში მენარმის (პარტნიორების) არასათანადო ჩართულობა უნდა გამოირიცხავდეს მესამე პირისთვის პრეტენზიის წაყენების მოთხოვნის უფლებას.

55. სადავო ნორმაში აღწერილი ქმედებები, რიგ შემთხვევებში სისხლის სამართლებრივი ქმედების შემცველიც შეიძლება აღმოჩნდეს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა გარიგება იდება მენარმე სუბიექტის დირექტორისათვის ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი მომსახურების ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის შეთავაზების გზით, ეს ქმედება შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – კომერციული მოსყიდვის ნიშნებს.

56. მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება, თუ რა საჯარო ინტერესს უნდა ემსახურებოდეს ისეთი გარიგების ნამდვილ გარიგებად ტრანსფორმაცია, რომელსაც საფუძვლად სისხლის სამართლებრივი დანაშაული უდევს.

57. არსებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის პირობებში გაუმართლებელი იქნებოდა კონსტიტუციის 21-ე მუხლს დაეცვა ისეთი ქონებრივი სიკეთე, რომელიც დანაშაულებრივი გზით მოიპოვა ამა თუ იმ პირმა. ამასთან დაკავშირებით

საკონსტიტუციო სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ 21-ე მუხლი იცავს საკუთრებას, აქ იგულისხმება მხოლოდ კანონიერი საკუთრება. უკანონო საკუთრება 21-ე მუხლით დაცულ სფეროში ვერ ექცევა, რადგან ამ დროს თავად საკუთრების უფლების არსებობაა საეჭვო. „საკუთრების უფლების კანონიერებას საფუძველშივე განსაზღვრავს მისი კანონიერად შექმნის ფაქტი. ზუსტად ეს გარემოებაა გადამწყვეტი კანონიერი საკუთრების უფლების არსებობისთვის.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე დავით ჭიმშელიძე, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაღიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-14).

58. ამგვარად, კონტრაგენტის მიერ დანაშაულებრივი გზით დადებული გარიგებით მიღებული სარგებელი არ წარმოადგენს არც საკუთრების უფლებით დაცულ ღირებულებას და არც რაიმე სხვა ინტერესს, რომელიც შეიძლება გამოდგეს მენარმე სუბიექტის საკუთრების უფლების შეზღუდვის საპირწონედ.

59. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო ნორმა უკავშირდება სისხლის სამართლის დანაშაულის გზით დადებული ხელშეკრულებების ბათილობას, ის არ წარმოადგენს კეთილსინდისიერი კონტრაგენტების დაცვის გარანტიას. ამგვარი ნორმატიული შინაარსით სადავო ნორმა შეეხება მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახეზეა ცალკეული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ასეთ შემთხვევებში კი გამორიცხულია კეთილსინდისიერი კონტრაგენტების დაცვის ინტერესი, რადგან, როდესაც დგება პირის

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო მეთოდებით მენარმე სუბიექტთან გარიგების დადების საფუძველზე, per se ივარაუდება, რომ სახეზეა არაკეთილსინდისიერი ბრუნვის მონაწილე.

60. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხანდაზმულობის ვადები, თავის მხრივ, დანესებულია სისხლის სამართლის დანაშაულებზეც, კეთილსინდისიერი კონტრაგენტები დაცული არიან ხანგრძლივი დროის შემდეგ უსაფუძვლო სარჩელებისა თუ მოთხოვნებისაგან.

61. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანს არ წარმოადგენს ცალკეული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობა. თუმცა ის გარემოება, რომ დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში ხდება პირის მიერ დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ერთგვარი „ლეგიტიმაცია“, ქმნის რისკებს, რომ გაუმართლებლად მოხდება მენარმე სუბიექტის საკუთრების უფლების შეზღუდვა. იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ხანდაზმული არ არის, დგება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სადავო ნორმა ქმნის სამართლებრივ ბარიერს, რათა მენარმე სუბიექტი აღდგეს პირვანდელ მდგომარეობაში, დაიბრუნოს ის ქონება ან სარგებელი, რაც დაკარგა დანაშაულებრივი ხელშეკრულების დადების შედეგად.

62. ამდენად, სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, რომელსაც შეიძლება ემსახურებოდეს სადავო ნორმა იმ შემთხვევაში, როდესაც ის უკავშირდება სისხლისსამართლებრივი დანაშაულის გზით დადებულ ხელშეკრულებას.

63. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა, ერთი მხრივ, არ წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნების მიღწევის თანაზომიერ საშუალებას, არ ადგენს რა სამართლიან ბალანსს და, ამგვარად, არაპროპორციულია იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ არის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და ლეგიტიმურ მიზნად განიხილება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ინტერესები. ხოლო, მეორე მხრივ, როდესაც სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, არ არსებობს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, რომლითაც გამართლებული იქნებოდა საკუთრების უფლების შეზღუდვა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა – „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

III. სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-7, მე-8 პუნქტების, „საკონსტიტუციო

სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 30-ე, 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს შპს „მეტალინვესტის“ კონსტიტუციური სარჩელი №543 საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვები – „ასეთი ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში“ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.
2. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.
3. გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან.
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.
5. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს და საქართველოს მთავრობას.
6. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, 15 დღის ვადაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საექსპერტო შეფასება

2014 წლის 29 იანვარს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვები – „ასეთი ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში“. აღნიშნული დანაწესი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ფორმულირება მდგომარეობდა შემდეგში - „თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შემლუდვის შესახებ, წარმოდგენილ მენარმე სუბიექტს შეუძლია ასეთი ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ მენარმე სუბიექტს, რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით“, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“.

სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა საკუთარი არსით მოწოდებულია სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციისაკენ, წარმოდგენს რა კონკრეტული სუბიექტის მიერ საკუთარი უფლების სასამართლო წესით

განსაზღვრულ ვადაში რეალიზაციის მექანიზმს. განსახილველ შემთხვევაში გარიგება წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების სფეროს, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს გარიგების ბათილობის ხანდაზმულობის ვადის ათვლის წესს. შესაბამისად, ბუნებრივია, გაუმართლებელია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მსგავსი ტიპის გარიგებებისათვის განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის დადგენა, ისევე, როგორც გაურკვეველია ამ ვადის ფუნქცია, ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არის სახეზე რაიმე ისეთი ტიპის ურთიერთობა, რომლის სპეციფიკაც განაპირობებდა სპეციალური ხანდაზმულობის ვადის არსებობის აუცილებლობას „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში.

ბუნებრივია, რომ კანონის მხრიდან კონკრეტული სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტის უფლებაში ჩარევა ამ უფლების რეალიზაციისათვის ხანდაზმულობის ვადის დადგენით ხორციელდება, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სახელმწიფოს ეკონომიკური მდგრადობის მიზნით, რაც წარმოადგენდა კიდევ მოპასუხე მხარის ერთ-ერთ არგუმენტს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთ ჩარევას უნდა გააჩნდეს სათანადო საფუძველი. ნებისმიერი, სპეციალური ფორმით დადგენილი პირობებისაგან განსხვავებული ხანდაზმულობის ვადის დანესებას უნდა გააჩნდეს სათანადო წინაპირობა, რაც გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, მოსაწესრიგებელი ურთიერთობის სპეციფიკაში ან ისეთი გარემოებების არსებობაში, რომლებიც პირდაპირ გამოორიცხავს უფლებაშელახული სუბიექტის მიერ მისი უფლების დარღვევის შესახებ ინფორმაციის არმიღების შესაძლებლობას.

განსახილველ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებას უკავშირებს იმ პირის მიერ ინფორმაციის მიღებას ან მიღების ვარაუდს, რომლის უფლებაც არის დარღვეული, ანუ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმის შესახებ, რომ მისი უფლება არის დარღვეული. განსახილველი ნორმა უპირობოდ გამორიცხავს ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ათვლას ამ პრინციპით და მისი დენის დაწყებას უკავშირებს თავად გარიგების დადების მომენტს. ამასთან, რეგულირება ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც ორივე მხარე მოქმედებდა განზრახ, ზიანის მიყენების მიზნით. აქ არ შეიძლება საფუძვლიანად განვიხილოთ არგუმენტი იმის შესახებ, რომ საუბარია მენარმე სუბიექტზე, გარიგებების რეგისტრაციაზე და სხვა იმგვარ მოქმედებებზე, რომლებიც უფრო მაღალი ალბათობით იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დაინტერესებულმა პირმა შეიტყოს საკუთარი უფლების დარღვევის შესახებ. თავისთავად რაიმე გარიგების რეგისტრაციის ფაქტი ან მენარმეობის ფაქტი ცალსახად არ წარმოადგენს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ

დაინტერესებულმა პირმა შეიტყოს საკუთარი უფლების დარღვევის შესახებ. შესაბამისად, მესაკუთრისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა აღნიშნული საფუძვლით არის გაუმართლებელი და სრულიად დაუსაბუთებლად ხელყოფს მის უფლებას, მიმართოს სასამართლოს საკუთრების უფლების დაცვის მიზნით. განსაკუთრებით აქტუალურია ეს მომენტი იმ პირობებში, როდესაც სახეზეა კონტრაჰენტი მხარეების განზრახვა საწარმოსათვის ზიანის მიყენების შესახებ. სწორედ ამას ეფუძნება არსებული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც რაიმე გარიგების რეგისტრაციის ფაქტს არ განიხილავს ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების წინაპირობად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის გამართლებული და ცალსახად მონოდებულია საკუთრების უფლების დაცვისაკენ.

ლევან ჯანაშია
ადვოკატი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი

„ძეგლის დადება“, 1335 წ. მოაღწია XVII ს. ხელნაწერით, ქალაქი

ძეგლი ადგილობრივი ხასიათის სჯულმდებლობაა და, ძირითადად, სისხლის სამართლის კრებულს წარმოადგენს, რომელიც შედგენილია ქართლის მთიანეთისთვის. ძეგლში შესტადია განსაზღვრული კანონის მოქმედების ტერიტორია. იგი შედგენილია გიორგი V ბრწყინვალეს მეფობის დროს.

„ძეგლის დადება“ შედგება შესავლის და 46 მუხლისაგან. მათგან 42 მუხლი სისხლის სამართლის დარჯს განეკუთვნება. სამართლის შექმნის მიზანი იყო მონღოლთა ბატონობის შედეგად მთაში საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს შერეული გავლენის აღდგენა. ძეგლში ასახულია მთიელთა ზატრიარქალური ეოფა, მტკიცედ დამკვიდრებული თემური ურთიერთობები და წეს-ჩვეულებები. „ძეგლის დადება“ შედგენილია მთიელთა ადათობრივი სამართლის ძლიერი გავლენა.



ნინო ბოჭორიშვილი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

"სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოების პრობლემა ქართულ კანონმდებლობაში"

შესავალი

სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების მნიშვნელოვანი ელემენტია სასამართლო განხილვის საქვეყნოება. ამ პრინციპის არსებობა არა მხოლოდ მხარეების, არამედ საზოგადოების ინტერესებშიც შედის. სასამართლო განხილვის საქვეყნოების პრინციპის რეალური მოქმედება განაპირობებს საზოგადოების ნდობის ხარისხს მართლმსაჯულებისადმი.

სასამართლო განხილვის საქვეყნოების პრინციპი შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად, პირველი, სასამართლო სხდომის საქვეყნოება, რომელიც აბსოლუტური ნორმა არ გახლავთ და საქართველოს კონსტიტუციით, მხარის მოთხოვნით ან კანონით შეიძლება სასამართლომ დახურულადაც გამოაცხადოს სხდომა, და მეორე - სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოება, რომელიც, პირველისაგან განსხვავებით, აბსოლუტური ნორმაა და საქართველოს კონსტიტუცია არ უშვებს რაიმე გამონაკლისს სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ქართულ კანონმდებლობაში გვხვდება, როგორც საქვეყნოებისა

და საჯაროების ტერმინების ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოყენების მაგალითები, ისე - საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმა, რომელიც უშვებს მხარის შუამდგომლობით სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ არ გამოცხადების შესაძლებლობას.

1. ძირითადი ნაწილი

1.1. ქართული და ევროპული სამართლით აღიარებული სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოების პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლით: "სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ"¹, 2010 წლის ოქტომბრამდე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება ყველა შემთხვევაში საქვეყნოდ ცხადდებოდა², საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (ამოქმედდა 2010 წლის 01 ოქტომბრიდან) მე-10 მუხლის მე-2 1 - საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო. 2 - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი №1251, პარლამენტის უწყებანი, №13-14, 08.04.1998 წ., გვ. 31.

პუნქტით კი, "სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ"³.

აღნიშნულ დებულებას აღიარებს საერთაშორისო სამართალიც. 1950 წლის ევროპული კონვენცია "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ" მე-6 მუხლის პირველ ნაწილში ამბობს: „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. **სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ**, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს“⁴. აღნიშნული კონვენციის მოთხოვნაზე, რომ განაჩენი საქვეყნოდ უნდა გამოცხადდეს, არ არის დაწესებული რაიმე შეზღუდვა და იგი მოქმედებს თავად სასამართლო

სხდომის დახურულად მიმდინარეობის შემთხვევაშიც⁵.

1.2. ტერმინოლოგიური პრობლემა - საქვეყნობა თუ საჯარობა?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის პრობლემა, რომელიც საქვეყნობისა და საჯარობის ტერმინის არასწორ გამოყენებას შეეხება. საერთაშორისო სამართალში საქვეყნობის ნაცვლად ხმარობენ საჯარობის ტერმინს იმავე დატვირთვით, რაც გააჩნია საქვეყნობას. შესაბამისად, საერთაშორისო აქტების ქართულ ენაზე თარგმნისას საქვეყნობის ნაცვლად თარგმნიან საჯარობას. ეს კი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით სერიოზული შეცდომაა.

საჯარობის პრინციპს სისხლის სამართალწარმოებაში საქვეყნობის პრინციპისაგან განსხვავებული შინაარსი გააჩნია. ამიტომ საქვეყნობის ნაცვლად საჯარობის ტერმინის ხმარება, სულ ცოტა, ტერმინოლოგიური უზუსტობაა. აღნიშნულ საკითხს თავის დროზე გამოეხმაურა პროფესორი გ. ნადარეიშვილი, რომელიც მ.ს. სტროგოვიჩის ნაშრომზე (სისხლის სამართლის პროცესი) დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ ტერმინები საჯარობა და საქვეყნობა სხვადასხვა შინაარსისაა. კერძოდ, საჯარობა ნიშნავს სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებას, დაიწყონ წინასწარი გამოძიება დანაშაულის ნიშნების არსებობისას, მიუხედავად იმ მოქალაქეების და ორგანიზაციების ნებისა, რომელთა ინტერესებსაც უშუალოდ ეხება დანაშაული, ანუ საჯარობა იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის პროცესის წარმოება და მისი შედეგები

3 - საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ.190.

4 - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. სსმ, - 16/11/1999.

5 - ევროპული სასამართლოს 1984 წლის 28 ივნისის დაგანწყვეტილება საქმეზე Campbell and Fell, Series A: Judgments and Decision, Volume 80, P. 42-43.

დამოკიდებული არ არის იმაზე, საჭიროდ მიაჩნია თუ არა დაზარალებულს განაცხადოს დანაშაულის შესახებ, მიიღებს თუ არა იგი ამა თუ იმ ზომას თავისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. რაც შეეხება საქვეყნობის ტერმინს, იგი ნიშნავს იმას, რომ სამსჯავრო განხილვა ხდება საქვეყნოდ, ღიად, ხალხის თანდასწრებით⁶.

საქართველოს “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი (მუხლი 13) ითვალისწინებს საქვეყნობის ძირითადი უფლების მოთხოვნას და აღგენს, რომ:

1. “სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე.
2. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
3. სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ.
4. (ამოღებულია – 06.03.2013, №260).
5. სასამართლოში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით⁷.

როგორც უკვე აღვნიშნე, საჯარობასა და საქვეყნობას, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, განსხვავებული დატვირთვა აქვს, თუმცა საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 85) და “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული

6 - ნადარეიშვილი. გ. საჯარობა თუ საქვეყნობა?// საბჭოთა სამართალი, 1988 წ. №3. გვ. 67-68.

7 - საქართველოს ორგანული კანონი “საერთო სასამართლოების შესახებ”, №2257, სსმ I, №41, 08.12.2009 წ., მუხ. 300 (2014 წლის აპრილის მდგომარეობით).

კანონი (მუხლი 13) სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებას ითვალისწინებს საქვეყნოდ, ხოლო საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლი 10) იმავე მნიშვნელობით იყენებს განსხვავებულ ტერმინს - საჯაროს, რაც, ჩემი აზრით, ყოველად დაუშვებელია. მიმაჩნია, რომ ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი დებულებები განსხვავებული ტერმინებით არ უნდა არსებობდეს ქართულ კანონმდებლობაში, ამდენად, აუცილებელია შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

1.3. სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადების საკანონმდებლო პრობლემა საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებაში.

ტერმინოლოგიური უზუსტობა სხვადასხვა ნორმატიულ აქტში კიდევ გასაგებია, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელშიც სხვადასხვა ნორმაში ორივე ტერმინია გამოყენებული, თუმცა ერთი და იმავე მნიშვნელობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის (სამოქალაქო პროცესის საქვეყნობა და სამართალწარმოების ენა) პირველი პუნქტის თანახმად, „სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომებზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე“⁸. ხოლო ამავე კოდექსის 351-ე მუხლის პირველი პუნქტით - „თუ სასამართლო ცნობს, რომ

8 - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.

შვილად აყვანა შეესაბამება შვილად ასაყვანის ინტერესებს და ემსახურება მის კეთილდღეობას, გამოიტანს გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ, რომელიც განმცხადებლის თხოვნით საჯაროდ არ გამოცხადდება⁹. აღნიშნულ ნორმაში ტერმინოლოგიური უზუსტობა ერთი პრობლემაა, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი თავად შინაარსია, რომელიც 1999 წელს განხორციელებული ცვლილებით გაჩნდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, კერძოდ, 351-ე მუხლით დასაშვებია მხარის შუამდგომლობით შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ არ გამოცხადება, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგობაშია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლთან, რომლითაც სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სავალდებულოა და არანაირ შეზღუდვას არ ითვალისწინებს, ანუ თავის მნიშვნელობით აბსოლუტური ნორმაა, ასევე, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონონის მე-13 მუხლთან და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით აღიარებულ სასამართლო განხილვის სამართლიანობის უფლებასთან, რომლითაც, ასევე, სავალდებულოა, სასამართლო გადაწყვეტილება გამოცხადდეს საქვეყნოდ. ყოველივეს გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351-ე მუხლის პირველი პუნქტის ჩანაწერი – „რომელიც განმცხადებლის თხოვნით საჯაროდ არ გამოცხადდება“ – წარმოადგენს არაკონსტიტუციურ ნორმას, თუმცა 1999 წლიდან დღემდე აღნიშნული ნორმა შენარჩუნებულია კოდექსში.

9 - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 15 (22), 14/05/1999 ცვლილებით.

დასკვნა

საქვეყნოობისა და საჯაროობის ტერმინების სხვადასხვა თუ ერთსა და იმავე ნორმატიულ აქტში, ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოყენების ფონზე, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. შესაბამისად, უმჯობესია, ერთი და იმავე მნიშვნელობის ტერმინი ერთი მნიშვნელობით გვხვდებოდეს საქართველოში მოქმედ ყველა ნორმატიულ აქტში.

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების ყველა შემთხვევაში საქვეყნოდ გამოცხადებას, ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს: მიუხედავად იმისა, რომ შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება მეტად დელიკატური და, მხარისათვის შვილად აყვანის ფაქტის გახმაურებისაგან დაცვის გამო, უდიდესი მნიშვნელობებისაა, იმ ფონზე, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია არ უშვებს გამონაკლისს, ანუ ნორმისაგან გადახვევის შესაძლებლობას, არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ უნდა უშვებდეს გამონაკლისს. ვფიქრობ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351-ე მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა აუცილებელია. აქვე შესაძლოა, ნორმამ, საქვეყნოდ გამოცხადებაზე უარის თქმის ნაცვლად, გაითვალისწინოს პირის იდენტიფიკაციის გამომრიცხველი ფორმით სასამართლო გადაწყვეტილების აუცილებლად საქვეყნოდ გამოცხადება.



გიორგი ამირანაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის დოქტორანტი

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან*

(საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე
მუხლის ანალიზი)

1. შესავალი

დაზღვევა უზრუნველყოფს ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის სხვადასხვა მავნე ფაქტორის ზემოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. დაზღვევა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი სამოქალაქო სამართლებრივი გარანტია.¹ ეს იმაში ვლინდება, რომ ამ დროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უზრუნველყოფა ხდება.

კონტინენტური ევროპის სამართალი დაზღვევის ხელშეკრულებას ვალდებულებითი სამართლის ნაწილად განიხილავს. სამოქალაქო კოდექსის შემუშავების პროცესში ყველაზე მისაღები გერმანიის სამოქალაქო კოდექსი აღმოჩნდა. კომისიამ გერმანული სამართლის შემოქმედებითი რეცეფცია მოახდინა. ამაზე მეტყველებს სწორედ ის ფაქტი, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საკმაოდ დეტალურად ანესრიგებს სადაზღვევო ურთიერთობას მაშინ, როდესაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მას საერთოდ არ ეხება.²

* - წინამდებარე სტატია გამოქვეყნდა ჟურნალში „მართლმსაჯულება და კანონი“, 2014წ. #1

1 - ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2001, გვ. 5.

2 - იბ.: ზოიძე ბ., ქართული ვალდებულებითი სამართლის სისტემა და პრინციპები, ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, მესამე-მეოთხე კვარტალი, 2000, გვ. 113-114..

ამრიგად, ნებაყოფლობითი დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმები კოდექსის მესამე ნივნში, ვალდებულებითი სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში მოთავსდა.

მზღვეველსა და დამზღვევს შორის სადაზღვევო ურთიერთობის წარმოშობა ემყარება ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში, მხარეები გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას (სადაზღვევო კომპანიამ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას) განსაზღვრული გარემოების არსებობას (სადაზღვევო შემთხვევის დადგომას) უკავშირებენ ე.ი. საქმე გვაქვს პირობით გარიგებასთან, რომლის ნამდვილობა დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, რომელიც მომავალში უნდა დადგეს, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, დადგება თუ არა ეს მოვლენა სინამდვილეში.³

3 - იბ.: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. „სამართალი“, თბ., 2011, გვ. 411. ანალოგიური მიდგომა ამერიკულ სამართალში: Карапетов А.Г., Зависимость условия от воли сторон условной сделки в контексте реформы гражданского права, Вестник Высшего Арбитражного Суда Российской Федерации № 7/2009, 33: <http://www.m-logos.ru/img/file/1382994127_karapetov_a.g._uslovnyye_sdelki_i_potestativnost.pdf>; მეად.: Ермолова Н.А., К вопросу об условных сделках в гражданском праве, Теория и практика общественного развития, 2011, №3: <<http://teoria-practica.ru/-3-2011/yuridicheskie/ermolova.pdf>>; Ханакаева Е.Г., Соотношение алеаторных и условных сделок: теоретический аспект, Научно-практический журнал "Вестник КРУ МВД России", 2009, № 1, 75-76: <http://vestnik.krd-mvd.ru/_files/v-2009-1.pdf>.

სტატიაში განხილულია დაზღვევის სამართალში მოქმედი ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელიც სუბროგაციის პრინციპის სახელითაა ცნობილი. მართალია, ქართველი კანონმდებელი ამ ტერმინს არ იყენებს, თუმცა შინაარსობრივად განამტკიცებს მას სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის პირველ ნაწილში. სტატიაში, ასევე, გამახვილებულია ყურადღება ამავე მუხლის მეორე ნაწილის ტექსტობრივ ხარვეზზე, რომელიც არსებითად ცვლის ნორმის იმ შინაარსს, რაც კანონმდებელს მასში აქვს ნაგულისხმევი. შესაბამისად, იმისათვის, რათა მოხდეს კანონის აზრის სწორი გაგება და ხარვეზის გამოსწორება, ნაშრომში არის მცდელობა, განიმარტოს და განისაზღვროს სწორედ ის შინაარსი, რაც ამ მუხლიდან რეალურად უნდა გამომდინარეობდეს. ეს კი, საბოლოოდ, ხელს შეუწყობს ნორმის სწორ ინტერპრეტაციას და მისი შესწორებული რედაქციის ჩამოყალიბებას.

2. სუბროგაციის პრინციპის არსი

„სუბროგაცია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა, რაც ნიშნავს ერთი საგნის მეორეთი ჩანაცვლებას.⁴ ამ ტერმინს, ძირითადად, ანგლოსაქსური სამართლის სისტემა იყენებს, ხოლო კონტინენტური ევროპის სამართალში გვხვდება სახელწოდება – *cessio legis*. იგი გამოიყენება იმ პროცესის აღსაწერად, როდესაც ერთი პირი იკავებს სხვა პირის ადგილს ისე, რომ მას შეუძლია განახორციელოს ამ უკანასკნელის უფლებები მესამე პირის მიმართ თავის სასარგებლოდ.⁵ მაგალითად, თუ ა. ზიანს მიაყენებს

ბ.-ს საკუთრებას და ამავდროულად ბ. დაზღვეულია, სადაზღვევო კომპანია გადაუხდის სადაზღვევო საზღაურს ბ.-ს და ამ უკანასკნელის დელიქტური მოთხოვნა ა.-ს მიმართ გადაეცემა სადაზღვევო კომპანიას. მაშასადამე, სუბროგაცია შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ა.-ს უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილების საშუალება.⁶

სუბროგაცია კანონით ვათვალისწინებული შესაძლებლობაა, რა დროსაც მზღვეველზე იმ მოთხოვნის უფლებების გადასვლა ხდება, რაც გააჩნია დაზღვეულ (სარგებლის მიმღებ) პირს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ და ამ უფლების გადასვლა ხორციელდება მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში.⁷ როგორც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითა, ანაზღაურების გაცემისას სადაზღვევო კომპანია ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებას და მას ეძლევა შესაძლებლობა, დაიკამათოს საკუთარი ინტერესი დაზარალებული პირის მოთხოვნის უფლების ხარჯზე. ამასთან, ამგვარი უფლება მზღვეველს წარმოეშობა

6 - Johnston D., Zimmermann R., (eds.), *Unjustified Enrichment: Key Issues in Comparative Perspective*, Cambridge University Press, 2002, 577. სუბროგაციაზე, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილების მექანიზმზე მიუთითებენ სხვა ავტორებიც: Vaughan E.J., Vaughan T.M., *Fundamentals of Risk and Insurance*, John Wiley & Sons, Inc., 2008, 174; Саватье Р., *Теория обязательств: юридический и экономический очерк*, изд. „Прогресс“, М., 1972, 362. შეად.: Познер Р.А., *Экономический анализ права*, В 2-х томах, Т. 1, Перевод с английского, изд. „Экономическая школа“, Санкт-Петербург, 2004, 274-275. დაწვრილებით სუბროგაციის ინსტიტუტის მიზნების შესახებ იხ.: Maher B.S., Pathak R.A., *Understanding and Problematising Contractual Tort Subrogation*, *Loyola University Chicago Law Journal*, Vol. 40, 2008, 55-59: <<http://ssrn.com/abstract=1227323>>.

7 - Vaughan E.J., Vaughan T.M., დასახ. ნაშრომი, 461; Treitel G., *The Law of Contract*, Eleventh edition, Sweet & Maxwell, London, 2003, სქ. 26, გვ. 696; Суханов Е.А. (ред.), *Гражданское право*, В 4-х томах, Том IV, *Обязательственное право*, изд. „Волтерс Клувер“, М., 2008, 358.

4 - იხ.: Dumesnil J.B.G., *Latin Synonyms, with Their Different Significations: And Examples Taken from the Best Latin Authors*, T. Payne, J. Faulder, J. White, Cuthell & Martin, and W.H. Lunn, London, 1819, 530: <<http://ia600502.us.archive.org/19/items/latinsynonymswit00garduoft/latinsynonymswit00garduoft.pdf>>.

5 - Mitchell C., *The Law of Subrogation*, Oxford University Press Inc., New York, 1994, 3.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეულ ზიანს და მხოლოდ იმ თანხის ფარგლებში, რომელიც მან გასცა.⁸

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი ამ ინსტიტუტის ნაკლოვანებაზეც მიუთითებს. მაგალითად, სუბროგაციის ერთ-ერთ ნაკლად მიჩნეულია, რომ იგი ხელს უშლის დამზღვევსა და მესამე პირს შორის დავის დროულ გადაწყვეტას, ამ პროცესის გართულებითა და გაჭიანურებით.⁹

3. სუბროგაციის გამიჯვნა მსგავსი ინსტიტუტებისაგან

სუბროგაციის წესის მიხედვით, დამზღვევის ნაცვლად, მზღვეველს წარმოეშობა უფლება, გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში, დამზღვევის ქონებრივი ინტერესის ხელმყოფისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სუბროგაციის დროს დამზღვევის, როგორც დაზარალებულის ე.ი. როგორც დელიქტური ურთიერთობის კრედიტორის ადგილს იკავებს სადაზღვევო კომპანია.

მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი არ იცვლება, რადგან ზიანის მიმყენებელს ანაზღაურების მოვალეობა წარმოეშობა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, თუმცა იცვლება ამ ურთიერთობის კრედიტორი. ახალი მოთხოვნა კი არ წარმოიშობა, არამედ იცვლება მხოლოდ კრედიტორი,

8 - იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივლისის #ას-850-901-2011 განჩინება.

9 - დანვრილებით იხ.: Parker J. C., The Made Whole Doctrine: Unraveling the Enigma Wrapped in the Mystery of Insurance Subrogation, Missouri Law Review, Vol. 70, 2005, 736-737: <<http://law.missouri.edu/lawreview/docs/70-3/Parker.pdf>>.

კერძოდ, დაზარალებული დამზღვევი იცვლება სადაზღვევო კომპანიით. ასეთ დროს ადგილი აქვს მოთხოვნის დათმობას (ცესიას), რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლით.

სუბროგაციასა და ცესიას შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რომ ცესიის დროს იდება გარიგება მოთხოვნის უფლების დათმობის თაობაზე. სუბროგაციის შემთხვევაში კი, უფლების გადასვლა ხდება არა გარიგების ძალით, არამედ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას თავდაპირველი კრედიტორისათვის ახალი კრედიტორის მიერ სადაზღვევო საზღაურის გადახდის გზით. შესაბამისად, ცესია ხორციელდება კრედიტორის ნების გამოვლენის შედეგად, ხოლო სუბროგაციას ადგილი აქვს კანონის ძალით. ამრიგად, სუბროგაცია ცესიისაგან იმით განსხვავდება, რომ მოთხოვნის გადასვლა ხორციელდება არა გარიგების, არამედ კანონის საფუძველზე.¹⁰ შესაბამისად, ასეთ დროს მოთხოვნის დათმობის კანონისმიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.¹¹

მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგია, რომ მოთხოვნა გადადის ახალ კრედიტორზე, რითაც ეს უკანასკნელი ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობაში იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს. მეორენაირად შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს ხდება კრედიტორის მდგომარეობის გადაცემა სხვა პირზე. მოთხოვნის დათმობით არ ხდება არსებული ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლა, არ იცვლება არც მოთხოვნა, რომელიც ამ ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს – მოთხოვნა ისეთივე მდგომარეობაში

10 - Фогельсон Ю.Б., Комментарий к страховому законодательству, изд. „Юристъ“, М., 1999, 192.

11 - შვად.: Сарбаш С.В., Исполнение договорного обязательства, изд. „Статут“, М., 2005, 153.

გადადის ახალ კრედიტორზე, როგორც იყო თავდაპირველი კრედიტორის ხელში.¹²

იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში სუბროგაციის ინსტიტუტს ხშირად ამსგავსებენ რეგრესულ მოთხოვნას ან კიდევ სუროგაციის ინსტიტუტს, შესაბამისად, საინტერესოა ამ ინსტიტუტების ანალიზი.

სუბროგაციის განსხვავება რეგრესისაგან იმაში მდგომარეობს, რომ რეგრესის დროს ხდება არა პირის შეცვლა უკვე არსებულ ვალდებულებაში, არამედ ამ შემთხვევაში დელიქტური ურთიერთობა დასრულებულია და წარმოიშობა ახალი ვალდებულება. რეგრესის დროს ერთი ვალდებულება ცვლის მეორეს, ხოლო სუბროგაციის შემთხვევაში ვალდებულებაში იცვლება მხოლოდ კრედიტორი, ხოლო თვით ვალდებულება უცვლელი რჩება.¹³ სუბროგაციის დროს მზღვეველი ცვლის დამზღვევეს იმ ვალდებულებაში, რომელიც წარმოიშობა ზიანის მიყენების შედეგად. სწორედ ამიტომ, მისი დადგომა არ განაპირობებს ახალი ვალდებულების წარმოშობას. ეს არსობრივი ნიშანი განსხვავებს სუბროგაციას რეგრესული ვალდებულებისაგან, რომელიც წარმოიშობა სხვა ვალდებულების შესრულების (შენწყვეტის) შედეგად და ამით ახალი, დამოუკიდებელი ვალდებულების ხასიათს იძენს.¹⁴

12 - ჭეჭელაშვილი მ., მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), თბ., 2004, 35-36.

13 - Фогельсон Ю.Б., დასახ. ნაშრომი, გვ. 193.

14 - სუბროგაციისა და რეგრესის გამიჯვნის შესახებ დანვრილებით იხ.: ნიაკაძე ნ., სუბროგაცია და რეგრესი დაზღვევის სამართალში (შედარებითი სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2012. ეს ორი ინსტიტუტი მკაფიოდ არის გამოიჯნული სასამართლო პრაქტიკაშიც. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის #ას-663-624-2011 განჩინება. შეად.: როგავა რ., ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადაცემის ფარგლები და მისი ხანდაზმულობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), თბ., 2013, გვ. 20-22.

თუმცა, ეს დებულება არ გამორიცხავს სუბროგაციისა და რეგრესის ინსტიტუტების ფუნქციონალური დანიშნულების ერთიანობას, რაც გამოიხატება დაზღვევის შედეგად ანაზღაურებულ ზიანზე პასუხისმგებელი მოვალის მხრიდან მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების დაფარვაში.¹⁵

სუბროგაციას ამსგავსებენ სამოქალაქო სამართლის კიდევ ერთ ინსტიტუტს, რომელიც სუროგაციის სახელწოდებითაა ცნობილი, თუმცა, მათ შორის განსხვავება საკმაოა. სუროგაციის ინსტიტუტი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 264-ე მუხლში. სუროგაციის დროს, კრედიტორი კი არ იცვლება, არამედ შესრულების ჩანაცვლებასთან, ან ვადამდე შესრულებასთან გვაქვს საქმე.

როგორც ცნობილია, გირავნობის საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ნივთი, არამედ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, მაგალითად, მოთხოვნა. ამ უკანასკნელის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ არის ფიზიკურად ხელშესახები ობიექტი. ამიტომ მოვალის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულებისას დაგირავებული მოთხოვნა სხვა რამით უნდა შეიცვალოს. სწორედ ასეთ შემთხვევას უწოდებს სამოქალაქო კოდექსი სუროგაციას.¹⁶

სუროგაცია წარმოადგენს საგირავნო ურთიერთობის ისეთ ტრანსფორმაციას, როდესაც დაგირავებული მოთხოვნის ადგილს იკავებს შესრულება. აქ მოვალეში იგულისხმება არა მოგირავნის, არამედ დამგირავებლის მოვალე, რომლის მიმართაც მას აქვს მოთხოვნის უფლება. ამიტომაც, სრულიად ლოგიკურია, შესრულებამ

15 - Суханов Е.А. (ред.), დასახ. ნაშრომი, გვ. 359.

16 - ჭანტურია ლ., საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, გამოც. „სამართალი“, თბ., 1999, გვ. 17.

მოთხოვნის ადგილი დაიკავოს, როცა მოვალე ვალდებულებას ასრულებს გირავნობის ვადის გასვლამდე. ერთი სიტყვით, სუროგაციისას მოთხოვნის უფლების ადგილს იკავებს რეალური შესრულება, როგორც სუროგატი.¹⁷

4. 832-ე მუხლის პირველი ნაწილის განმარტება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დაზღვევის ინსტიტუტი არ გამოირიცხავს ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.¹⁸

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ტერმინი „სუბროგაცია“ არ გვხვდება, თუმცა მისი შინაარსი გადმოცემულია 832-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში. ამ დებულების თანახმად, „თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუ ის დამზღვევს ზიანს უნაზღაურებს.“ სწორედ, მოთხოვნის უფლების ასეთი გადასვლაა ცნობილი „სუბროგაციის“ პრინციპის სახელით.¹⁹

განსხვავებით ქართული კანონმდებლობისაგან, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი იყენებს ამ ტერმინს 965-ე მუხლის სათაურში.

17 - ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 2003, გვ. 293.

18 - ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), თბ., 2007, გვ. 21. ასევე, იხ.: Фогельсон Ю.Б., დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

19 - იხ.: ცისკაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიკინ მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, მუხლი 832, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001, გვ. 153. მიზანშეწონილია, ქართველმა კანონმდებელმა, რომანულგერმანული თუ ანგლოამერიკული კანონმდებლობის მსგავსად, დაამკვიდროს ეს ტერმინი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

ეს ნორმა თავისი სამართლებრივი კონსტრუქციით რადიკალურად განსხვავდება საბჭოთა პერიოდის კოდექსში არსებული ანალოგიური დებულებისაგან. ადრე რუსი კანონმდებელი ამგვარ მოთხოვნას რეგრესად განიხილავდა და შესაბამისად, ძირითადი ვალდებულების შესრულება ახალ ვალდებულებას წარმოშობდა. დღეს მოქმედი რუსეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სადაზღვევო საზღაურის გაცემის შემდეგ რეგრესული ვალდებულება კი არ წარმოიქმნება, არამედ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებული ძირითადი ვალდებულება აგრძელებს არსებობას. ასეთ დროს ხდება პირების შეცვლა ვალდებულებით ურთიერთობაში კანონის საფუძველზე კრედიტორის უფლებების სხვა პირზე გადასვლის გზით. კერძოდ, ზიანის მიმყენებლის მიმართ მოთხოვნის უფლების მქონე დამზღვევს ცვლის მზღვეველი.²⁰ ზიანის ანაზღაურებაზე დამზღვევის უფლების სადაზღვევო კომპანიაზე გადასვლის წესი ემსახურება ამ უკანასკნელის ინტერესის დაცვის მიზანს ქონების დაზღვევისას.²¹

სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი კანონმდებელმა მოათავსა არა დაზღვევის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ზოგადი დებულებების გვერდით, არამედ დაზღვევის კონკრეტული სახის, კერძოდ, ზიანის დაზღვევის მომწესრიგებელ ნორმებს შორის. შესაბამისად, 832-ე მუხლი, მისი საგამონაკლისო ხასიათიდან გამომდინარე, სხვა სახის დაზღვევის

20 - Садиков О.Н. (ред.), Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, части второй (постатейный), изд. „Инфра-М“, М., 1999, 556.

21 - Суханов Е.А. (ред.), დასახ. ნაშრომი, გვ. 358.

დროს არ გამოიყენება.²² 832-ე მუხლი რომ მხოლოდ და მხოლოდ ქონების დაზღვევას ეხება, ამაზე ნორმის პირველი ნაწილიც მიგვითითებს. მაგალითად, ა.-ს დაზღვეული აქვს ავტომანქანა, რომელიც დააზიანა ბ.-მ, ამ შემთხვევაში სახეზე რომ არ გვექონოდა დაზღვევა, ა.-სა და ბ.-ს შორის წარმოიშობოდა დელიქტური ურთიერთობა, სამოქალაქო კოდექსის 992–1016-ე მუხლებიდან გამომდინარე.²³ კანონმდებელი განსახილველი ნორმის პირველი მუხლის პირველ წინადადებაში ამხვილებს ყურადღებას იმაზე, რომ დამზღვევა ისეთი ხელყოფა უნდა განიცადოს, როდესაც ხელმოყოფის დადგენა შესაძლებელია. სწორედ ეს იგულისხმება ჩანაწერში – "თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს..." რა თქმა უნდა, თუ ზიანის მიყენებაში დაზარალებულის ბრალიც ფიგურირებს, მაშინ შერეული ბრალის ინსტიტუტი ამოქმედდება (იხ.: სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის კომენტარი).²⁴

სუბროგაციის წესით კრედიტორის

22 - სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაში სუბროგაციის პრინციპის მოქმედების შეუძლებლობის შესახებ იხ.: Фогельсон Ю.Б., Страхование право: теоретические основы и практика применения, изд. Норма; ИНФРА-М, М., 2012, 353-354. სიცოცხლის დაზღვევაში სუბროგაციის უფლების გამოყენების დაუშვებლობის შესახებ იხ.: ამირანაშვილი გ., სუბროგაციის უფლების დაუშვებლობა (სსკ-ის 858-ე მუხლის საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), თბ., 2011, გვ. 22-26; ნიავაძე ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 39-41. 832-ე მუხლის, როგორც სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმის ანალოგიით გამოყენების შეუძლებლობაზე მიუთითებს სასამართლო პრაქტიკაც. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის #ას-663-624-2011 განჩინება.

23 - იხ.: ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გვ. 44.

24 - ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, მუხლი 415, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001, გვ. 480-484. 25 Фогельсон Ю.Б., დასახ. ნაშრომი, გვ. 193.

შეცვლა ვალდებულებაში ხდება სადაზღვევო საზღაურის გაცემის მომენტიდან. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სუბროგაციის გზით გადასული მოთხოვნის უფლება ხორციელდება იმავე წესის დაცვით, როგორც თავდაპირველი კრედიტორის მოთხოვნის უფლება, სასარჩელო ხანდაზმულობა გადასულ მოთხოვნაზე აითვლება არა სადაზღვევო საზღაურის გაცემის მომენტიდან (მოთხოვნის გადასვლის მომენტიდან), არამედ სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან ე.ი. მომენტიდან, როდესაც დამზღვევს წარმოეშობა მოთხოვნის უფლება ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.²⁵ მაშასადამე, დამზღვევსა და მესამე პირს შორის წარმოშობილ ვალდებულებაში კრედიტორის ადგილის დაკავების შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი გადაწყდება იმ ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით, რომლებიც არეგულირებენ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებულ ურთიერთობას,²⁶ რადგან კრედიტორის შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას²⁷ (იხ.: სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის კომენტარი²⁸).

25 - Фогельсон Ю.Б., დასახ. ნაშრომი, გვ. 193.

26 - მაგალითისათვის იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის #ას-581-549-2011 გადაწყვეტილება. მითითებული გადაწყვეტილების ანალიზი იხ.: როგავა რ., დასახ. ნაშრომი, გვ. 17-22.

27 - როგორც მართებულად არის შენიშნული ლიტერატურაში, უფლების გადასვლა, განსხვავებით ახალი მოთხოვნის წარმოშობისაგან, მხოლოდ უპირატესობას არ იწვევს ახალი კრედიტორისათვის. კერძოდ, იგი, ასევე, განპირობებულია იმ ნაკლით, რაც ახასიათებს გადასულ მოთხოვნას (მაგალითად, ნაწილობრივ ამონურული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა). იხ.: Сарнак С.В., დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

28 - ახვლედიანი ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, მუხლი 130, გამომც. „სამართალი“, თბ., 1999, გვ. 319-322.

როგორც უკვე ითქვა, მოთხოვნის უფლება მზღვეველზე გადადის მის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ სადაზღვევო კომპანია არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს პასუხისმგებელი პირისაგან იმაზე მეტი, რაც მან ანაზღაურა დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. თუმცა, თავის მხრივ, ეს არ ართმევს უფლებას დამზღვევს, ზიანზე პასუხისმგებელი პირისაგან მოითხოვოს თანხა, რაც აღემატება გაცემულ სადაზღვევო საზღაურს, თუ რეალური დანაკლისი სადაზღვევო თანხაზე მეტია.²⁹

832-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარე, დამზღვევს ეკისრება მოვალეობა, გადასცეს მზღვეველს ყველა საჭირო დოკუმენტი, რომლებიც ადასტურებს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობას ზიანის დადგომაში. ამრიგად, დამზღვევი, ზოგადი წესის თანახმად, ვალდებულია, არა მხოლოდ აცნობოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის თაობაზე და მიიღოს ზომები ზიანის შესამცირებლად, არამედ, ასევე, იზრუნოს დამზღვევის სამომავლო მოთხოვნის უზრუნველყოფაზე ზიანის მიმყენებლის მიმართ, მათ შორის, მზღვეველისათვის იმ დოკუმენტებისა და მტკიცებულებების გადაცემის გზით, რაც აუცილებელია სუბროგაციის განხორციელებისათვის.³⁰

იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირი კატეგორიულად უარყოფს ზიანის მიყენების ფაქტს, საჭირო ხდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება,

29 - Садиков О.Н. (ред.), даსახ. ნაშრომი, გვ. 557.
30 - Карпович В.Д. (ред.), Комментарий части второй Гражданского кодекса Российской Федерации, изд. „Фонд правовая культура,“ Фирма „Гардарика,“ М., 1996, 289. ასევე, იხ.: ნიავაძე ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

რომლითაც დადგენილი იქნება, რომ მოპასუხე ვალდებულია, აუნაზღაუროს მოსარჩელეს ზიანი. ასეთი კატეგორიის დავებში, როდესაც პირი გამოირიცხავს თავის ბრალეულობას, ან შერეულ ბრალზე მიუთითებს, აუცილებელია სასამართლოს მხრიდან დადასტურება, რომ სწორედ მესამე პირს ეკისრება ზიანის ანაზღაურება. ისმის კითხვა, თუ ვინ შეიძლება აღძრას სარჩელი მესამე პირის მიმართ იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული დაკმაყოფილებულია სადაზღვევო კომპანიის მხრიდან. სარჩელი შეიძლება აღძრას მზღვეველმა და იყოს სათანადო მოსარჩელე, ხოლო დაზარალებული ჩაერთვება მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. შეიძლება საპროცესო თანამონაწილეობასთანაც გვექონდეს საქმე, როდესაც სადაზღვევო საზღაური მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს მიყენებულ ზიანს. მართლაც, როგორი სისტემის³¹ დაზღვევაც არ უნდა გვექონდეს სახეზე, ზიანი ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება და გარკვეული თანხა შესაძლოა ასანაზღაურებელი დარჩეს. სწორედ ამ დროს თანამოსარჩელები იქნებიან სადაზღვევო კომპანია და დამზღვევი.

დაბოლოს, ქართველმა კანონმდებელმა სუბროგაციის გამოყენება არ დაუკავშირა მხარეთა შეთანხმებას. მაგალითად, ზიანის მიმყენებელი არის დაზარალებულის მეგობარი, დაზარალებული მიმართავს კომპანიას, რომ დაზღვევის არარსებობის პირობებში იგი არ აღძრავდა სარჩელს თავისი მეგობრის წინააღმდეგ. ზოგადი წესის თანახმად, მზღვეველს ყველა შემთხვევაში აქვს სუბროგაციის უფლება და თუ დამზღვევი არ აძლევს მას ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობას, სადაზღვევო კომპანია სრულად გათავისუფლდება დამზღვევის მიმართ

31 - იქნება ეს „პირველი რისკის“ თუ „პროპორციული“ სისტემა.

ანაზღაურების მოვალეობისაგან ან თუ უკვე გაცემული აქვს სადაზღვევო საზღაური, მოითხოვს მის უკან დაბრუნებას.³² თუმცა მზღვეველის სრული გათავისუფლება ჩვენი კანონმდებლობის მიერ არ არის გათვალისწინებული. კერძოდ, თუ დამზღვევი უარს განაცხადებს თავის უფლებაზე მესამე პირის მიმართ, მაშინ მზღვეველი გათავისუფლდება არა სრულად, არამედ იმ ოდენობით, რაც მან გასწია სარჩელის აღძვრის, აუდიტის მოწვევის, ადვოკატის მომსახურებისათვის და სხვ. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ეს ხარჯები გამოაკლდება სადაზღვევო კომპანიის მიერ ასანაზღაურებელ თანხას.

5. 832-ე მუხლის მეორე ნაწილის ხარვეზი

832-ე მუხლის მეორე ნაწილით მოწესრიგებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც დამზღვევს ზიანს ოჯახის წევრი აყენებს. ამ დებულების თანახმად, თუ დამზღვევის უფლება ზიანის ანაზღაურების თაობაზე ეხება მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს, მაშინ უფლების გადასვლა გამორიცხულია, როცა ოჯახის წევრმა ზიანი განზრახ გამოიწვია.“

ციტირებული ნორმა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. კერძოდ, სიტყვასიტყვითი ფორმულირებიდან ისე გამოდის, თითქოს დამზღვევის ოჯახის წევრის მიერ გამოწვეული ზიანის შემთხვევაში, თუნდაც ამ უკანასკნელის მხრიდან განზრახ ქმედებას ჰქონდეს ადგილი, სადაზღვევო კომპანიის მიერ სუბროგაციის უფლების გამოყენება დაუშვებელია.

სამართლის ნორმის სწორი გაგებისათვის უნდა გაირკვეს თვით კანონმდებლის ნება, ამისათვის კი მთელი ინსტიტუტის ამოცანები უნდა

მივიღოთ მხედველობაში,³³ რადგან კანონის ტექსტის გაგება მოითხოვს მის მიერ მოწესრიგებული ფაქტობრივი ურთიერთობის შესახებ ე. წ. წინა ცოდნას. მაგალითად, დაზღვევის საქმეში გამოუცდელია ნიშნავს დაზღვევის სამართლის „არგაგებასაც“ – ვინც არ იცნობს რეგულირების საგანს, მას არ ესმის შესაბამისი კანონიც.³⁴ კანონმდებლის ნების დაკონკრეტების ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს სისტემური ინტერპრეტაციის მეთოდი. კერძოდ, ინტერპრეტირებული ნორმა თავისი არსითა და მიზნით თანაბარი ნორმების კონტექსტში უნდა ჯდებოდეს.³⁵ ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ განსახილველი ნორმა წინააღმდეგობაში მოდის სამოქალაქო კოდექსის იმ დებულებებთან, რომლებიც ანიჭებენ უფლებას მზღვეველს, მოშალოს ხელშეკრულება დამზღვევის მხრიდან განზრახი ქმედების შემთხვევაში.³⁶

გარდა ამისა, 832-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტექსტობრივი ხარვეზი საზღვარგარეთის ქვეყნების სადაზღვევო კანონმდებლობაში არსებული ანალოგიური შინაარსის ნორმებზე დაყრდნობითაც შეიძლება დასაბუთდეს. ამ კონტექსტში, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ევროპული სამართლის რეცეფციის შედეგად შეიქმნა, ინტერეს მოკლებული არ უნდა იყოს დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ გერმანიის

33 - იხ.: სუხიტაშვილი თ., ხელშეკრულებისა და სახელშეკრულებო ნორმების განმარტება, გამომც. „საქართველოს მაცნე“, თბ., 2010, გვ. 23; ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამომც. „სამართალი“, თბ., 2004, გვ. 150.

34 - იხ.: ჩიქოვანი ი., კაპანაძე ო. (რედ.), როგორ იქმნება კანონი, გამომც. „აზრი“, თბ., 2000, გვ. 232.

35 - იხ.: ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, გამომც. „ისესტა“, თბ., 2009, გვ. 53-54.
36 - მაგალითების მოტანა შესაძლებელია როგორც დაზღვევის ხელშეკრულების მარეგულირებელი ზოგადი დებულებებიდან, ისე ზიანის დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმებიდან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 808-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 810-ე მუხლი, 813-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 822-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 829-ე მუხლი.

ფედერაციული რესპუბლიკის 1908 წლის კანონის 86-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის მოხმობა. ამ ნორმის თანახმად, თუ დამზღვევის მოთხოვნა ანაზღაურებაზე მიმართულია იმ პირის წინააღმდეგ, რომელთან ერთადაც იგი ცხოვრობს ზიანის დადგომის მომენტისათვის, დაუშვებელია ანაზღაურების მოთხოვნის გადასვლა 86-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ პირმა ზიანი განზრახ გამოიწვია.³⁷

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგება დამზღვევის ოჯახის წევრის განზრახი ქმედებით, მზღვეველმა სადაზღვევო საზღაური უნდა მისცეს დამზღვევს, ხოლო თვითონ უფლება აქვს, მოთხოვნა წაუყენოს დამზღვევის ოჯახის წევრს. ამიტომ ამ ნორმაში მითითებული უნდა იყოს, რომ უფლების გადასვლა იმ შემთხვევაში არის გამორიცხული, როცა ოჯახის წევრს ზიანი განზრახ არ გამოუწვევია.³⁸

6. დასკვნა

სუბროგაციის ინსტიტუტის განხილვა ნათლად ადასტურებს ამ პრინციპის მნიშვნელობას დაზღვევის სამართლისათვის. ნაშრომის მიზანი იყო სუბროგაციის არსის გადმოცემა, მისი გამიჯვნა სამოქალაქო სამართლის სხვა

37 - ხელმისაწვდომია <<http://dejure.org/gesetze/VVG/86.html>>. ანალოგიური შინაარსისაა, მაგალითისათვის, გერმანული სამართლის ქვეყნებიდან ავსტრიის 1958 წლის დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ კანონის 67-ე პარაგრაფის მეორე აბზაცი: <<http://www.versicherungsgesetze.de/versicherungsvertragsgesetz/0067.htm>>, ხოლო ინგლისური სამართლის ქვეყნებიდან ავსტრალიის 1984 წლის დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ კანონის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი: <<http://www.comlaw.gov.au/Details/C2004C00163>>.

38 - ანალოგიური რეკომენდაცია იყო გამოთქმული ამ ნორმასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსი ახალი მიღებული იყო: ცისკაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 832, გვ. 153-154; ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გვ. 45-46.

მსგავსი ინსტიტუტებისაგან და, რა თქმა უნდა, იმ ნორმის ანალიზი, რომლითაც ქართველმა კანონმდებელმა განამტკიცა ეს წესი.

ქართულ კანონმდებლობაში ტერმინი „სუბროგაცია“, ჯერ კიდევ, არ არის დამკვიდრებული, რაც, გარკვეულწილად, ართულებს იმის გაცნობიერებას, რომ სამოქალაქო კოდექსის 832-ე და 858-ე მუხლებში საუბარია სწორედ ამ პრინციპზე, ეს კი, საბოლოოდ, ხელს უშლის მოცემული ნორმების სწორ ინტერპრეტაციას და იმ შინაარსის დადგენას, რაც კანონმდებელს რეალურად აქვს ნაგულისხმევი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ქართულ სადაზღვევო კანონმდებლობაში დამკვიდრდეს ეს ტერმინი.

832-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაანალიზება გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. კერძოდ, ცხადი ხდება, რომ საქმე გვაქვს ნორმის ტექსტობრივ ხარვეზთან, რომელიც მუხლის მთელ შინაარსს ცვლის, რამაც პრაქტიკაში არასწორ სამართლებრივ შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს. შესაბამისად, მითითებულ ნორმაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა ეჭვგარეშეა.

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, ქართული კანონმდებლობა იზიარებს მონინავე ქვეყნების გამოცდილებას სუბროგაციის წესის განმტკიცებისა და მისი მოქმედების ფარგლების დადგენის თვალსაზრისით, თუმცა აუცილებელია, არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, რათა უფრო სრულყოფილად მოხდეს ამ პრინციპის გამოყენება სადაზღვევო ურთიერთობაში.



ნათია დილმელაშვილი

**პერსონალურ მონაცემთა დაცვა
შრომით ურთიერთობებში**

შესავალი

პერსონალური მონაცემების დაცვა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ის ადამიანის პირადი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად განიხილება, შესაბამისად, მისი დაცვა დაუსაბუთებელი და არაგონივრული ჩარევებისგან მნიშვნელოვანი წინაპირობაა ადამიანის სხვა უფლებების რეალიზაციისა და თავისუფალი საზოგადოების ფუნქციონირებისათვის. პერსონალური მონაცემების დაცვა დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და დაცულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით.

21-ე საუკუნეში სულ უფრო და უფრო ვითარდება საკომუნიკაციო თუ ინფორმაციული ტექნოლოგიები. კომუნიკაციის საშუალებები ბევრად უფრო სრულყოფილი გახდა, შესაბამისად, იმატებს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული რისკები. საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში ყოველდღიურად მუშავდება დასაქმებულთა შესახებ პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია. აღნიშნული ვითარება კი ზრდის მის უკანონოდ დამუშავების რისკებს.

სწორედ ამიტომ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა და შესაბამისი სამართლებრივი რეგლამენტაცია ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი გახდა როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე. ამ სფეროში ევროკავშირის ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს 1995 წლის 24 ოქტომბერს მიღებული დირექტივა #95/46/EC. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა იურისდიქციების მიხედვით საკითხის სიმწვავის აღქმა სხვადასხვანაირია, მაინც იკვეთება მახასიათებელთა და პრინციპთა გარკვეული ერთობლიობა, რომლებიც თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში გვხვდება.

საქართველოს კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მხრივ პირველ ნაბიჯებს დგამს. 2012 წლამდე საქართველოს კანონმდებლობა ცალკე კანონად არ აყალიბებდა მოთხოვნებს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით. 2012 წლის მაისიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ". აღნიშნული კანონი არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას როგორც კერძო ორგანიზაციებში, ისე საჯარო დაწესებულებებში და ადგენს საკმაოდ

კომპლექსურ ქცევის წესს პერსონალური მონაცემების დამუშავებელთათვის. 2012 წლამდე აღნიშნულ საკითხს არეგულირებდა მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის რამდენიმე მუხლი, რომლებიც არ ქმნიდა პერსონალური მონაცემების დაცვის ეფექტურ გარანტიებს. ვინაიდან საქართველო ისწრაფვის ევროკავშირში ინტეგრაციისკენ, საჭირო გახდა ევროპული სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა და ამ კანონების იმპლემენტაცია კერძო თუ საჯარო დაწესებულებებში.

ევროპის ქვეყნებში ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად განიხილება პერსონალური მონაცემების დამუშავება შრომით ურთიერთობებში. თუმცა ევროკავშირის ქვეყნებში ამ საკითხისადმი ერთიანი მიდგომა არ არსებობს. ზოგიერთ ქვეყანას დამსაქმებლების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების ლეგიტიმაციის მიზნით სრულიად სხვა, ცალკე კანონი აქვს შემუშავებული, რომელიც კონკრეტულად და დეტალურად არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, ზოგიერთი კი პრინციპების დონეზე მიყვება ევროსაბჭოსა და ევროკავშირის რეგლამენტაციას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროკავშირში პერსონალური მონაცემების დაცვა ძირითადად უზრუნველყოფილია ევროპარლამენტის და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივით.¹ დირექტივა მიზნად ისახავს, დაცული იქნეს ბალანსი პირთა პირადი მონაცემების დაცვასა და ევროკავშირში მათ თავისუფალ

მიმოქცევას შორის. დირექტივა აწესებს მკაცრ შეზღუდვებს პირადი მონაცემების შეგროვებასა და გამოყენებაზე და მოითხოვს, რომ ყოველმა წევრმა სახელმწიფომ შექმნას დამოუკიდებელი ეროვნული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ მონაცემების დაცვაზე. დირექტივა გამოიყენება იმ მონაცემების მიმართ, რომელთა გადამუშავება ხდება ავტომატიზებული საშუალებებით (მაგალითად, მონაცემთა კომპიუტერული ბაზა მომხმარებელთა შესახებ) და იმ მონაცემების მიმართ, რომელიც ავტომატური ფაილების სისტემების (ქალაქის ფაილები) ნაწილს წარმოადგენს.

როგორც მონაცემთა დაცვის საკონსულტაციო ჯგუფი² თავის მოსაზრებაში წერს, პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი შრომით ურთიერთობებში კვლავ დებატების საგანია. ევროკავშირის ქვეყნებში უკვე გამოსცეს, ან მომზადების პროცესშია ამ საკითხის მარეგულირებელი კანონმდებლობა. მთავარი მოხოვნაა დაცულ იქნას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ძირითადი პრინციპები, რომლებიც აღიარებულია ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის მიერ.

პერსონალური მონაცემების დამუშავების ძირითადი პრინციპები

შრომით ურთიერთობებში როგორც დამსაქმებელმა, ისე დასაქმებულმა უნდა იცოდეს, რომ ბევრი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში, საჭიროებს დასაქმებულთა პერსონალური

1 - Directive 95/46/EC on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data.

2 - აღნიშნული დირექტივის 29-ე მუხლის საფუძველზე შეიქმნა მონაცემთა დაცვის ჯგუფი, რომელსაც გააჩნია საკონსულტაციო ფუნქციები.

მონაცემების დამუშავებას, ზოგჯერ ეს შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი და მგრძობიარე ინფორმაციაც იყოს. დასაქმებულთა შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის შეგროვება, გამოყენება ან შენახვა ელექტრონული ან სხვა საშუალებებით, მთლიანად ექცევა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობის რეგულირების სფეროში.

იმისათვის, რომ სამსახურეობრივ ურთიერთობებში მაქსიმალურად იყოს დაცული პერსონალური მონაცემები, დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, დამსაქმებლებმა უნდა გაითვალისწინონ პერსონალურ ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც დადგენილია ევროსაბჭოს დირექტივის მიერ³. ესენია:

1. მიზნობრიობა: პერსონალური მონაცემების გადამუშავება უნდა მოხდეს სამართლიანად და კანონიერად, ხოლო მისი შეგროვება განსაზღვრული, აშკარა და ლეგიტიმური მიზნებით.

2. გამჭვირვალობა: დასაქმებულებმა აუცილებელია იცოდნენ, თუ რა ინფორმაცია გროვდება მათ შესახებ და რა მიზნით გამოიყენებენ მათ მომავალში. გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ დასაქმებულს ექნება წვდომა მის პირად ინფორმაციაზე. დამქირავებლის ვალდებულებაა, რომ შეატყობინოს საზედამხედველო ორგანოს (ჩვენს შემთხვევაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს) ასეთი ინფორმაციის არსებობის შესახებ, როგორც ეს

გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით.

3. ლეგიტიმურობა: დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა იყოს შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული. პირადი მონაცემების დამუშავება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში,

თუ კონკრეტულმა პირმა გარკვევით განაცხადა თავისი თანხმობა ამაზე, ან თუ ამ მონაცემების შეგროვება-დამუშავება აუცილებელია:

- კონტრაქტის შესრულებისთვის, რომლის მხარესაც ეს პირი წარმოადგენს;
- სამართლებრივი ვალდებულების შესრულებისთვის, რომელსაც ეს პირი ექვემდებარება;
- მაკონტროლებლის არსებითი ინტერესების დასაცავად;
- საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ამოცანის შესასრულებლად;
- მაკონტროლებლის ლეგიტიმური ინტერესების უზრუნველსაყოფად.

4. პროპორციულობა: დამქირავებლის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემები უნდა იყოს ადეკვატური, რელევანტური და არა გადაჭარბებული იმ მიზნებისთვის, რომლებისთვისაც ეს ინფორმაცია გროვდება ან მუშავდება.

5. მონაცემთა სიზუსტე და მათი შენახვა: დამსაქმებლის ჩანაწერები უნდა იყოს ზუსტი და შეესაბამებოდეს სიმართლეს. დამსაქმებელმა უნდა გადადგას ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა უზრუნველყოს მონაცემთა

3 - Directive 95/46/EC of the European Parliament and of the Council of 24 October 1995 on the protection of individuals with regards to the processing of personal data and on the free movement of such data.

სისწორე და უზუსტობის შემთხვევაში ის უნდა გამოასწოროს. დამსაქმებლებმა უნდა უზრუნველყონ შემდეგი: დასამუშავებელ მონაცემთა კატეგორია უნდა შეეფერებოდეს მისი დამუშავების მიზნებს; პერსონალური მონაცემები, რომლებიც არ არის ან აღარ არის საჭირო რაიმე მიზნისთვის, უნდა წაიშალოს ან დაიხუროს. მონაცემები უნდა იყოს ზუსტი და თუ რაიმე მიზნისთვის არის გათვალისწინებული, უნდა იქნეს შენახული გარკვეული ვადით. არაზუსტი ან არასრული პერსონალური მონაცემები უნდა დაიხუროს და მიღებულ იქნას ზომები მათ შესავსებად და შესასწორებლად.

6. უსაფრთხოება: დამსაქმებელმა უნდა განახორციელოს ყველა შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიება, რომლებიც დასაქმებულს მისცემს გარანტიას, რომ მისი მონაცემები იქნება დაცული. მაკონტროლებელმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა დაცული იქნეს პირადი მონაცემები შემთხვევითი თუ უკანონო განადგურების ან დანაკარგისაგან, შეცვლისა თუ უკანონო გამჟღავნებისაგან.

7. მონაცემთა შეგროვება-დამუშავების კონფიდენციალურობა:

არც ერთმა პირმა, რომელიც მოქმედებს მაკონტროლებლის ან შემგროვებლის ანდა მონაცემთა დამმუშავებლის უფლებამოსილებით, რომელსაც ხელი მიუწვდება პირად მონაცემებზე, არ უნდა მოახდინოს ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება მაკონტროლებლის შესაბამისი ინსტრუქციების გარეშე. იმ ადამიანებს, რომლებსაც

უწევთ პერსონალურ მონაცემებთან ურთიერთობა, უნდა ჩაუტარდეთ სპეციალური ტრენინგები პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

დასაქმებულის პერსონალური მონაცემები კონფიდენციალურია და დამსაქმებელმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ გამჟღავნდეს.

8. თანხმობა: დასაქმებული თანახმა უნდა იყოს მისი პერსონალური მონაცემების შეგროვება-დამუშავებაზე. თანხმობა არის პირის მიერ ნების მკაფიოდ გამოხატვა მონაცემთა დამუშავებისთვის მას შემდეგ, რაც მოხდება მისი ინფორმირება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლების, მონაცემთა კატეგორიების და წყაროების შესახებ, მესამე პირების და იმ პირთა კატეგორიების შესახებ, რომელთათვისაც მონაცემთა გაცემა დასაშვებია. აუცილებელია, რომ თანხმობა იყოს თავისუფალი არჩევანი და ის ვარგისია მხოლოდ კონკრეტული მიზნისთვის. მონაცემთა სუბიექტს აქვს მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების აკრძალვის უფლება. ყოველ პირს, რომლის შესახებაც შეგროვდა ანდა დამუშავდა ინფორმაცია, უფლება აქვს, მაკონტროლებლისგან მოითხოვოს:

- დასტური, რომ მის შესახებ ინფორმაციას აგროვებენ ანდა ამუშავებენ;
- ისეთი მონაცემების უარყოფა, ნაშლა თუ დაბლოკვა, რომლის შეგროვება-დამუშავება არ შეესაბამება დირექტივის დებულებებს, კერძოდ, მონაცემების არასრული ან არასწორი ხასიათის გამო.

9. დაკვირვება და მონიტორინგი: პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნები ვრცელდება ასევე

დასაქმებულების მონიტორინგზე და თვალთვალზე, იქნება ეს განხორციელებული ელექტრონული ფოსტით, ვიდრე კამერით თუ ჭიპისით. დამქირავებლის მიერ ნებისმიერი მონიტორინგი უნდა იყოს ადეკვატური პასუხი იმ რისკებისა, რომელსაც ის ეჭიდება კონფიდენციალურობიდან და სხვა დასაქმებულთა ინტერესებიდან გამომდინარე. ნებისმიერი პირადი მონაცემი, რომელიც მოპოვებულ იქნება მონიტორინგის საშუალებით, უნდა იყოს ადეკვატური, რელევანტური და არა გადაჭარბებული იმ მიზნებისთვის, რომლისთვისაც მონიტორინგი გამართლებულია.

10. დასაქმებულთა მონაცემების გადაცემა შესამე ქვეყნისთვის: ევროსაბჭოს დირექტივის 25-ე მუხლი ადგენს, რომ პერსონალური მონაცემის გადაცემა ევროკავშირის გარეთ მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ იმ ქვეყანაში გარანტირებულია პერსონალური მონაცემების დაცვა. ეს პრინციპი ვრცელდება ასევე შრომითი ურთიერთობების დროს მივლინებაში წასვლაზე და ა.შ.

ევროკავშირის ქვეყნების საკანონმდებლო რეგულირება

ზემოთ ვისაუბრეთ ზოგად სტანდარტებზე, თუ რა პრინციპები უნდა იყოს დაცული დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის პერსონალური მონაცემების შეგროვება-დამუშავებისას. ახლა გადავიდეთ იმის განხილვაზე, თუ რა რეგულირება გვაქვს ევროკავშირის ქვეყნებში სხვადასხვა სახის პერსონალური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებაზე.

• პერსონალური მონაცემები ჯანმრთელობის შესახებ

სამედიცინო მონაცემი არის ერთ-ერთი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, რომლის დამუშავების ლეგიტიმური საფუძვლებიც განსაკუთრებით შეზღუდულია. სამედიცინო მონაცემების დამუშავება აკრძალულია იმ საფრთხეებისა და რისკების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება მას მომავალში მოჰყვეს: იქნება ეს კონფიდენციალურობის დარღვევა, თუ დისკრიმინაცია. განსაკუთრებული დაცვის მიუხედავად, მაინც არსებობს გამონაკლისები. ასეთი მონაცემების შეგროვება დამსაქმებლის მიერ, ევროკავშირის მასშტაბით, დასაშვებია, თუ ინფორმაციის დამუშავება აუცილებელია დამსაქმებლის მიერ იმ მიზნების და ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც ნაკისრი აქვს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში ის შეზღუდულია ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც უზრუნველყოს დაცვის ადეკვატურ გარანტიებს⁴. ასეთი ინფორმაციის შეგროვების ლეგიტიმურ მიზანი უნდა ემსახუროდეს დასაქმებულის ფიზიკურ სიტანსაღესა და დაცვას, ან სოციალური შეღავათების დაწესებას. ასევე ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური ინფორმაციის დამუშავება დასაშვებია მაშინ, როდესაც ასეთი ინფორმაცია მოთხოვნილია დაავადების პრევენციისა და სამედიცინო დიაგნოსტიკის

მიზნით, მკურნალობის
4 - Directive 95/46/EC of the European Parliament and Council of 24 October 1995 on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, article 8.2(b).

უზრუნველსაყოფად ან ჯანდაცვის მომსახურების სამართავად⁵. ეს ეხება არა მხოლოდ ზოგადად ჯანდაცვას, არამედ საოკუპაციო ჯანმრთელობასაც.

სამსახურეობრივ ურთიერთობებში სამედიცინო მონაცემების შემონახვა ხდება დასაქმებულთა ჯანმრთელობის მონიტორინგის მიზნით. იმის შესამოწმებლად, მოქმედებს თუ არა მათ მიერ შესრულებული სამუშაო უარყოფითად მათ ჯანმრთელობაზე. გარდა ამისა, თანამშრომლის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხდება რამდენიმე მიზნით:

1. შემონახვის, შეუძლია თუ არა თანამშრომელს სათანადო სამსახურის განწევა;
2. თავიდან იქნეს აცილებული დაავადებები ან დაზიანება;
3. სხვა თანამშრომლების ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გარანტია, რომ აღნიშნული პიროვნება არ წარმოადგენს სხვებისთვის საშიშროებას.

აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად დავროპარლამენტის დირექტივის შესასრულებლად, ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანამ, კანონმდებლობაში ჩადო შესაბამისი მუხლები, რომლებიც დამსაქმებელს აძლევს უფლებას მოითხოვოს დასაქმებულის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემები⁶, დამსაქმებელს, ასევე, უფლება აქვს

5 - Directive 95/46/EC of the European Parliament and Council of 24 October 1995 on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, article 8.3.
6 - Denmark, Act No. 286 of 24 April 1996 on the Use of Health Information on the Labour Market.

დასაქმებულს მოსთხოვოს სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება⁷ და ა.შ.

• ვიდეო კონტროლი

ამ საკითხთან დაკავშირებით, ევროპის რამდენიმე ქვეყანას განსხვავებული მიდგომა აქვს. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ზედამხედველობა ხშირად რეგულირდება სპეციალური კანონებით. მაგალითად, ბელგიაში გვაქვს კანონი კამერით მეთვალყურეობის შესახებ.⁸ ამ კანონის მიხედვით, საჯარო თუ დახურული სივრცის ვიდეო კონტროლი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნებადართული, თუ საჭიროა დაუყოვნებლივი რეაგირება კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ და თუ საჭიროა დამნაშავის იდენტიფიკაცია⁹. ასეთი დაკვირვება უნდა განხორციელდეს მხოლოდ

სპეციალური ნიშნის განთავსების შემდეგ. ფარული კამერები აკრძალულია.¹⁰

გერმანიაში საჯარო ადგილების კამერით თვალთვალი რეგულირებულია მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის ცალკე მუხლით¹¹. ამ მუხლის მიხედვით, კამერით ჩანერა საჯარო ადგილებში დაშვებულია იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭიროა ზუსტად განსაზღვრული

7 - Belgium, Law on Medical Examinations (Wet van 5 juli 1997, houdende regels tot versterking van de rechtspositie van hen die een medische keuring ondergaan (Wet op de medische keuringen)).
8 - Belgium, Act of 21 March 2007 to regulate the installation and use of surveillance cameras (Wet van 21 maart 2007 tot regeling van de plaatsing en het gebruik van bewakingscamera's), article 3 2.
9 - Belgium, Act of 21 March 2007 to regulate the installation and use of surveillance cameras, article 5 §4 and 6 §3.
10 - Belgium, Act of 21 March 2007 to regulate the installation and use of surveillance cameras, article 5 §3 and 6 §2.
11 - Germany, Federal Data Protection Act, § 6b Abs. 1 Nr. 3.

მიზნების შესასრულებლად, როგორცაა ქურდობის პრევენცია, უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი.

ბელგიაში არა საჯარო ადგილებში ვიდეო კონტროლს არეგულირებს 1998 წლის 16 ივნისის აქტი CBA 68.¹² ამ აქტში იმპლემენტირებულია მიზნობრიობის, პროპორციულობისა და გამჭვირვალობის პრინციპები.¹³ სათვალთვალო კამერა სამუშაო სართულზე გამოიყენება მხოლოდ განსაზღვრული მიზნებისთვის:

1. უსაფრთხოება და ჯანმრთელობა;
2. კომპანიის საქონელის დაცვა;
3. წარმოების პროცესის კონტროლი (იგულისხმება ორივე: ტექნიკური და ადამიანური რესურსების კონტროლი);
4. დასაქმებულის სამუშაოს კონტროლი.¹⁴

როდესაც ვიდეო კონტროლის მიზანი თანამშრომლის მუშაობის შემოწმებაა (მე-3 და მე-4 პუნქტი), სათვალთვალო კამერის გამოყენება უნდა განხორციელდეს დროებით. დანარჩენი მიზნებისთვის ვიდეო კონტროლი შეიძლება იყოს მუდმივი.¹⁵ ამ აქტით ასევე, გათვალისწინებულია შემდეგი: როდესაც ვიდეო კონტროლი ხორციელდება თანამშრომლის მუშაობის შემოწმების მიზნით, მისი მუშაობა არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ და მხოლოდ სათვალთვალო კამერით მიღებული ინფორმაციით და დანაკარგი/ზარალი უნდა იყოს

დოკუმენტურად დადასტურებული.¹⁶

როდესაც ხორციელდება ვიდეო კონტროლი, დამქირავებელი ვალდებულია დაქირავებულს დაწვრილებით განუმარტოს კონტროლის მიზანი. აუცილებელია, რომ კონტროლი განხორციელდეს მხოლოდ ამ მიზნით და ის უნდა იყოს

რელევანტური საშუალება ინფორმაციის მისაღებად.¹⁷ როდესაც ვიდეო კონტროლის მიზანი თანამშრომლის მუშაობის შეფასებაა, ეს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული შიდა შრომითი კანონმდებლობით¹⁸ და ამან გავლენა არ უნდა მოახდინოს დასაქმებულის კონფიდენციალობაზე. CBA 68-ს მიხედვით, ფარული კამერის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კრიმინალური დანაშაულების გამოსავლენად.

გერმანიაში სამსახურეობრივი ურთიერთობების დროს ვიდეო კონტროლი დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ის აუცილებელია დასაქმებულთან გაფორმებული კონტრაქტის მიზნების შესასრულებლად.¹⁹ დასაქმებულების თვალთვალი, პრევენციის მიზნით, კონკრეტული ექვმიტანილის გარეშე, დაუშვებელია. თვალთვალი დანაშაულის გამოსავლენად შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს დოკუმენტურად დასაბუთებული ეჭვი, ინფორმაციის შეგროვება საჭიროა დანაშაულის გამოსავლენად და ინფორმაციის სუბიექტის ინტერესი არ გადაწონის მონაცემების შემგროვებლის

12 - National Labour Council (Belgium), CBA n° 68 of 16 June 1998 relating to the protection of the privacy of employees in relation with camera surveillance on the work floor

13 - CBA 68, commentary on article 1.

14 - CBA 68, article 4 §1.

15 - CBA 68, article 6.

16 - CBA 68, article 4 §1 4°.

17 - CBA 68, article 7.

18 - CBA 68, article 9 §2.

19 - Germany, Federal Data Protection Act, § 32 Abs. 1.

ინტერესებს.²⁰ შრომის სასამართლოებმა უარყვეს ვიდო კონტროლის უფლება, როდესაც ნაკლებად შემზღუდავი კონტროლის საშუალება არსებობს, მაგრამ მათ, ასევე, მიიღეს არგუმენტი, რომ კამერით თვალთვალი დასაშვებია მაშინ, როდესაც არ არსებობს სხვა უკეთესი საშუალება კონტროლის განსახორციელებლად.²¹

• ელექტრონული ფოსტა და ინტერნეტ მონიტორინგი

დამსაქმებელი უზრუნველყოფს კომპიუტერულ მონაცემებსა და ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას თავისი თანამშრომლებისთვის და აქვს უფლება გადაწყვიტოს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მათი გამოყენება და ამ გამოყენების კონტროლი. ეს, რა თქმა უნდა, შემზღუდავი თანამშრომლის კონფიდენციალური ინფორმაციით, რომელიც მოიცავს, ასევე, კომუნიკაციების დაცვის უფლებას.

თანამშრომელს აქვს კომუნიკაციის უფლება და დამჭირავებელს არ შეუძლია აკრძალოს ყველა კერძო ურთიერთობა. მას შეუძლია აკრძალოს კომუნიკაცია მხოლოდ განსაზღვრული ტელეკომუნიკაციის საშუალებებით, თუ ამ კომუნიკაციისთვის ის სხვა ალტერნატივას გამოიძებნის.

რამდენიმე საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცხადყო, რომ კერძო სატელეფონო ზარები და მეილები სამუშაო საათების განმავლობაში დამსაქმებლის 20 - Germany, Federal Data Protection Act, § 32 Abs. 1; BAG, 07.10.1987, 5 AZR 116/86, <http://dejure.org/1987,269>; BAG, 27.03.2003, 2 AZR 51/02, <http://dejure.org/2003,108>; BAG, 14.12.2004, 1 ABR 34/03, <http://tlmd.in/u/417>; BAG, 29.06.2004, 1 ABR 21/03, <http://tlmd.in/u/416>; BAG, 26.08.2008, 1 ABR 16/07, <http://tlmd.in/u/500>; Simitis, S. et al., Bundesdatenschutzgesetz, 1372-1373. 21 - BAG, 27.03.2003, 2 AZR 51/02.

ალტერნატივით დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით და ითვლება, რომ კერძო საუბრების მოსმენა და ელექტრონული ფოსტის კონტროლი არის მე-8 მუხლის დარღვევა.²² ამ საქმეში სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის, რომ თანამშრომლისთვის არ ყოფილა მიცემული სპეციალური გაფრთხილება სავარადუო მოსმენის შესახებ და მას ჰქონდა გონივრული მოლოდინი, რომ ასეთი ზარები იქნებოდა კონფიდენციალური. ეს ნიშნავს, რომ როდესაც ასეთი გაფრთხილება მიცემულია, კერძო საუბრების კონფიდენციალურობის გონივრული მოლოდინი ნაკლებია. მეორე საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ განსაზღვრულ შემთხვევებში თანამშრომლის ტელეფონისა და ელექტრონული ფოსტის კონტროლი შეიძლება იყოს კანონიერი. ეს ნიშნავს იმას, რომ კერძო კომუნიკაციის დაცვის უფლება არ არის აბსოლუტური და გარკვეულ შემთხვევებში ის შეიძლება შეზღუდოს.²³ ამასთან დაკავშირებით, WP 29²⁴ ცხადყოფს, რომ დამსაქმებლის წინასწარ გაფრთხილება არ არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ გამართლდეს ნებისმიერი დარღვევა.

WP 29 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებიდან გამომდინარე, ასკვნის:

• დაჭირავებულს აქვს სამუშაო 22 - ECtHR, Halford v. UK, 25 June 1997; ECtHR, Amann v. Switzerland, 16/02/2000; ECtHR, Copland v. UK, 3 April 2007.

23 - P. Waterschoot, Bespreking van enkele arresten van het Arbeidshof te Gent in verband met het gebruik van e- mail en internet op de werkplaats en het controlerecht van de werkgever daarop, R.W. 2008-09, 731.

24 - ევროსაბჭოს დირექტივის 29-ე მუხლით გავალისწინებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც იძლევა რეკომენდაციებს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით

ადგილას კონფიდენციალურობის ლეგიტიმური მოლოდინი. დამსაქმებლის კონტროლის უფლება არ გადაწონის ასეთ მოლოდინს;

- ფარული მიმონერა შეიძლება განხორციელდეს დამსაქმებლის საკომუნიკაციო საშუალებებით;
- დასაქმებულს აქვს უფლება, რომ ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვებთან. ასეთი ურთიერთობები შეიძლება განხორციელდეს სამუშაო ადგილას, თუ ეს არ ზღუდავს დამსაქმებლის უფლებებს.²⁵

საფრანგეთში სამსახურებრივ ურთიერთობებში ელექტრონული ფოსტის კონტროლი და ინტერნეტ მონიტორინგი რეგულირებულია მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით. დამსაქმებლის მიერ ინტერნეტისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენების აკრძალვა, კერძო მიმონერისთვის, არის არარეალური და არაპროპორციული²⁶. თუმცა, როდესაც დამსაქმებელი ადგენს კონტროლის რეჟიმს, ის ვალდებულია გააფრთხილოს თანამშრომელი და საზედამხედველო ორგანო ასეთი კონტროლის შესახებ.

რაც შეეხება ელექტრონული ფოსტის კონტროლს, დასაშვებია მხოლოდ პროფესიული მესიჯების შემოწმება. კერძო მესიჯები დაცულია პირადი კომუნიკაციის უფლებით და დარღვევები მკაცრად ისჯება.²⁷ როდესაც დასაქმებულის არაკეთილსინდისიერების შესახებ გარკვეული ეჭვები არსებობს, 25 - Article 29 Data Protection Working Party, Working document on the surveillance of electronic communications in the workplace, WP 55, 29.5.2002, 8-9.

26 - H. Bouchet, La cybersurveillance sur les lieux de travail, CNIL, May 2004, 23

27 - Code pénal, articles 226-15 and 432-9.

დამქირავებელს შეუძლია სასამართლოსთან შუამდგომლობით მოითხოვოს თავისი თანამშრომლის პირადი შეიღების შემოწმება.²⁸ ეს ფორმალური კრიტერიუმი საშუალებას იძლევა მეილების კონტროლის, თუმცა მათი შემდგომი გამოყენება, თუ მიმონერა განსაკუთრებით პირადი ხასიათისაა, იკრძალება.

• ახალი ტექნოლოგიები: ბიომეტრული და ჯიპიის მონიტორინგი

ტექნიკა სულ უფრო და უფრო წინ მიიწევს და ახალი ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო მეტად ინერგება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამის მაგალითებია:

1. ბიომეტრული მონაცემები:

ასეთი ტექნოლოგია ძირითადად გამოიყენება სამსახურში დაშვების გასაკონტროლებლად. ეს პირადი ცხოვრების უფლების ყველაზე უფრო დამრღვევი კრიტერიუმი, ვინაიდან, მაგალითად, თვალის გარსის სკანირებამ შესაძლებელია გამოავლინოს გარკვეული სახის დაავადებები, სამედიცინო მონაცემები კი განსაკუთრებულად მგრძობიარე ინფორმაციაა და ექვემდებარება განსაკუთრებულ დაცვას.

2. GPS კონტროლი: GPS

საშუალებას იძლევა განხორციელდეს დასაქმებულის მონიტორინგი გზებზე მიმოსვლისას. წინამორბედი მონიტორინგის საშუალებები, მაგალითად, ტაქოგრაფები, დღესაც არის გამოყენებაში და ზოგჯერ მათი გამოყენება სავალდებულოცაა, თუმცა განსხვავება ისაა, რომ ასეთ დანადგარებს შეუძლიათ მხოლოდ ავტომობილის მართვის დროის განსაზღვრა და არა კონკრეტული

28 - Cass. (Fr.), 23.5.2007; Cass. (Fr.), 10.6.2008.

მარშუტების შემოწმება.

ასეთ შემთხვევებში, პრაქტიკის თანახმად, საქმეები წყდება უკვე განხილული მაგალითების მსგავსად (ისევე როგორც ტელეფონისა და ინტერნეტ მონიტორინგის დროს). აქაც ვრცელდება იგივე პრინციპები:

- დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დასაქმებულის ინფორმირებულობა შესაბამისი კონტროლის შესახებ;
- დასაქმებულს უნდა განემარტოს მიზანი, თუ რისთვის მიმდინარეობს მისი კონტროლი;
- მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება სხვა მიზნით დაუშვებელია.

დასკვნა

შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების შენახვა-დამუშავების შესახებ საერთაშორისო დოკუმენტებისა და ევროპის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობების განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკნათ: სხვადასხვა დანესებულებების საქმიანობისა და ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის, საქართველოს ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ უფლებამოსილი ორგანოს მიერ პერსონალური მონაცემების შენახვა დამუშავება განხორციელდეს ზემოთჩამოთვლილი პრინციპების შესაბამისად; პერსონალური მონაცემები უნდა შეგროვდეს განსაზღვრული, მკაფიო და ლეგიტიმური მიზნებისთვის; მონაცემების დამუშავება უნდა იყოს კანონიერი, ადეკვატური და რელევანტური იმ მიზნებისა, რომლის მიღწევასაც ცდილობს დამსაქმებელი; მონაცემთა დამუშავებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ შენახული მონაცემები იყოს ზუსტი; მან უნდა გადადგას ყველა გონივრული

ნაბიჯი, რათა უზრუნველყოს მონაცემთა სისწორე და უზუსტობის შემთხვევაში ის უნდა გამოასწოროს; როდესაც მონაცემთა სუბიექტზე პერსონალური მონაცემები გროვდება, მონაცემთა

დამმუშავებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დამუშავებულ მონაცემებზე ხელმისაწვდომობა, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის მისი საქმიანობის განხორციელებას.

მართალია, ეს პრინციპები გათვალისწინებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში, მაგრამ მათი იმპლემენტაცია კერძო თუ საჯარო დაწესებულებებში არ მომხდარა. ორგანიზაციებს არ მიუღიათ კანონით გათვალისწინებული მექანიზმები დასაქმებულების პერსონალური მონაცემების დასაცავად. აუცილებელია, ყველა დანესებულებაში შემუშავდეს შიდა ინსტრუქციები პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, რომლებიც განსაზღვრავს იმ ფარგლებს, რა ფარგლებშიც შეეძლება დამსაქმებლებს მოქმედება. ასევე აუცილებელია დანესებულებაში განისაზღვროს პირები, რომელთაც ექნებათ ამ ინფორმაციაზე წვდომა და მათ უნდა ჩაუტარდეთ სპეციალური ტრენინგი. დანესებულებაში აუცილებლად უნდა განისაზღვროს პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირიც, რომელიც უზრუნველყოფს ამ მონაცემების უსაფრთხოებას და შექმნის დაცვის ეფექტურ გარანტიებს. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც პერსონალური მონაცემების დაცვა ვიზის ლიბერალიზაციის გეგმის ნაწილია და აუცილებელია საქართველოს ევროინტეგრაციისთვის.

ადვოკატ პავლე ბერიას განცხადება ჟურნალში „ადვოკატი“ (N1–2014 წელი) დაბეჭდილ სტატიასთან დაკავშირებით: „კანონიერების პრინციპის დაცვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2014 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ კვლევაში “კანონიერების პრინციპის დაცვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ”, ჩემ მიერ გამოყენებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევაში - „დევნილთა უფლება სათანადო საცხოვრებელზე (სამართლებრივი ანალიზი, სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები)“, ავტორი ნონა ქურდოვანიძე, გამოცემის წელი 2013) მოცემული შეფასებები და დასკვნები. ვინაიდან გამომჩნა მითითება ამის თაობაზე, გთხოვთ, ჟურნალის მომდევნო ნომერში გამოაქვეყნოთ აღნიშნული ინფორმაცია.

პავლე ბერია



პროფესორი

ჯამბაკურ ბაქრაძე

ჯამბაკურ ბაქრაძე – ცნობილი ადვოკატი და სამართლის მეცნიერი, ადამიანი, რომელიც ყველას უყვარდა და რომელზეც კარგის მეტს არაფერს ამბობენ. ჯამბაკურ ბაქრაძემ ღირსეული კვალი დატოვა როგორც გამორჩეულმა ადვოკატმა, მეცნიერმა და საუკეთესო პიროვნებამ.

ჯამბაკურ ბაქრაძე დაიბადა თბილისში 1929 წელს. 1947 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა მე-4 ვაჟთა სკოლა, ხოლო 1952 წელს – წარჩინებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ამის შემდეგ იწყება მისი სამეცნიერო წინსვლა და საადვოკატო საქმიანობა. 1968 წელს ჯამბაკურ ბაქრაძეს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იგი არის მრავალი სამეცნიერო სტატიისა და სოციოლოგიური კვლევის ავტორი.

ჯამბაკურ ბაქრაძის საადვოკატო პრაქტიკა 1953 წელს იწყება, როდესაც იგი მიიღეს საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრად, ხოლო მოგვიანებით – პრეზიდიუმის წევრად. 1991 წელს ჯამბაკურ ბაქრაძე არჩეული იქნა საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. იგი

აქტიურად მონაწილეობდა ადვოკატის პროფესიის განვითარებაში. კერძოდ, მნიშვნელოვანია მისი საჯარო გამოსვლები პრესასა და რადიოში. ჯამბაკურ ბაქრაძეს ახასიათებენ როგორც პრინციპულ ადამიანს, გამორჩეულს ჰუმანურობით, და რაც მთავარია, მაღალი კვალიფიკაციის იურისტს.

ჯამბაკურ ბაქრაძის შესახებ მასალების ძიებისას, მის პირად საქმეში აღმოჩნდა საინტერესო მასალები, რომლებიც გვამცნობენ მისი დაჯილდოების, კარიერული სვლის, სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. საინტერესოა, მაგალითად, მისი იმდროინდელი დახასიათება (სტილი დაცულია): „ამხ. ბაქრაძეს დავალებული აქვს, როგორც იურიდიულ კონსულტაციაში, ასევე რაიკომის მიერ ლექცია–მოსხენებების ჩატარება სხვადასხვა ორგანიზაციებში, რომლებსაც იგი სისტემატურად ატარებს. 1964 წლიდან მას ჩატარებული აქვს ლექცია–მოსხენებები და კითხვა–პასუხის საღამოები, დაახლოებით 60–ჯერ. მისი ლექციები გამოირჩევა მაღალი მომზადებითა და კულტურული დონით.“

მის პირად საქმეში ასევე ინახება ინტერვიუ მისი ოჯახის წევრებთან, რომელმაც გულგრილი არ დამტოვა და მსურს გაგაცნოთ ამონარიდი, თუ როგორ იხსენებს მამას თორნიკე ბაქრაძე, ისიც ადვოკატი (ინტერვიუ

დაბეჭდილია ჟურნალში „ადვოკატი და მართლმსაჯულება“ 2002 წელს): „საერთოდ, ძალიან ემოციური იყო, თუმცა ამ ემოციებს ყოველთვის კარგად ფლობდა, ძალიან იშვიათად გამოდიოდა ემოციური ტალღა მისი კონტროლიდან. გარდა ამისა, მამა იყო ის ადამიანი, რომელსაც შეეძლო ყველასათვის მოესმინა და მხოლოდ ამითაც კი კლიენტი კმაყოფილი იყო. ძალიან მკაცრიც იყო საქმეში, მაგრამ, ამ სიმკაცრის მიუხედავად, ძალიან ბევრს უყვარდა, მაშინაც როცა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობას ეწეოდა და მაშინაც, როცა სამეცნიერო საქმიანობაში იყო ჩართული. იგი იყო პირველი სოციოლოგი საქართველოში. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში აქვს არაერთი დისერტაცია და სადოქტორო

ნაშრომი დაცული. ძალიან უყვარდა მუსიკა და საამისო ნიჭიც გააჩნდა, მღეროდა კიდევ ძალიან კარგად. სპორტი უყვარდა ძალიან. ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი იყო. მახსოვს სულ მეუბნებოდა, როცა უკვე მატყობდა, რომ ადვოკატობა მინდოდა, ყოველთვის უნდა იყო უკომპრომისო და, მით უმეტეს მაშინ, როცა ადამიანის ბედი და მისი ინტერესები შენს ხელთ არის. არასოდეს არ უნდა იყო ადვოკატი—მაკლერი. მისი ეს მოწოდება წითელ ხაზად გასდევდა მამის პროფესიულ საქმიანობას“.

ჯამბაკურ ბაქრაძე ყოველთვის, ყველა დროს ახერხებდა პროფესიული ღირსება დაეყენებინა პირველ ადგილზე.

ეკა ხიმშიაშვილი



ჟურნალის რედაქტორის განცხადება!

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ადვოკატი“ იწყებს ჟურნალში სარეკლამო განცხადებების განთავსებას. დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩვენს ჟურნალში განათავსონ ფასიანი რეკლამები, რაც პოპულარიზაციას გაუწევს მათ საქმიანობას.

ჟურნალში რეკლამა შეიძლება განათავსონ სასწავლო დაწესებულებებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ბანკებმა, საფინანსო-საინვესტიციო ორგანიზაციებმა, სახელმწიფო ორგანიზაციებმა და ინსტიტუტებმა.

დეტალური ინფორმაციისათვის დარეკეთ 2 183486 ან დაგვიკავშირდით ელ-ფოსტის მეშვეობით : pr@gba.ge

**ჟურნალის რედაქტორი
ეკა ხიმშიაშვილი**



ადვოკატთა საყურადღებოდ!

ყველა ადვოკატს შეუძლია ჟურნალში განათავსოს სამეცნიერო ნაშრომი. თქვენ მიერ გამოგზავნილი სტატია განიხილება სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე და, კოლეგიის წევრთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში, გამოქვეყნდება ჟურნალ „ადვოკატის“ მომდევნო ნომერში.

გისურვებთ წარმატებებს!

თბილისი

ძგები ზუბალაშვილების ქ. 36
ტელ: 2 22 46 54

ეთიკის კომისიის ცხელი ხაზი:
ტელ: 2 200 262

სასწავლო ცენტრი:
ტელ (+995 32) 2 98 78 78

ქუთაისი:

ნიწოშვილის 8
ტელ: (0431) 247 247

თელავი:

ვარლოშვილის 15
ტელ: (0370) 272 015

www.gba.ge

